# დღეს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება საზოგადოება „თბილისელის“ შეხვედრა. წარმატება და გამარჯვება ვუსურვოთ დედაქალაქის პატრიოტებს!

**სიყვარულს გაუმარჯოს!**

## ერთად ყოფნის ნიჭი



**ჩვენმა კორესპონდენტმა ერთი შეკითხვით მიმართა საზოგადოება „თბილისელის“ თავმჯდომარეს, პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანს.**

**— ბატონო ჯანსუღ, გვითხარით, — რა მიზნით იკრიბებით დღეს „თბილისელები“?**

— დღეს ჩვენ ვიკრიბებით (საბასთან იგი შეგროვებას ნიშნავს), რათა შევუძახოთ ქვეყანას, რომ მხოლოდ ერთად ყოფნა თუ გადაარჩენს საქართველოს, რაც შეეხება პიროვნების რწმენას, მე ვემხრობი გამონათქვამს, — „კაცი იყავ კაცური და იქ ილოცე, სადაც გინდა“.

სახარებიდან გეტყვით — „აზრთა სხვადასხვაობაც უნდა იყოს თქვენში, რათა გამოჩნდეს მოსაწონი თქვენ — შორის... მაგრამ რისხვა და გმობა განიშორეთ“.

ჩვენ, მიზანმიმართული რწმენის მართალ და უანგარო ადამიანებს პატივსა ვცემთ, აი, „კერპთაყვანისმცემლებს“ კი შევახსენებთ, ცუდია „კერპთაყვანისმცემლობა“, არა მხოლოდ იმიტომ, რომ არაქრისტიანულია, იმიტომაც, რომ კერპთაყვანისმცემელი წრეგადასულ და უგონო სიყვარულთან ერთად, სიძულვილის მონაცაა, დიახ, იგი ამავე დროს, უსაზღვროდ მოძულე პიროვნებაა.

აქ მოსული ხალხი შეკრებილნი იქნებიან და არა შეკრულნი, ისევ საბას მოვუხმობ, — „შეკრული — „კრულქმნილს“ ნიშნავს, რომელსაც დაარსების დღიდან ეწინააღმდეგება საზოგადოება „თბილისელი“.

დღეს ფილარმონიის დარბაზში თავს მოიყრის საქართველოს დიდი საჭირისუფლო... ბევრი ძვირფასი პიროვნება აკლდება დარბაზს, მაგრამ არცერთი კაცი ზედმეტი არ იქნება. მობრძანდებიან თბილისის საპატიო მოქალაქენი, მათ შორის თბილისის საპატიო მოქალაქე ბატონი ედუარდ შევარდნაძე, პატივს დაგვდებს და ჩვენს გვერდით იქნება საზოგადოება „თბილისელის“ საპატიო პრეზიდენტი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. აქ მოვლენ რუსთაველის პრემიის ლაურეატები — თითქმის ყველა, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, რეჟისორები, მსახიობები. ჩვენთან იქნებიან გამოჩენილი მეცნიერები — აკადემიკოსები, უნივერსიტეტების რექტორები, სტუდენტები, ახალგაზრდები, მომავალი საქართველოს ღირსეული შვილები.

იხ. მე-2 გვ.

**დღეს — ხვალისათვის**

## იმედის პიდროელექტროსადგური

**„ხადორჰესი“ სრული სიმძლავრით, ალბათ, ერთ წელიწადში ამუშავდება. პირველი კილოვატსაათების გამომუშავებას კი ხუთ-ექვს თვეში დაიწყებს, ასე გვარწმუნებენ სპეციალისტები. ამ მცირე დროში (მშენებლობა ერთ წელიწადზე ცოტა მეტია, მიმდინარეობს), უკვე იმდენის გაკეთება მოუსწრიათ, ეჭვის საფუძველი არ არსებობს, რომ სიტყვას შეასრულებენ.**

ადრე აქ, სადაც დღეს „ხადორჰესი“ შენდება, თურმე პატარა ლამაზი სოფელი ხადორი ყოფილა. დღეს ნასოფლარიღაა შემორჩენილი. უგზოობასა და ცხოვრების მკაცრ პირობებს აუყრია და ბარში ჩაუსახლებია ხალხი.

იხ. მე-3 გვ.



„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

**„საქართველოს რესპუბლიკა“ ინტერნეტში:** http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

# საქართველოს რესპუბლიკა

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №169 (4548) კვირა, 29 ივნისი, 2003 წელი. ფასი 50 თეთრი.

**კონტრაბანდის წინააღმდეგ**

## ეგ თუ 200 ყუთ კივის შეჭამს...

**— საქართველოს ბაზარზე იმპორტირებული თამბაქოს ნაწარმის დაახლოებით 70 პროცენტი არ აღირიცხება და, ფაქტობრივად, ყოველი სამი გაყიდული კოლოფი სიგარეტიდან ორი კონტრაბანდულია, — ასეთი მონაცემები იყო მოყვანილი 9 ივნისს სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძესთან გამართულ თათბირზე.**

ბოლო დროს მასმედიაში ხშირად ჟღერს ნახევრადჟარგონული გამოთქმა „ჩემოდნის კონტრაბანდისტები“, ანუ ის ხალხი, ვისაც გაუნბაჟებელი საქონელი ქვეყნის ტერიტორიაზე არა ეშელონებით, არამედ ხელჩანთებით, ტომრებით, ავტომანქანების საბარგულებით და ამგვარი „წვრილგაბარიტიანი ტარით“ შემოაქვთ.

იხ. მე-2 გვ.

ძნელია უწოდო „ჩემოდნის კონტრაბანდისტი“ ალექსანდრე კუჭაშვილს, რომლის „ფორდ-ტრანზიტის“ ავტომანქანიდან საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა ამოიღეს არამარკირებული 3530 კოლოფი სიგარეტი „ჩესტერფილდი“, რომელსაც დაკრული უნდა ჰქონოდა საქართველოს აქციზური მარკა.

**ვიზიტი**

## ორ ქვეყანას შორის არ არის რაიმე ისეთი პრობლემა, რომლის მოგვარება შეუძლებელი იყოს

### დასრულდა სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რობერტ ქოჩარიანის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში

**28 ივნისს გაგრძელდა საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რობერტ ქოჩარიანის ოფიციალური ვიზიტი. სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვიზიტის მეორე დღე თბილისში სომეხ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მისვლით დაიწყო.** საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი ერთად ეწვივნენ ელიას მთაზე მდებარე პანთეონს, რომელიც თავისი არსით ორი მეზობელი ერის — სომხებისა და ქართველების მეგობრობისა და საუკუნოვანი ძმობის გამოხატულებაა. აქ განისვენებენ სომეხი მოღვაწეები, რომელთაც თავიანთი შემოქმედებითა და საქმიანობით მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს როგორც სომხურ, ისე ქართულ კულტურასა და ისტორიაში. სომხეთისა და საქართველოს პრეზიდენტებმა პატივი მიაგეს ორივე ერისათვის საამაყო შვილების ხსოვნას, რომელთაც სამუდამო განსასვენებელი მეორე სამშობლოში — საქართველოში ჰპოვეს.

ორი პრეზიდენტის მიერ პანთეონის მონახულების შემდეგ, დაიწყო რობერტ ქოჩარიანის ვიზიტის საქმიანი ნაწილი. პირველი შეხვედრა მთავრობის კრწანისის რეზიდენციაში გაიმართა. სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი დახურულ კარს მიღმა ესაუბრა საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს. ასევე პრესისათვის დახურული იყო მისი შეხვედრა საქართველოს სომხური საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე სომხეთის პრეზიდენტს რობერტ ქოჩარიანს შეხვდა. მხარეებმა ისაუბრეს ჩვენს ორ ქვეყანას შორის ყველა სფეროში ურთიერთთანამშრომლობის გააქტიურების აუცილებლობაზე.

„ორი მეგობარი ქვეყნის ხელისუფლებებს შორის არასდროს ყოფილა აზრთა სერიოზული სხვადასხვაობა. იმედი მაქვს, თანამშრომლობა, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, კიდევ უფრო გაღრმავდება, ხოლო იმ საკითხებს, რომლებიც გადაწყვეტას მოითხოვს, ერთობლივად, ურთიერთხელსაყრელი პირობებით გადავჭრით“, — განაცხადა შეხვედრაზე ნინო ბურჯანაძემ.

იხ. მე-2 გვ.



**კონფერენცია**

## რასა იქმს მართლმსაჯულება?

**გუშინ, თბილისში, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, საქართველოს მოსამართლეთა IV კონფერენცია გაიმართა. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან მოწვეული კოლეგების წინაშე მოხსენებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია წარსდგა, რომელმაც გასული წლის შედეგებზე დაყრდნობით საფუძვლიანად მიმოიხილა საქართველოში მართლმსაჯულების მდგომარეობა.**

თავის გამოსვლაში მან უამრავ საკითხთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირთა დასჯის სასამართლო პრაქტიკაზე და იქვე აღნიშნა; წინა წლებთან შედარებით ამ მიმართულებით თუ როგორ გაამკაცრა თავისი საქმიანობა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ.

კონფერენციაზე ლადო ჭანტურიამ გულისტკივილით აღნიშნა, აგრეთვე, მართლმსაჯულებისადმი ზოგიერთი პირის ყოვლად გაუმართლებელი დამოკიდებულება, როდესაც მავანნი ყოველმხრივ ცდილობენ ამ, ქვეყნისადმი მეტად საჭირო სისტემის დისკრედიტაციას და საზოგადოების თვალში მისდამი ნდობის შერყევას.

მიუხედავად ამ ხელისშემშლელი ფაქტორებისა, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მართლმსაჯულებაში მიღწეული წარმატებები იმის სრულ საფუძველს გვაძლევს, ვთქვათ, რომ საქართველოს სულ მოკლე ხანში ეყოლება გაცილებით ცივილიზებული, მიუკერძოებელი სასამართლო ხელისუფლება.

კონფერენციაზე აირჩიეს ახალი საკოორდინაციო და სადისციპლინო საბჭოები, რომელთა შემადგენლობა ძირითადად ახალი ძალებით შეივსო.

**თეიმურაზ კინწურაშვილი.**

**გიხაროდენ!**

## ცაგურიშვილებში ვაჟიანობაა



მესამე შვილი, — ნანატრი ვაჟი შეეძინათ ნინო აბუაშვილსა და ნიკოლოზ ცაგურიშვილს. ნინომ თბილისის ამირან ქორიძის სახელობის პირველ ექსპერიმენტულ სამშობიარო სახლში მოილოგინა. ის აქაური მედპერსონალის მომსახურებით კმაყოფილია. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობენ; ჩვილს ბაბუის სახელი ბუხუტი დაარქვეს, რომ იტყვიან კაჟივით ბიჭია! ამაღლდა ჭერი.

პატარა ძამიკოს შინ მოუთმენლად ელოდებიან დები — თამარი და მარიამი.

კვლავაც გამრავლდეს ცაგურიშვილების ოჯახი, ვულოცავთ!

**თინათინ, გიორგი და ანა ცაგურიშვილები, თბილისი.**

**ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.**

**განსჯა**

## POPULUS

**ვინაიდან გაჩენის დღიდანვე მიკიჟინებენ, რომ მე, ანუ ხალხი, ვარ ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე, ვარ შემოქმედი და ხელისუფლების წყარო, რომ ყველა ამქვეყნიური სიკეთე მეკუთვნის მხოლოდ მე და მისი უდიდებულესობა იმპერატორიდან დაწყებული, სოფლის საკრებულოს წევრით დამთავრებული, ხელისუფლების ყველა შტოს უკლებლივ ყველა წარმომადგენელი ზრუნავს მხოლოდ ჩემს კეთილდღეობაზე, მიჩნდება სურვილი გავერკვე — მართლაც ისა ვარ, რასაც მაბრალებენ, თუ სხვა არაფერი ვარ, „საზარბაზნე ხორცის“ გარდა.**

იხ. მე-3 გვ.



**ინფორმაცია**

### დახმარებაც ამას ჰქვია!

**გუშინ ეუთოს მისიამ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს 100 ათასი ევროს ღირებულების აღჭურვილობა გადასცა.**

**აღჭურვილობის შესაძენად ეს თანხა გრანტის სახით ევროკავშირმა გამოყო.**

ეუთოსა და საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლობას 1999 წელს ჩაეყარა საფუძველი, როცა ეუთომ რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის მონიტორინგი დაიწყო. 2001 წელს ეუთო-ს სამოქმედო არეალი გაფართოვდა და მან რუსეთ-საქართველოს საზღვრის ინგუშეთის მონაკვეთიც მოიცვა. 2002-2003 წლებში კი მონიტორინგი დაღესტნის მონაკვეთზეც გავრცელდა.

### ჭორებს არ ვეყრდნობით

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია (BTCco)** უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ნავთობსადენის მშენებლობაზე მუშახელის აყვანა კორუფციული გარიგებების საფუძველზე ხდება.

როგორც „ინტერ-პრესს“ კომპანიაში განუცხადეს, მილსადენის მშენებლობაზე დასაქმების პროცესი ღია, გამჭვირვალე და სამართლიანია, „ჭორებს არ ვეყრდნობით, ცალკეული საჩივრების არსებობას არ გამოვრიცხავთ, თუმცა ამგვარ შემთხვევებს დეტალურად ვიკვლევთ“, — აღნიშნა BTCco-ს პრეზიდენტმა მაიკლ ტაუსენდმა.

ამ დროისათვის მილსადენისა და მასთან დაკავშირებული ობიექტების მშენებლობაზე 800-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული. მილსადენის მშენებლობა მომავალი წლის ბოლოს უნდა დასრულდეს.

### გაიცანით, რატომ უშვებთ!

**საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს ბაზაზე შექმნილი „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ თავმჯდომარე ვაჟა კაპანაძე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოებში სამეთვალყურეო საბჭოების წევრთა შეცვლას აპირებს.**

„სამეთვალყურეო საბჭოების შემადგენლობების კონტროლი საწარმოებში მდგომარეობის გამოსასწორებლად ჩვენს ხელთ არსებული ერთადერთი ბერკეტია. წევრთა უმეტესობა არაპროფესიონალია, ამიტომ მათი შეცვლა აუცილებელია“.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1800 საწარმოდან თითოეულს სამეთვალყურეო საბჭოში სულ მცირე, სამი წევრი ჰყავს. „სამეთვალყურეო საბჭოების წევრთა 10 პროცენტსაც არ ვიცნობთ, — დასძინა მან.

### უკვე ამდენი ნარკომანი გვყავს?

**საქართველოში ნარკოლოგიის დარგში მომუშავე ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურა ამოერიდან კოორდინირებულად იმუშავებს.**

ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის გელა ლეჟავას განცხადებით, დღეისათვის საქართველოში ამ პრობლემაზე დაახლოებით 15-მდე ორგანიზაცია მუშაობს, თუმცა მათ დიდ ნაწილს ნარკოლოგიის ინსტიტუტთან კავშირი არ აქვს. „ინსტიტუტს გადაწყვეტილი აქვს, 1 ივლისამდე ყველა ამ უწყების წარმომადგენლებს შეხვდეს და ერთობლივი მუშაობა დაგეგმოს“, — აღნიშნა მან.

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ნარკოტიკულ ნივთიერებებს 18 ათასი ადამიანი მოიხმარს. თუმცა ექსპერტთა ვარაუდით, რეალურად მათი რაოდენობა 150 ათასს აღწევს.

**ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

**კარგი ანეკდოტი**

**თუ თქვენ გამოგეცხადათ მოჩვენება, იჩქმიტეთ ბარძაყზე და, თუ მოჩვენება არ გაქრა, უჩქმიტეთ მოჩვენებას.**

**მეზობლებთან**



**ტაო, ბანას ტაძარი, VII საუკუნე. ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში დავასრულებთ არმაზ სანებლიძის რეპორტაჟების ციკლს ისტორიული ტაო-კლარჯეთიდან.**

**უკანასკნელ საათს**

**ისლამური** ჯიჰადი“ წყვეტს ისრაელის საწინააღმდეგო ტერაქტებს. „ჰამასის“ სულიერმა ლიდერმა შეიხმა იასირმაც განაცხადა, რომ „ჰამასიც“ უერთდება „ისლამური ჯიჰადისა“ და „ფახტის“ გადაწყვეტილებას ცეცხლის დროებით შეწყვეტის შესახებ.

**ერაყში** დაკარგული ორი ამერიკელი ჯარისკაცი მკვდარი ნახეს. მათი გვამები აღმოაჩინეს ბაღდადიდან ჩრდილოეთით 40 კილომეტრზე მდებარე ქალაქ ბალადში.





**ამინდი დღეს**

**დასავლეთ საქართველოში** ქარი 8-13 მ/წმ.
**დაბლობში** ღამით $+16^0$, დღისით $+26^0$, **მთაში** ღამით $+13^0$, დღისით $+22^0$, **მაღალ მთაში** ღამით $+9^0$, დღისით $+16^0$.

**აღმოსავლეთ საქართველოში** ქარი 10-15 მ/წმ.
**ბარში** ღამით $+18^0$, დღისით $+28^0$, **მთაში** ღამით $+14^0$, დღისით $+25^0$. **მაღალ მთაში** ღამით $+8^0$, დღისით $+18^0$.

**თბილისში** ქარი 10-15 მ/წმ.
ღამით $+18^0$, დღისით $+28^0$.

**ლარის კურსი**

**27 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები**

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.5359 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1200 | ლარი |
| ევრო | 1 | 2.4391 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0699 | ლარი. |

**გვირეკავენ, გვეკითხებიან**

**ვარ ბალერინა. პროფესიით ნამუშევარი მაქვს 20 წელი. გთხოვთ განმიმარტოთ, დამენიშნება თუ არა წელთა ნამსახურობის პენსია?**

**ალა მათირიშვილი.**

„საქართველოს შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის შესაბამისად — 1997 წლის 12 დეკემბრიდან, სამწუხაროდ, აღარ ხდება წელთა ნამსახურობით პენსიების დანიშვნა. ამდენად, თქვენ პენსიის მიღების უფლებას მოიპოვებთ 60 წლის მიღწევის შემდეგ.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.**

**ინტერპანორამა**

**ესპანეთის** თავდაცვის სამინისტრომ, პროტესტების მიუხედავად, განაახლა სამხედრო თვითმფრინავების არენდით გაცემის პრაქტიკა. მას შემდეგ, რაც 26 მაისს თურქეთში დაიღუპა უკრაინული თვითმფრინავის „იაკ-42“-ის ბორტზე მყოფი 62 მშვიდობისმყოფელი, ესპანეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ ამგვარი ფრენებისთვის მხოლოდ ესპანურ თვითმფრინავებს გამოიყენებს.



**ჰააგის** ცენტრში მომხდარმა აფეთქებამ ნაწილობრივ დაანგრია ორი საცხოვრებელი სახლი. ექსპერტთა აზრით, ნგრევა, შესაძლოა, საყოფაცხოვრებო გაზის აფეთქებამ გამოიწვია. მაშველები ნანგრევებში დაზარალებულებს ეძებენ.




**ქაშმირში** მოჯაჰედები თავს დაესხნენ საარმიო ბანაკს. მოკლულია 10 ადამიანი. ორივე თავდამსხმელი ინდოეთის არმიის სამხედრო ფორმაში იყო გამოწყობილი. ისინი მოკლეს.



საქართველოს რესპუბლიკა
№ 169, კვირა, 29 ივნისი, 2003 წელი

ვიზიტი

# ორ ქვეყანას შორის არ არის რაიმე ისეთი პრობლემა, რომლის მოგვარება შეუძლებელი იყოს

პირველი გვერდიდან



სომხეთის პრეზიდენტი დაინტერესდა საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის მზადებით და იმ ცვლილებებით, რომლებიც საარჩევნო კოდექსს, ფაქტობრივად, განახლების და უფრო დახვეწის. მან, თავის მხრივ, ნინო ბურჯანაძეს სომხეთში ჩატარებულ ბოლო ორ არჩევნებთან დაკავშირებით თავისი გამოცდილება გაუზიარა, რაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ საინტერესოდ შეაფასა.

როგორც სომხეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, ამ ვიზიტის დროს გადაწყდა, რომ საქართველოსა და სომხეთის შორის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის პროცესი 2004 წლისათვის დასრულდება. რაც შეეხება ორ სახელმწიფოს შორის ჩარჩოხელშეკრულების რატიფიკაციას სომხეთის პარლამენტის მიერ, რობერტ ქოჩარიანის თქმით, საკითხი პრობლემური არ არის და ეს პარლამენტის მხრიდან მხოლოდ ტექნიკური ხელშეწყობის საკითხია.

შეხვედრაზე ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ საქართველოში კარგად ესმით, თუ რა მნიშვნელობა აქვს სომხეთისათვის აფხაზეთის ტერიტორიის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას. მანვე დასძინა, იმის მიუხედავად, რომ იგი აქტიურად აკრიტიკებს ქვეყნის შიდაეკონომიკურ პროცესებს, იგი ერთმნიშვნელოვნად ემხრობა საქართველოს პრეზიდენტის საგარეო კურსს, კერძოდ, აფხაზეთის საკითხთან მიმართებით, რომ რკინიგზის ხაზის აღდგენა აუცილებლად უნდა მოხდეს აფხაზეთიდან დევნილთა მშვიდობიანი დაბრუნების პირობებში. „ჩვენ ვეცდებით, საქართველოს მთავრობა გარკვეული სახის ეკონომიკური დატვირთვა, თუმცა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ დევნილთა ამ პროცესში ჩართვა მათი კეთილდღეობის შანსია“, — აღნიშნა შეხვედრაზე ნინო ბურჯანაძემ.

სომხეთი დაინტერესებულია, რომ საქართველო იყოს ძლიერი, პოლიტიკურად და ეკონომიკურად სტაბილური, აყვავებული დემოკრატიის მქონე სახელმწიფო, რომელიც მის ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტს კვლავ მშვიდობიანი გზით მოაგვარებს. საქართველო მნიშვნელოვანია სომხეთისათვის და კავკასიის რეგიონის სტაბილურობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით, — აღნიშნა სომხეთის პრეზიდენტმა და ამ თემაზე საქართველოსთან ერთიანი აზრი.

შეხვედრის დასასრულს, საპატიო სტუმარმა საქართველოს პარლამენტის სამახსოვრო წიგნში ჩანაწერი გააკეთა.

ამ შეხვედრით დასრულდა სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რობერტ ქოჩარიანის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში.

28 ივნისს, საღამოს, რობერტ ქოჩარიანი, თანმხლებ დელეგაციასთან ერთად, ერევანს გაემგზავრა. თბილისის აეროპორტში რობერტ ქოჩარიანს გააცილეს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ, სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისა და სომხური საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური-საქინფორმი.**

სიყვარულს გაუმარჯოს!

# ერთად ყოფნის ნიჭი

პირველი გვერდიდან

ჩვენთან იქნებიან გამორჩეული სპორტსმენები, მსოფლიოს, ოლიმპიური, ევროპისა და საქართველოს ჩემპიონები. ისიც მინდა ვთქვა, ვინც ჩვენთან არ იქნება, ისიც ჩვენთან იქნება, რამეთუ, ნათელმა პორფირემ კარგად იცის, რომ უფალმა ადამიანი შექმნა მსგავსად თვისად. ნათელმა პორფირემ ისიც იცის, რომ სიყვარული გადაარჩენს საქართველოს, ხოლო ღმერთი სიყვარულია, ჭეშმარიტება გადაარჩენს საქართველოს — ხოლო, ღმერთი ჭეშმარიტებაა... სიტყვა გადაარჩენს საქართველოს, ხოლო, პირველად იყო სიტყვა, და იგი სიტყვა იყო — ღმერთი.

შემოქმედი გადაარჩენს საქართველოს, მოგესალმებით, ღმერთი — შემოქმედია.

რაღა დაგვრჩენია? ის, რომ ხმამაღლა ვთქვათ მთელი საქართველოს გასაგონად, მსოფლიოს გასაგონად — გაუმარჯოს სიყვარულს, გაუმარჯოს ჭეშმარიტებას. სიტყვას გაუმარჯოს! შემოქმედს გაუმარჯოს!

ზურგი ვაქციოთ კერპთაყვანისმცემლობას, გაუმარჯოს გადარჩენისა და მთელ საქართველოს!

გვწამდეს, გვეყვარდეს, რომ გამოსავალია ერთიანი საქართველო ჩვენი დიდებული მომავლის საწინდარი!

მათქმევინეთ

# მადლიერების გრძნობა მაინც შეგვრჩეს

**ხშირად მეკითხებიან, რატომ უჭერ მხარს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს. ამას არავინ კითხულობს, რა სჭირს პრეზიდენტს ჩემი მხარდაჭერა, თუმცა, ხალხის მხარდაჭერა პრეზიდენტსაც სჭირდება და ქვეყანასაც.**

ქვეყნის პრეზიდენტის უპატივცემულობა ნიშნავს საკუთარი თავის უპატივცემულობას, საზღვარგარეთ მსოფლიოს წარმომადგენლების, კონსტიტუციის უპატივცემულობას. ეს, ჩვენ, უფროსი ადამიანებმა, კარგად ვიცით.

უმტერო ხელმძღვანელი ბუნებაში არ არსებობს, მაგრამ ვერც ერთი მისი ოპონენტი ვერ გაბედავს მას ურთიერთობის კულტურა დაუწუნოს, იგი ყოველთვის გამოირჩევა ჭეშმარიტი დემოკრატიულობით.

სიტყვამოუზომავი პოლიტიკოსები, როგორც თავად ბატონი ედუარდი ამბობს, ყოველ ბრუნვაში ახსენებენ მის სახელს. მაგრამ ის ცუდად არავის დაბეჯითა. შური არავინ უპასუხა. მას დიდი მოთმინებისა და პოლიტიკური შემართება აქვს. ეს მისი ღირსებაა.

პრეზიდენტის მესამე ნაწილი ზოგიერთი პოლიტიკოს-პოპულისტებია, რომლებიც ამბობენ: „მე რომ პრეზიდენტი ვიყო“. უმეტესწილად მათ მსჯელობაში ასეთი პრიმიტიული აქცენტია: „მე ამას ასე არ ვიზამდი“, რაიც ძირითადად თავის გამორჩენის სურვილია, სხვა არაფერი. ცხოვრებას უამრავი ნაკლი აქვს. გასაკრიტიკებელს რა გამოლევს, მაგრამ გააჩნია ვინ ვის აკრიტიკებს.

მეორე კატეგორიის ადამიანებია, რომლებიც შორის მეც ვარ, ვფიქრობ, რომ პრეზიდენტმა უკეთ იცის თავისი საქმე. მთავარია ხელი არ შევუშალოთ. საქართველოს ხალხმა კარგად იცის მისი ხასიათის სიმტკიცე.

იმედოვნებ, რომ ერთი მთელი საარჩევნო ბრძოლა, რომ გამოკითხვის ჩატარება, ათ ყველაზე პოპულარულ პრეზიდენტს შორის, აუცილებლად მოხვდება ედუარდ შევარდნაძე.

მიაქციეთ ამას ყურადღება, ბატონებო!

**დარეჯან თომაძე,**
თბილისის 71-ე საბავშვო ბაღის გამგე, საზოგადოება „თბილისელის“ შეხვედრის მონაწილე.

მადლობა

# დიდი თანადგომის წილ...

**რუსეთ-ჩეჩნეთის ომის შედეგად შექმნილი მძიმე ვითარების გამო პანკისის ხეობას ათასობით ჩეჩენი ლტოლვილი მოაწყდა და ამ პატარა კუთხეში ვითარება არივ-დარია.**

განსაკუთრებით მძიმე შედეგები გამოიღო 2002 წლის 23 აგვისტოს რუსეთის მიერ ილტოს ხეობის დაბომბვამ, რომელსაც დიდ მატერიალურ ზარალთან ერთად მსხვერპლი მოჰყვა, — დაიღუპა ერთი და მძიმედ დაშავდა რამდენიმე მშვიდობიანი მოქალაქე. დაბომბვის დროს დაიღუპნენ და დაზარალდნენ მატნელთა ოჯახების წევრებიც.

„ჩვენთვის და მთელი ჩვენი მოსახლეობისთვის კარგად არის ცნობილი ამ ფაქტთან დაკავშირებით თქვენი უკომპრომისო პოზიცია და ის დიდი მორალური და მატერიალური თანადგომა, რომელიც დაბომბვისთანავე გამოიჩინეთ, — წერენ სამადლობელ წერილში საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს ახმეტის რაიონიდან დაღუპული და დაზარალებული გურამ ოტიაშვილისა და მალხაზ ყარაულაშვილის ოჯახები, — მარტო ჩვენი მრავალჭირნახული ხეობისთვის და ჩვენი ოჯახებისთვის კი არა, მთელი საქართველოსთვის იყო დიდი იმედი და ნუგეში თქვენი ჩამობრძანება დაბომბვის დროს გარდაცვლილის დაკრძალვაზე. ის მატერიალური დახმარება, რომელიც თქვენი დავალებით აღმოუჩინეს ჩვენს ოჯახებს, მოქალაქეებს“.

დაზარალებულ მატნელთა ოჯახები გულწრფელ მადლობას უხდიან ბატონ პრეზიდენტს თანადგომისა და გაწეული დახმარებისთვის; მადლობას უხდიან ყველას, ვინც მისი მითითებით უშუალოდ მონაწილეობდა დაბომბვით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებაში, ფულადი დახმარებისა და განადგურებული ავტომანქანების ახლით შეცვლაში.

„ბატონო პრეზიდენტო, თქვენი დიდი ძალისხმევით საქართველოს ძალოვანი უწყებების მიერ პანკისის ხეობაში განხორციელებულმა ანტიკრიმინალურმა ოპერაციამ თავისი დადებითი შედეგები გამოიღო და დღეს რაიონს ცხოვრებისა და შრომის ნორმალური ატმოსფერო შეექმნა“, — წერენ მატნელები.

მიუხედავად გადატანილი უბედურებისა, ჭირ-ვარამისა, წარსულს ჩაბარდა შფოთითა და შიშით აღვსილი დღეები. სულ უფრო ბრუნდება ახმეტის რაიონში ცხოვრების მშვიდი იერ-სახე.

მატნელთა ორი ოჯახი მთელი ახმეტის რაიონის მოსახლეობის სახელით კიდევ ერთხელ უხდის მადლობას ბატონ პრეზიდენტს თანადგომისა და დახმარებისათვის. ჩვენი აზრით, ეს სავსებით ბუნებრივი ამბავია. სიკეთისა და მადლიერების დანახვა ხომ წმინდა ადამიანური მომენტია.

**ეთერ საბანაშვილი.**

სტატისტიკა

# მოხმარება ახლოა კეთილდღეობასთან

**სიღარიბესთან ბრძოლის პრობლემა საქართველოსთვის მეტად აქტუალურია, ამიტომაც საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის დროულად შემუშავება მეტად აუცილებელი იყო. ფაქტობრივად, ეს სამუშაო უკვე დამთავრებულია, გვაქვს ღრმად გაანალიზებული პროგრამა, რომელიც 2015 წლამდე ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას, სიღარიბის არსებით შემცირებას, ქვეყნის მოსახლეობისათვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნას ითვალისწინებს.**

საქართველოს პრეზიდენტმა თავის რადიოინტერვიუში ბრძანა, რომ „ეს პროგრამა ხანგრძლივი მუშაობის შედეგია, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა თითქმის ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი“. სიღარიბესთან ბრძოლა შეფასებულია, როგორც ქვეყნის სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი პირობა.

პროგრამაში ბევრი ის მონაცემია, რომელიც საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში არის დამუშავებული.

ახლახან დეპარტამენტში გაიმართა შეხვედრა სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან, რომელშიც მონაწილეობდნენ სახელმწიფო კანცელარიის, ეკონომიკური პროფილის სამინისტროების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, პრესის წარმომადგენლები.

აქ საუბარი იყო „შინამეურნეობებისა და სამუშაო ძალის ინტეგრირებული გამოკვლევის დანერგვის შესახებ“. როგორც საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ თეიმურაზ ბერიძემ აღნიშნა, სოციალური სტატისტიკა ყველა მოქალაქისთვის არის საინტერესო. სიღარიბის განსაზღვრა ჩვენი სტატისტიკოსების მიერ მოხმარების მიხედვით მოხდა. შემოსავლების მიხედვით სიღარიბის განსაზღვრა კი უმჯობესია იმ ქვეყნებისათვის, სადაც დაბალია ჩრდილოვანი ეკონომიკის დონე და ამდენად, შემოსავლები მაქსიმალური სიზუსტით აღირიცხება. მოხმარების მიხედვით სიღარიბის შეფასება უმჯობესია იმის გამო, რომ სიღარიბის შესწავლისათვის ძირითადად გამოიყენება შინამეურნეობების გამოკვლევის მონაცემები, სადაც რესპონდენტები ნაკლები ხალისით და დაბალი სიზუსტით იძლევიან ინფორმაციას შემოსავლების შესახებ, ინფორმაციის ხარისხი ამ შემთხვევაში, როგორც წესი, უკუპროპორციულია ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის დონესთან.

გარდა ამისა, სიღარიბის შესწავლა უფრო გამართლებულია მოხმარების მიხედვით იმ მიზეზის გამოც, რომ მის პარალელურად უნდა დადგინდეს მოსახლეობის კეთილდღეობაც.

კეთილდღეობა, თავისი არსით, არის საქონლისა და მომსახურების ის რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს შინამეურნეობისა და ინდივიდის ნორმალურ ყოფას. ამის გამო მოხმარება შემოსავლებთან შედარებით უფრო ახლოა კეთილდღეობასთან, ვინაიდან შემოსავალი ჯერ კიდევ არ ნიშნავს მოხმარებას.

როგორც საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის შინამეურნეობების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ნოდარ კაპანაძემ აღნიშნა, თავდადებული შრომით შინამეურნეობებისა და სამუშაო ძალის ინტეგრირებული გამოკვლევა შედგა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისათვის. გამოკვლევა ძალზე კომპლექსური ხასიათისა იყო და შესაბამისად საკმაოდ ძვირი დაჯდა.

შეხვედრას ესწრებოდა ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სოციალური სტატისტიკის განვითარების პროექტის დირექტორი კრის ნორსი.

უცხოელ კოლეგებთან ასეთი ურთიერთთანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელება, რაც ხელს შეუწყობს ახალი საინტერესო კვლევების სწორად წარმართვას.

**ლალი ძინძლაძე.**



ოპოზიცია ისევ ჯიუტობს

ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საპარლამენტო ოპოზიციის შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. უახლოეს ხანებში პრეზიდენტთან დაგეგმილ შეხვედრაზე ოპოზიციური ლიდერები ცსკ-ის დაკომპლექტების საკუთარ ვარიანტს ვერ წარადგენენ.

პარლამენტის თავმჯდომარესთან გამართულ გუშინდელ შეხვედრას „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა, ყველა ოპოზიციური საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი დაესწრო.

საქართველოს პრეზიდენტს ოპოზიცია სავარაუდოდ, ორშაბათს შეხვდება, საარჩევნო კოდექსის განსახილველად რიგგარეშე სესიის დანიშვნის საკითხიც ამის შემდეგ გადაწყდება.

ნუ გადაყრით ფულს!

რუსული ტურისტული ფირმების მიერ აფხაზეთში კაპიტალის დაბანდებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო „დიდ რისკზე წასვლად“ აფასებს.

საგარეო უწყების მონაცემებით, აფხაზეთის ინფრასტრუქტურის გამოყენებით ამჟამად რუსეთის 35-მდე ტურისტული ფირმაა დაინტერესებული. „ამ ფირმების დიდმა ნაწილმა უკვე დააბანდა გარკვეული ინვესტიციები აფხაზეთში და ამით დიდ რისკზეც წავიდა“, — განუცხადა „ინტერ-პრესს“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კახა სიხარულიძემ.

მან კიდევ ერთხელ შეახსენა რუსულ მხარეს, რომ როგორც კი აფხაზეთში საქართველოს იურისდიქცია აღდგება, სეპარატისტულ რეჟიმთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება ბათილად გამოცხადდება, რაც ინვესტორებს საკმაოდ დიდ ფინანსურ ზარალს უქადის.

პატარა მხატვრები გაახარეს

ელიზაბეტ ზასტის ფონდმა გუშინ „ცისფერ გალერეაში“ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შერჩეული 40-მდე ბავშვის ნამუშევრების აქცია-გამოფენა მოაწყო.

გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები ბავშვებმა მცხეთის საგაზაფხულო აკადემიაში ერთკვირიანი დასვენების დროს შექმნეს.

ელიზაბეტ ზასტის ფონდის მიზანს ხელოვნების დარგში ბავშვებისა და მოზარდების განვითარება წარმოადგენს.

გერმანელებს „ფაუსტი“ ვაჩვენეთ

თეატრალური სარდაფის დასმა გერმანიაში ფესტივალ „უნიდრამის“ ფარგლებში „ფაუსტი“ წარმოადგინა.

დასი გერმანიაში სრული შემადგენლობით გაემგზავრა და ფესტივალის ფარგლებში სპექტაკლი ორჯერ ითამაშა.

ქალაქ პოცდამში გამართულ ფესტივალში გერმანიის, პოლონეთის, რუმინეთის, რუსეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების თეატრები მონაწილეობენ.

თეატრალური სარდაფის მსახიობები საქართველოში 30 ივნისს დაბრუნდებიან.

უმწეოთა დასახმარებლად

„ეთერე პიარ სააგენტო“ „აჭარა მიუზიკ-ჰოლში“ საქველმოქმედო კონცერტ-აქციას მოაწყობს. შემოსული თანხა ნუცუბიძის ფერდობზე მდებარე დედათა და ჩვილ ბავშვთა სახლს გადაეცემა.

როგორც „ინტერ-პრესს“ სააგენტოს ხელმძღვანელმა ნინო იოსელიანმა განუცხადა, აქციაში მონაწილეობას სალონები „ეგო“ და „ნიმა“ მიიღებენ, რომელთა პროდუქციასაც სააგენტო „ნატალის“ გოგონები წარმოადგენენ.

ჩვენების შემდეგ მომღერალი ნინო ქათამაძე ცოცხალი შესრულებით კონცერტს გამართავს, რომელშიც მაკა მახარაძის სტუდიის მოცეკვავეები მიიღებენ მონაწილეობას.

საკრებულომ მიანიჭა...

სტალინის სახელობის მტკვრის მარჯვენა სანაპიროს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელი მიენიჭა.

ეს გადაწყვეტილება თბილისის საკრებულომ ერთხმად მიიღო.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროსთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების ინიციატივა საკრებულოს უხუცეს წევრს კოტე ჩოლოყაშვილს ეკუთვნის.

**ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

გვწერენ

**ჩვენი დედაქალაქიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით რამდენიმე საათის მგზავრობის შემდეგ კახეთის ერთ-ერთ ულამაზეს ხეობას მივადგებით, რომელიც სამი მხრიდან კავკასიონის მთებით არის გარშემორტყმული. შუაზე მდინარე ალაზანი ჩამოუდის. ეს პანკისის ხეობაა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ცხელ წერტილად იყო გამოცხადებული. იყო დრო, როდესაც ხეობაში შექმნილი რთული კრიმინოგენური ვითარებისა და გაცხოველებული ნარკობიზნესის გამო ჩვენს სოფელს მოსახლეობისგან დაცლის საშიშროება ემუქრებოდა, ხალხს შებინდების მერე გარეთ გამოსვლის ეშინოდა, სოფელს თეთრი სიკვდილის შიში მოერია. იღუპებოდა სოფლის ახალგაზრდობა...**

ხალხს დღემდე მწარედ ახსოვს ის დილაც, როდესაც ჩვენი სოფლიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ბომბები ფეთქდებოდა, ზანზარებდნენ სახლები, ზრიალი გაჰქონდათ მინებს, ლოგინიდან შიშისაგან წამომხტარმა ძილბურანში მყოფმა ხალხმა, თავიდან ვერც კი აღიქვა რა ხდებოდა, მაგრამ როდესაც ცაში მონავარდე თვითმფრინავები დაინახეს, მიხვდნენ, რომ მათ ვიღაც სასიკვდილოდ იმეტებდა. იმავე დილით დაიწყეს ბავშვებისა და ახალგაზრდების გახიზვნა. ეძნელებოდათ მამა-პაპათა საძვალეების დატოვება, მაგრამ გაუკუღმართებული დრო-ჟამის გამო იძულებულნი იყვნენ იქიდან წასულიყვნენ... სოფელში მხოლოდ ასაკოვანი ხალხი რჩებოდა.

დღეს მთელს ხეობაში სიმშვიდე სუფევს. მოსახლეობამ სოფლისაკენ პირი იბრუნა, რაც ჩვენი მთავრობის დიდი დამსახურებაა. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ხეობის აღმშენებლობითი პროგრამის განხორციელებას.

ხალხისთვის როგორც არსებობის პურია საჭირო, ასევე აუცილებელია, სულის პურიც, რადგან მიუხედავად ძნელბედობისა და გაუსაძლისი პირობებისა, ადამიანს ღმერთი აძლევს შვებას და მომავლის იმედს. საქართველოს კულტურის მინისტრის, ქალბატონ სესილი გოგიბერიძის მონდომებით და ჩვენი მთავრობის ხელშეწყობით აღდგენილი იქნა სოფელ საკობიანოში კულტურის უძველესი ძეგლი — ღვთისმშობლის ეკლესია. პანკისის ხეობის ქართული მოსახლეობა მადლიერია იმის, რომ შესაძლებლობა მიეცათ ყოველი მომქანცველი დღის მერე სანთელი აანთონ და ამ გაჭირვებულ ცხოვრებაში სულიერი სიმშვიდე დაიმკვიდრონ.

ასევე, მადლობას ვუხდით ყველა მშობლის სახელით სახელმწიფო მინისტრს, ბატონ ავთანდილ ჯორბენაძეს, რომლის ძალისხმევითა და უშუალო დახმარებით კაპიტალურად შეკეთდა საკობიანოს საშუალო სკოლა, შემოიღობა და კეთილმოეწყო სოფლის სტადიონი.



სოფელი შეჰხაროდა გაახლებულ სკოლის შენობას, მოუთმენლად ელოდნენ პატარები ახალი სასწავლო წლის დაწყებას, მაგრამ იყვნენ სოფლად ისეთი ოჯახებიც, რომლებიც ამ სიხარულს ვერ გაიზიარებდნენ, რადგან მათ ბავშვებისათვის სკოლის სახელმძღვანელოების ყიდვის საშუალება არ ჰქონდათ, რომ არა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქალბატონი სოფიკო შამანიდი, რომელმაც თავისთავზე აიღო ეს მტკივნეული პრობლემა და ბავშვებს უდიდესი სიხარული აჩუქა, უფასოდ ჩამოუტანა სასკოლო სახელმძღვანელოები.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორს, ქალბატონ ლიანა შეწირულს, ამ გიმნაზიის პედაგოგიურ კოლექტივს და მის მოსწავლე-ახალგაზრდობას, რომლებმაც გაითავისეს რა ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა, გვერდში დგომის უნიკალური მაგალითი დაგვანახეს. მათ საკობიანოს საშუალო სკოლას საჩუქრად მხატვრული ლიტერატურა გადასცეს. არასოდეს დაგვავიწყდება ლიანა შეწირულის დედასავით თბილი შეხვედრა მის კაბინეტში, ნახევარსაათიანი საუბრის შემდეგ მივხვდი, თუ როგორ უნდა იცხოვრო ამ ქვეყნად ადამიანმა, რატომ იყო, არის და იქნება საჭირო ძმობა და მეგობრობა.

ისეთი შეგნებისა და ამაღლებული სულის ადამიანები, როგორიც თქვენ ბრძანდებით, ქალბატონო ლიანა, დიდხანს უნდა იდგნენ მომავლის სადარაჯოზე, ახალგაზრდობის გზად და ხიდად. მიიღეთ ჩვენგან მადლიერების გრძნობით და კეთილი სურვილებით გაჟღენთილი ეს სიტყვები...

ჩვენი სტუმარი იყო, აგრეთვე, „კავკასიური სახლი“, რომელმაც თავისი ვიზიტით კიდევ ერთი ბედნიერი დღე აჩუქა პანკისის ხეობას. მადლობა „კავკასიური სახლის“ დირექტორს, ქალბატონ ნაირა გელაშვილს ჩვენდამი გამოჩენილი ყურადღებისათვის, მადლობლები ვართ მისი სითბოსათვის, იმ სულიერი საზრდოსათვის, რაც ჩვენს ბავშვებს მის მიერ ჩამოტანილმა წიგნებმა მიანიჭა.

ბოლოს, არ შემიძლია უდიდესი მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიო ჩვენი ხეობის ღვიძლი შვილი, ქალბატონი მექა ხანგოშვილი, რომელმაც ყოველნაირი სიკეთე საქმით დაიმსახურა.

„კავკასიურმა სახლმა“ პირობა მოგვცა, რომ არ დაგვივიწყებს და უახლოეს მომავალში კვლავ გვინახულებს.

ამაყად იყურება გზისკენ კავკასიონის თოვლიანი მწვერვალები — სიხარულით მოელიან სტუმარს...

**ნუკრი ღუზიანური,**
საკობიანოს გამგებელი.

ტრენინგი

# ფინანსისტებო, გენერალური ინსპექცია მოდის!

**ფინანსთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 36-მა ინსპექტორმა გუშინ ამერიკის ხაზინის დეპარტამენტის სერტიფიკატები მიიღო. ერთთვიანი ტრენინგების შემდეგ სერტიფიკატები მათ აშშ ხაზინის დეპარტამენტის მრჩეველმა საქართველოში დუგლას სკოტმა გადასცა.**

როგორც სერტიფიკატების გადაცემის საზეიმო ცერემონიალზე ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ზაზა ქავანიამ განაცხადა, გენერალური ინსპექციის თანამშრომელთა მაღალკვალიფიციურობას სისტემაში არსებული კორუფციის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. „თქვენს დანახვაზე ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული უწყებების ნებისმიერი თანამშრომელი უნდა თრთოდეს. გენერალური ინსპექცია სისტემაში კორუფციის დაძლევის გარანტი უნდა გახდეს“, — მიმართა მან ინსპექტორებს.

ფინანსთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში აშშ ხაზინის დეპარტამენტის პროგრამა წლების მანძილზე ხორციელდება. ინსპექციის 73 თანამშრომელს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დასაქმებული 4400 სპეციალისტის გაკონტროლება ევალება.

გენერალური ინსპექციის უფროსის ვლადიმერ კონსტანტიდის ინფორმაციით, უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში ფინანსთა სამინისტროს სისტემიდან სხვადასხვა დარღვევების გამო 100-მდე თანამშრომელი გათავისუფლდა.

**ინტერ-პრესი.**

მახვილი კუთხე

# ვაცალოთ მოხუცებს მშვიდი სიკვდილი

**დროშ მოიტანა, თორემ ეს მოხუცები ასე არ დაზაჩანაკდებოდნენ, სხვის ხელში შემყურენი არ გახდებოდნენ. ახლა კი რა, — ეკონომიკურმა გაჭირვებამ სათნოების სახლს („კათარზისს“) მიაყენა და ლუკმა-პური ძლივს გაუჩინა.**

ამ სათნოების სახლს კი თავისი თავსატეხი აქვს. 12 წელიწადია, რაც არსებობს და მთელი ამ ხნის მანძილზე ბრძოლა უწევს შენობის შესანარჩუნებლად. ხან ვინ წაეპოტინება და ხან ვინ, ხან ერთ დადგენილებას მიიღებენ მოხუცთა გამოსასახლებლად და ხან მეორეს. სადღესოდ თითქოს საქმეს თავი მოება, ქალაქის მერიამ „კათარზისს“ შენობა უზურფუქტის ფორმით 49 წლით გადასცა. ოღონდ პროფილი არ უნდა შეიცვალოს, შენობა სხვას არ უნდა მიჰყიდოს.

სათნოების სახლის თავკაცს ზაურ ალადაშვილს ცოტა ნერვები დაუწყნარდა, მაგრამ, როგორც ჩანს, სრულ სიმშვიდემდე ჯერ კიდევ შორია. ახლა სადარდებელი მუხათგვერდის სასაფლაო გახდა. აქ „კათარზისს“ გამოყოფილი ჰქონდა ადგილი 5.000 საფლავისათვის, მაგრამ... დროდადრო ამ ადგილებს სხვები დაეპატრონნენ. მართალია, არც მთლად სათნოების სახლს უმარჯვია, უსახსრობის გამო ნაკვეთი ვერ შემოუღობია, შიგ მარტოოდენ ჯვარი აღუმართია, მაგრამ სასაფლაოს ხელმძღვანელობამ რატომ შეუშვა იქ სხვა პირები?

ფირმა „ჰერმესს“ პირობა მიუცია ზაურ ალადაშვილისთვის, რომ იგი გაცემულ ადგილებს ახლით შეუვსებს, მაგრამ „კათარზისი“ ამით მაინც უკმაყოფილოა. ახალ ადგილებს უხეირო ზონებში აძლევენ, დაქსაქსულად. მას კი სურს მოხუცთა განსასვენებელი იყოს ერთად, რადგანაც ისინი მოკრძალებულად იმარხებიან და მდიდრული საფლავების გვერდით გულსატკენად გამოიყურებიან. ჯერჯერობით გარდაცვლილები ქალაქის სხვადასხვა სასაფლაოზე იმარხებიან „კათარზისის“ სახსრებით. არადა, მათ მუხათგვერდში ადგილები უფასოდ ეკუთვნით.

იქნებ ეს პრობლემები მოვაგვაროთ და მოხუცებს მშვიდი სიკვდილი ვაცალოთ?

**ანა ძიძინაძე,**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი.

კონტრაბანდის წინააღმდეგ

# ეგ თუ 200 ყუთ კივის შეჭამს...

პირველი გვერდიდან

თუმცა, დამეთანხმებით, ძნელია უწოდო „ჩემოდნის კონტრაბანდისტი“ ალექსანდრე კუჭაშვილს, რომლის „ფორდ-ტრანზიტის“ ავტომანქანიდან საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა ამოიღეს არამარკირებული 3530 კოლოფი სიგარეტი „ჩესტერფილდი“, რომელსაც დაკრული უნდა ჰქონოდა საქართველოს აქციზური მარკა.

საგანგებო ლეგიონისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ა.კუჭაშვილმა აღნიშნა, რომ 2003 წლის 14 აპრილს, გამთენიისას, თბილისის ლილოს ბაზრობიდან უცნობი პირის თხოვნით ქალაქ ბათუმში მიჰქონდა ოთხი დიდი ზომის ჩანთა და თუ რა იდო შიგ, მან ლეგიონერებთან ერთად შეიტყო.

იმ მიამიტი „შავი კაცის“ ვინაობა, რომელმაც აი ასე, უბრალოდ, ანდო უცხო მძღოლს ლამის მთელი ბათუმის ერთი დღის სამყოფი „ჩესტერფილდი“, ცხადია, დღემდე უცნობია. არადა, მს სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტური მთავარი სამმართველოს ცნობის თანახმად, უაქციზო სიგარეტის ამ პარტიის მთლიანი ღირებულება 5295 ლარია.

ასეა თუ ისე, საგანგებო ლეგიონში არ ირწმუნეს ა. კუჭაშვილის ახსნა-განმარტება და ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად მარკირებას დაქვემდებარებული საქონლის ქართული აქციზური მარკის გარეშე შენახვა და გადაზიდვა დასჯადი მოქმედებაა, მის მიმართ კოდექსის მე-200 მუხლით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონტრაბანდულად „გვამარაგებენ“ არა მარტო ნაგავი თამბაქოთი, იაფფასიანი სპირტითა და ნავთობპროდუქტებით, არ „გვაკლებენ“ სხვა საქონელსაც. ამის მაგალითი, ჩვენი მონაცემებით, საკმარისზე მეტია, რაც საქართველოზე გაცილებით დიდ ქვეყანასაც კი გვარიანად აზარალებდა.

როცა ერთ მშვენიერ დღეს მარნეულის რაიონის სოფელ ქესალოში მცხოვრებმა აზად მამედოვმა საბაჟო-გამტარი პუნქტი „წითელი ხიდი“ გამოიარა, რომელიც, როგორც ყველამ კარგად ვიცით, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზეა, მან „პაზის“ მარკის ავტობუსში ხუთ მგზავრთან ერთად შეავსო ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია. მასში მიუთითა, რომ აზერბაიჯანიდან მოჰქონდა მცირე ოდენობის ბოსტნეული პირადი მოხმარებისათვის. როგორც ჩანს, მებაჟეებს ეჭვი შეეპარათ ა. მამედოვის გულწრფელობაში და საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებთან ერთად ავტომანქანა ტერმინალში შეიყვანეს. ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ავტობუსში აღმოაჩინეს არადეკლარირებული სხვადასხვა დასახელების სასურსათო საქონელი, კერძოდ: 200 ყუთი კივი, 70 ყუთი ფინიკი და 10 ტომარა ბადრიჯანი. ამ საქონლის საბაჟო გადასახადების გადაუხდელი თანხა, ექსპერტიზის ცნობის შესაბამისად, დაახლოებით ათას ლარს შეადგენს. ეს მოქმედება კანონსაწინააღმდეგოა, ვინაიდან შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. სისხლის სამართლის საქმე ა. მამედოვის მიმართ სწორედ ამ მუხლითაა აღძრული.

ცალკე აღვნიშნავთ, რომ მარნეულის რაიონულმა სასამართლომ საგანგებო ლეგიონის თანამშრომელთა მიერ გატარებული საგამოძიებო ღონისძიებები კანონიერად მიიჩნია.

**ოთარ ტურაბელიძე,**
საქინფორმის კორ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

№ 169. კვირა, 29 ივნისი, 2003 წელი.

## განსჯა

(პირველი გვერდიდან)

შეიძლება კითხვა ასეც დავსვათ — ვინ ხარ შენ, ხალხო?! ან კიდევ უფრო ნათლად — ვინ არის ის, ვისაც ხალხს ვეძახით?!

გეთანხმებით, ძალიან ბანალური კითხვაა და ვისაც ამ კითხვაზე ასეთივე ბანალური პასუხი აქვს, ვურჩევ, დანარჩენს ნუღარ წაიკითხავს.

მარქსიზმი და მასზე დაფუძნებული ისტორიული მატერიალიზმი, საერთოდ უარყოფდა პიროვნების როლს ისტორიაში, ამბობდა, რომ ისტორია ვითარდება ხალხის ნებით, მსოფლიო ისტორია, ეს ხალხის ისტორიააო. მოკლედ, ისტორიას ქმნის ხალხიო. ნაბუქოდონოსორი? მაკედონელი? ნაპოლეონი? აინშტაინი? ოპენგეიმერი? — დიახ, ბატონო, ისინი და მათი მსგავსი იყვნენ, მაგრამ ისინი გამოხატავდნენ ხალხის ნებას, ისინი იყვნენ ხალხის სახე და ერთადერთი, რის გაკეთებაც შეეძლოთ, იყო მოვლენების ოდნავ დაჩქარება ან ოდნავ შენელება. ისტორიის მთავარი მამოძრავებელი ძალა კი მუდამ და ყველგან იყო მისი უდიდებულესობა ხალხი!

თანამედროვე მსოფლიოში დემოკრატიზმის პრინციპები მძლავრობს. მეფეთა ძალაუფლებას დემოსის, ჯამაათის, ხალხის ძალაუფლება ენაცვლება. ქვეყანა პარლამენტს და პრეზიდენტს ირჩევს. ხელისუფლება ხალხის სახელით ლაპარაკობს.

მოდი, ჩვენს სინამდვილეს დავუბრუნდეთ, იქნებ გავარკვიოთ,

# POPULUS



ვინ იგულისხმება „ხალხის“ ცნობაში, ანუ ხალხზე ლაპარაკისას, ვინ ვის გულისხმობს.

ძალიან რთული ვითარებაა: ხელისუფლების აზრით, ხალხი მხარს უჭერს ხელისუფლებას, ქვანიას აზრით, — ქვანიას, მიშა სააკაშვილის აზრით, — მიშა სააკაშვილს, შალვა ნათელაშვილის აზრით, — შალვა ნათელაშვილს, შარაძის აზრით, — შარაძეს. ის, ვისაც ხალხს ეძახიან, მხარს უჭერს ბასილ მკალავიშვილს, მის უწმინდესობა ილია II, კათოლიკეებს, იეღოველებს, ორმოციანელებს, ბაპტისტებს, პანტელეიმონ გიორგაძეს, ათო მარგიანს, „დათვს“, „კმარას“, კოტე კემულარიას და ვიტალი ხაზარაძეს...

ხალხი გამოდის ქუჩაში ნაციონალისტებს მხარდასაჭერად და მოქალაქეთა კავშირის ნარჩენების მხარდასაჭერადაც...

ხალხი მხარს უჭერს ერაყს და ხალხი მხარს უჭერს ერაყთან მეომარ ინგლის-ამერიკას...

ხალხი მოითხოვს რუსეთთან შეერთებას და ხალხი მოითხოვს რუსეთის წინააღმდეგ ომს...

ხალხი მოითხოვს სიკვდილით დასჯას და ხალხი მოითხოვს სიკვდილით დასჯის გაუქმებას...

ხალხი მოითხოვს რესპუბლიკას და ხალხი მოითხოვს მეფობის აღდგენას...

ხალხი მზადაა ასაჯანყებლად და ხალხი ოცნებობს მშვიდობაზე...

ვთქვათ კიდევ ერთი ბანალური სიმართლე: ის, ვისაც ჩვენ ხალხს ვეძახით, არც ვინმეს მხარს უჭერს, არც ეწინააღმდეგება, არც მოითხოვს და არც მოუწოდებს. ამას ლაპარაკობენ ისინი, ვინც საკუთარ თავს უწოდებენ პოლიტიკოსებს, ისინი, ვინც ელტვიან ხელისუფლებას და ოცნებობენ ძალაუფლებით ტკბობაზე, ისინი, ვისთვისაც ხალხი სხვა არაფერია, ამომრჩეველთა ხმების და უგონო ბრბოს გარდა.

მათ შესანიშნავად იციან, რასაც აკეთებენ.

ხალხი — პოლიტიკოსებისთვის და ხალხი — თავისთავად, ზოგადად, აბსოლუტურად განსხვავებული ცნებებია.

ხალხი ქმნის — აშენებს, აზროვნებს, ხნავს, თესავს, ხატავს, აქანდაკებს, მსჯელობს, ფილოსოფოსობს. იგი ამას აკეთებს უჩუმრად, უხმაუროდ, სამეცნიერო დაწესებულებაში, სამშენებლო პოლიგონზე, მინდორში, სპორტულ მოედანზე, ბიბლიოთეკაში, ტაძარში, აუდიტორიაში.

ხოლო ის, ვინც ლოზუნგებით, მიკროფონებით, დროშებით, ჯვრებითა და ფერადი ზეთოვანი სალებავებით ხელში ქუჩაში გამოდის, მოითხოვს, იმუქრება, წვავს, ანადგურებს, ზეცას მუშტებს უღერებს, შენობის კიბეებზე წვება, შუა ქუჩაში კარავს დგამს და შიმშილობას იწყებს — არის დამანგრეველი ძალა, უგუნური და უსახო ბრბო, ანუ სწორედ ის, რაც სჭირდება უსინდისო პოლიტიკოსს „სუფთა ხელებით“ ხელისუფლებაში მისასვლელად, უფრო ზუსტად — ძალაუფლების მოსაპოვებლად.

ხალხის ბრბოდ, ანუ მასად გადასაქცევად ბევრი ფილოსოფია სულაც არ არის აუცილებელი. საჭიროა გამწვავებული სოციალური (რელიგიური, ნაციონალური) ფონი და ცოტა საკუთარ სინდისთან გამწყრალი (გნებავთ, — ნამუსგარეცხილი) პოლიტიკოსი, ვინც ბრბოზე ზემოქმედების ტექნოლოგიას იცნობს და ისედაც გაჭირვებული ადამიანების ნერვებზე თამაში არ ესირცხვება. გაჭირვება კი იცოცხლეთ, თავზე საყრელად გვაქვს.

პატივცემულ მეცნიერთა ჯგუფი, როცა იგი ლექციას კითხულობს, ლაბორატორიაში ცდებს აყენებს, სამეცნიერო სიმპოზიუმში მონაწილეობს, არის ხალხი, მაგრამ თუ იგივე ჯგუფი ნებისმიერი მოტივით ქუჩას გადაკეტავს, კედლებზე საკუთარ ავტოგრაფებს დატოვებს და მუშტშემართული მოთხოვნებს წამოაყენებს, არის ადვილად სამართავი ბრბო, მძლავრი იარაღი ძალაუფლებამოწყურებული ავანტიურისტების ხელში.

ავანტიურისტებმა, უმეტეს შემთხვევაში, იციან, როგორ აქციონ ხალხი ბრბოდ და საკუთარი მიზნებისთვის როგორ გამოიყენონ ბრბოდქცეული ხალხის ბობოქარი და დაუოკებელი ძალა.

ამის ნათელი მაგალითია ვლადიმერ ულიანოვი-ლენინი, ვინც ვირტუოზულად ფლობდა ბრბოზე ზემოქმედების ტექნოლოგიას. ვინც დედამიწის ერთ მეექვსედზე ადამიანთა უზარმაზარი მასების (და არა ხალხის!) ამოძრავება და მათი ერთი მიზნისკენ წარმართვა შეძლო. ლენინის მეთაურობით, მისივე იდეებით გაგიჟებული ვეებერთელა იმპერიის მრავალმილიონიანი მასა საკუთარი ფეხით ავიდა სახრჩობელაზე, საკუთარი სისხლით მორწყო რუსეთის თვალუწვდენელი ტრამალები, საკუთარი ხელით ჩაიკეტა აღმოსავლეთ ციმბირში გადაკარგულ „ლაგერებში“, თვითონვე თქვა უარი საკუთარი ქმედების გონებით კონტროლზე.

შედეგად, შეიქმნა უზარმაზარი იმპერია, სადაც სამოცდაათი წლის განმავლობაში მძლავრობდა ბრბოს მოჩვენებითი დიქტატურა, თვითონ მისმა შემოქმედმა ბრბომ კი თავგამოდების სანაცვლოდ მიიღო მაუზერის ტყვია, სახრჩობელა, ციხე, უსამართლობა და სიღატაკე.

მსოფლიოს პროგრესულ ნაწილს 70 წელიწადი დასჭირდა ამ გაუგონარი დიქტატურის დასანგრევად, ხოლო მისი ეკონომიკური და იდეოლოგიური მემკვიდრეობის აღმოსაფხვრელად, იქნებ, 700 წელიწადიც არ ეყოს.

საბედნიეროდ, თანამედროვე საქართველოში ლენინის გაქანების ავანტიურისტი არა გვყავს, სამაგიეროდ, გვყავს ლიდერის ყვითელმაისურიანი (როგორც საგზატკეცილო ველორბოლაშია მიღებული) მობელადო ტიპები, რომლებიც საკმაოდ წარმატებით ახერხებენ ბრბოს შექმნას და მერე მის პოლიტიკური მიზნებით გამოყენებას.

რაც მთავარია, გაპროლეტარებული და ბრბოდქცეული ხალხი მაზოხისტური სიამოვნებით ატყუებინებს თავს ამბიციურ ბელადუკებს.

**ავანტიურისტებმა, უმეტეს შემთხვევაში, იციან, როგორ აქციონ ხალხი ბრბოდ და საკუთარი მიზნებისთვის როგორ გამოიყენონ ბრბოდქცეული ხალხის ბობოქარი და დაუოკებელი ძალა.**

მოდით, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ჯარისკაცები, გავიხსენოთ კამო, ფრუნზე, პავკა კორჩაგინი და პავლიკ მოროზოვი, გავიხსენოთ, პირველი გულწრფელი ბოლშევიკები, კომკავშირელები, ჰიტლერიუგენდი და ხუნვეიბინები. გავიხსენოთ, როგორ გამოიყენეს ისინი „ბელადებმა“ და რა სასტიკად გაუსწორდნენ, როცა ისინი საშიშ ძალად იქცნენ. ეს კაცობრიობის არცთუ შორეული ისტორიაა, საიდანაც, წესით, დასკვნების გამოტანა არ უნდა ჭირდეს. სამწუხაროდ, დასკვნები კვლავ ავანტიურისტებს გამოაქვთ. ისინი ძველებურად წარმატებით იყენებენ ხალხზე ზემოქმედების ტექნოლოგიებს, კვლავ გამოჰყავთ იგი ქუჩაში, კვლავ გადააუგდებენ გამოხრულ ძვალს (გაცვეთილ ლოზუნგს) და ფუჭ დაპირებებს. ისიც ძველებურად იტყუებს თავს. ისტორიის გაკვეთილები მისთვის ძველებურად არაფერია.

„ბელადები“ ძველებურად კოპწიაობენ ბრბოდქცეული ადამიანების წინაშე: ნათელაშვილი — საკუთარი სიღატაკით; სააკაშვილი — პრინციპულობით; ქვანია — სიმამაცით; შარაძე — ეროვნულობით; ბასილი — მორწმუნეობით...

ბრბო კი, რომელიც წუთის წინათ იყო ხალხი, მზადაა თავი გასწიროს ფარისევლურად ხელიხელჩაკიდებული იმ ადამიანებისათვის, ვისაც ერთმანეთი მტრებად დაუსახავთ, ერთმანეთი სძულთ, ერთმანეთს „მეფის“ ტახტს ეცილებიან და მათ მხარდასაჭერად ქუჩაში გამოსული ადამიანები არარაობად მიაჩნიათ.

ამ ფონზეც კი განსაკუთრებულ უზნეობად ახალგაზრდობის გულუბრყვილობისა და მათი წრფელი გრძნობების პოლიტიკური მიზნებით გამოყენების მცდელობა გამოიყურება.

დღეს რომ იკითხოთ, ვერავინ გეტყვით, თავის დროზე უშუალოდ ვისი ხელმძღვანელობით შეიქმნა გერმანიაში ახალგაზრდული „სახალხო მოძრაობა“ — „ჰიტლერიუგენდი“, ჩინეთში — „ხუნვეიბინები“, ჩვენში — „კმარა“.

ძალიანაც არ მინდა პარალელების გავლება, მაგრამ ყველა ახალგაზრდული ორგანიზაცია, მათ შორის, საბჭოთა კომკავშირიც, „ხალხზე ზრუნვის საბაბით და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე“ იქმნებოდა. შედეგი ცნობილია — მმართველმა ნაცისტურმა პარტიამ გერმანელი ახალგაზრდების სიწრფელე და ენერგია პოლიტიკური ოპონენტების, ძირითადად, საზოგადოების მოაზროვნე ნაწილის დასათრგუნად გამოიყენა. იგივე განმეორდა ჩინეთში — კომუნისტური ელიტა, პრაქტიკულად, სწორედ „ხუნვეიბინების“ ხელით გაუსწორდა ჩინურ ინტელიგენციას, დაახლოებით იგივე განმეორდა დე გოლის საფრანგეთშიც, სადაც ახალგაზრდულმა მოძრაობამ ხელისუფლებიდან წასვლა აიძულა გენერალ დე გოლის გუნდს და კინაღამ უფსკრულში გადაჩეხა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმავლობის გზაზე დამდგარი საფრანგეთი.

მოვლენათა იმავე სცენარით განვითარების მცდელობაა საქართველოში ახალგაზრდული მოძრაობა „კმარას“ გამოჩენა, მისი ერთ-ერთი, საყმაწვილო ასაკიდან გამოუსვლელი „ლიდერის“ სიტყვებს გავიმეორებ (სატელევიზიო გამოსვლიდან): „სხვაგი რომ ლეშით გაძღება, ის მიდის. თქვენც უნდა წახვიდეთ“.

ეს გაბოროტებული კაცის ნათქვამია. იმ კაცისა, ვინც პატივს არ სცემს საკუთარი მშობლების თაობას, ვინც მზად არის, „მოძრაობის სახელით“ ყელი გამოღადროს ყველას, ვისაც მისი მოღვაწეობის მართლზომიერებაში ეჭვი შეეპარება.

ამ ახალგაზრდების საყურადღებოდ უნდა ვთქვა (პოლიტიკოსები, მათ რომ იყენებენ, მაინც არაფერს შეისმენენ): გაიკითხეთ, რა ბედი ეწია სხვადასხვა ქვეყანაში თქვენამდე არსებულ, ამბიციურ პოლიტიკოსთა ხელით შექმნილ აგრესიულ ახალგაზრდულ „მოძრაობებს“ — დაიღუპნენ იმავე პოლიტიკოსთა ხელით, ვინც ისინი, თავის დროზე შექმნა. დაიღუპნენ, რადგან ხელისუფლებად ქცეულ ოპოზიციას აღარ სჭირდება ოპოზიცია. ხელისუფლებაში კი ადგილების რაოდენობა მკაცრად შეზღუდულია. გულწრფელ, მაგრამ გამოუცდელ და ნგრევის ჟინით შეპყრობილ ახალგაზრდობას იქ არავინ მიუშვებს.

სწორედ ამიტომ იღუპებოდნენ პირველი ფანატიკოსი კომკავშირელები, ჰიტლერიუგენდელები და ხუნვეიბინები.

სწორედ ეს ბედი ელის „კმარას“ და ყველა მსგავს ახალგაზრდულ მოძრაობას, თუკი ხელისუფლებაში მათი შემქმნელი ძალა მოვა. ეს ძალა, უპირველეს ყოვლისა, მისი წინამორბედი ხელისუფლების დამამხობელ „მოძრაობას“ დაასამარებს. ეს კანონზომიერია, რადგან დამანგრეველმა (დამამხობელმა) ძალამ იცის მხოლოდ ნგრევა, პოლიტიკოსები კი ხელისუფლებიდან წასვლას, როგორც წესი, არ ჩქარობენ. ასეთია პოლიტიკური ბრძოლის მგლური კანონი.

ნურც „ხალხის სამსჯავროზე“ გაუთავებელი ლაყბობით მოიტყუებთ თავს. ხალხი კი არ სჯის, სჯის ის, ვის ხელშიცაა გამსჯელი და დამსჯელი ინსტრუმენტი. ხალხი მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როცა ძალაუფლებისათვის ბრძოლას იწყებენ. მისი მოპოვებისთანავე კი ხალხი ავიწყდებათ.

მათთვის ხალხი — მოაზროვნე, შემოქმედი, ყოვლისმცოდნე საზოგადოება არც არსებობს. არსებობს აღტყინებული ბრბო, რომელიც ანგრევს ხალხის სახელით.

მე, ხალხი, ვარ „საზარბაზნე ხორცი“, უგონო მასა, როცა მე ვარ ბრბო.

**თეიმურაზ ძორიძე.**

## პრეზიდენტის ინიციატივით

**სათაურმა არ დაგაბნიოთ. სამოქალაქო თავდაცვის წესებზე როდია საუბარი, სკოლაში რომ გვასწავლიდნენ თავის დროზე. ამ შემთხვევაში საუბარია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ცვლილებებსა და დამატებებზე, რომელიც ქვეყნის ყველა, ყოველ შემთხვევაში, საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქემ უნდა იცოდეს.**

**როგორი იქნება ეს ცვლილებები? როგორი დამოკიდებულებაა უცხოეთის ქვეყნების იურისპრუდენციაში ამგვარი საკითხებისადმი? რა სასჯელი ელით საარჩევნო უფლების მქონე სუბიექტებს ელექტორატის მოსყიდვის შემთხვევაში? ძირითადად ასე მოირკალა საკითხთა ის წრე, რომლის კომენტარიც ჩვენმა კორესპონდენტმა ზიზლა ბობეჩიამ სთხოვა საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს მარიამ ცაცანაშვილს.**

# ეს ყველამ უნდა იცოდეს!..



მარიამ ცაცანაშვილი.

— საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, არჩევნების სამართლიანად და ობიექტურად ჩატარებისათვის გარკვეული ღონისძიებების განხორციელება უკვე დაიწყო. მხედველობაში მაქვს საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების მთელი პაკეტი. ამჯერად მომზადდა და პარლამენტში შევიდა ახალი პაკეტი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. იგი ეხება ამომრჩეველთა მოსყიდვას. გამორიცხული არ არის, რომ საარჩევნო საკითხებზე სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელის შემოღება ზოგიერთისთვის ძნელი გასააზრებელი აღმოჩნდეს, მაგრამ იმედია, დამეთანხმებით, ნებისმიერი საკითხის კრიმინალიზაცია დაკავშირებულია ამა თუ იმ კონსტიტუციური სიკეთის დაცვასთან. დღეისათვის კი საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულია მოქალაქეთა ძირითადი უფლება არჩევნებში მონაწილეობისა. შემოთავაზებული ცვლილება ეხება სისხლის სამართლის კოდექსის იმ თავს, რომელიც მოქალაქეთა უფლებების დაცვასთან არის დაკავშირებული. ამ ცვლილებისა და დამატების მიხედვით დაისჯება არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ადამიანის ნების განხორციელებისთვის ხელის შეშლა ან უკანონო ზემოქმედება. ხოლო მეორე მუხლით მკაცრად დასჯადი გახდება ამომრჩეველთა მოსყიდვა, რაც გულისხმობს არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ამომრჩევლის მოსყიდვის მიზნით მისთვის საჩუქრის, ფულის, ფასიანი ქაღალდის, მომსახურების ანდა სხვა ქონების გადაცემას, რათა მან არ განახორციელოს თავისი საარჩევნო უფლება ან განახორციელოს იგი თავისი ნების საწინააღმდეგოდ. მოსალოდნელი ცვლილების ამგვარი ფორმულირების არსს სისხლის სამართლის სპეციალისტები კარგად გაიგებენ. ეს არ არის ისეთი ჩვეულებრივი დელიქტი, როგორც სხვა სახის ქმედებებია, მაგალითად, ქრთამის მიცემა. ქრთამის შემთხვევაში ისჯება ორივე მხარე — მიმცემიც და ამღებიც. აქ კი მხოლოდ პრევენციულ, ანუ წინმსწრები დანიშნულების აქტთან გვაქვს საქმე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამომრჩეველს სრული გარანტია აქვს იმაზე, რომ მას პასუხისმგებლობა არანაირი ფორმით არ დაეკისრება. ეს ცვლილება-დამატებანი გათვლილია საარჩევნო სუბიექტების ან მისი წარმომადგენლების, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის ან ორგანიზებული ჯგუფის მიერ ამ ქმედების ჩადენის საწინააღმდეგოდ. სწორედ მათ მიმართ არის იგი პრევენციული.

ახლა ისიც ვთქვათ, სასჯელის რა ზომას ითვალისწინებს ამომრჩეველთა მოსყიდვა? პროექტით გათვალისწინებულია ჯარიმა, რომლის ოდენობაც სასამართლომ უნდა განსაზღვროს და თავისუფლების აღკვეთა ვადით 4 წლამდე. ეს პროექტი დადებითად შეაფასეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრისა და უზენაესი სასამართლოს სპეციალისტებმა, უშიშროების საბჭოს აპარატის ექსპერტებმა და სხვა. რაიმე განსაკუთრებული შენიშვნა ან წინადადება არ შემოსულა. პროექტი მოწონებულია მთავრობის სხდომაზე, ამჟამად იგი პარლამენტშია და მისი განხილვა საგანგებო სესიაზე მოხდება. რაც შეეხება ოპოზიციას, მას ჯერ რამე პოზიცია არ გამოუხატავს.

დაბოლოს, ცნობისათვის მინდა ვთქვა, რომ ამომრჩეველთა უფლებების შელახვაზე დასჯადი პრაქტიკა უცხოეთის უამრავ ქვეყანაში (გერმანია, დანია, შვეიცარია, პოლონეთი, ჩინეთი, ბულგარეთი და სხვა) საკმაოდ მძიმეა. იქ ზოგან — 5, ზოგან კიდევ 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთაა, აღარაფერს ვამბობ ფულად ჯარიმებზე.

## არჩევნები

# უცხოელთა იმედით?

**„ახალი მემარჯვენეების“ ყრილობაზე, რომელიც თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა, სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ მოუწვევიათ. აქედანაც ჩანს, რომ ერთიანი ოპოზიციური საარჩევნო ბლოკის შექმნის პერსპექტივა, ჯერჯერობით, კვლავ გაურკვეველია (უფრო სწორად, განწირულია).**

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ სულ ორი წლის წინათ შექმნილმა „ახალი მემარჯვენეების“ პარტიამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში საკმაო წარმატება მოიპოვა. ყრილობამდე „ახლებმა“ განაცხადეს, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად მიიღებენ. ამბობენ, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობა „ახლებს“ ამერიკელმა იმიჯმეიკერებმა ურჩიესო.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში პოლიტიკური ტექნოლოგიის სპეციალისტები, ანუ, იმიჯმეიკერები პირველად 1999 წელს გამოჩნდნენ. მანამდე ჩვენი პოლიტიკოსები წინასაარჩევნო სტრატეგიასა და ტაქტიკას თვითონ ირჩევდნენ, პოლიტკონსულტანტების შესახებ მათ ძალიან ზოგადი წარმოდგენა ჰქონდათ.

1999 წელს დახმარებისათვის უცხოელ იმიჯმეიკერებს მოქალაქეთა კავშირმა და „აღორძინებამ“ მიმართეს. მოქკავშირმა რუსი იმიჯმეიკერები ირჩია, აღორძინებამ — ბალტიისპირელები. ბალტიისპირელმა იმიჯმეიკერებმა ბათუმური ბლოკის მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილეს და მათი თანამშრომლობა არ შედგა. სმკ-ს ჩამოყვანილი რუსი პოლიტკონსულტანტები კი 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში აქტიურად მონაწილეობდნენ, რასაც საზოგადოება ქვანიასააკაშვილს პერიოდულად შეახსენებს ხოლმე. სწორედ მაშინ გავრცელდა ინფორმაცია, — რუსმა პოლიტტექნოლოგებმა საქართველოს მმართველ პარტიასთან მუშაობისას სტრატეგიული მნიშვნელობის ინფორმაცია მოიპოვესო.

სპეციალისტების აზრით, საქართველოში პოლიტიკური კონსულტანტების ინსტიტუტის განვითარებას რამდენიმე წელი დასჭირდება. ამიტომაც ჩვენი პოლიტიკოსები დახმარებისთვის კვლავ უცხოელებს მიმართავენ. სხვათა შორის, ამბობენ, რომ მოსალოდნელია ჩამოვიდეს ბილ კლინტონის იმიჯმეიკერი, მაგრამ თუ რომელ პოლიტიკურ ლიდერს ან პარტიას მოემსახურება, ცნობილი არ არის.

არჩევნებისთვის მოსამზადებლად იმიჯმეიკერები გვეყოლებაო, ამას დაუფარავად ჯერჯერობით მხოლოდ „ახალი მემარჯვენეები“ აცხადებენ. „ახლების“ თქმით, ამერიკელი პოლიტკონსულტანტები („ახლებისა“ და აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის თანამშრომლობის ფარგლებში) მათ უფასოდ მოემსახურებიან.

2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები საინტერესო იმიჯმეიკერების სიმრავლითაც იქნება. პოლიტკონსულტანტების ჩამოყვანას სხვა პარტიებიც აპირებენ.

„ახლების“ ყრილობას მრავალრიცხოვანი დელეგატების გარდა, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციათა წევრები და ჟურნალისტები ესწრებოდნენ. როგორც მოგახსენეთ, ყრილობაზე სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ მოუწვევიათ. ყრილობა საკმაოდ არაორდინარულად წარიმართა და მუსიკალური თუ ვიდეოეფექტებით გაჯერდა.

ყრილობაზე „ახალმა მემარჯვენეებმა“ წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად გახსნილად გამოაცხადეს. პარტიის თავმჯდომარედ და საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად დავით გამყრელიძე აირჩიეს.

„ახალი მემარჯვენეები“ თვლიან, რომ საპარლამენტო არჩევნებში შთამბეჭდავ წარმატებას მიაღწევენ. თუმცა, ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, ძალიან ძნელია ისაუბრო „ახლებზე“. მათ არანაირი თემა, რომელიც საქართველოში მცხოვრები მოქალაქეების ფართო მხარდაჭერაზე იქნება ორიენტირებული, ჯერ გამოკვეთილი არა აქვთ. ჰაერზე ტრაბახი კი რა გამარჯვების მომტანია?

**მზია გელენავა.**

## დღეს — ხვალისათვის

(პირველი გვერდიდან)



ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას ხეობა გამოუცოცხლებია. როგორც მშენებლები მეუბნებიან, თურმე ხადორელები კვლავ ამოდიან თავიანთ ნასოფლარზე და მიწების მოზომვა სურთო. იქნებ გაცოცხლდეს კიდეც სოფელი, ამაზე დიდი საქმე რაღა იქნება. მართლაც, რა შეუძლია ადამიანის ხელსა და მონდომებას. იმ გზაწვრილზე, სადაც ამ რამდენიმე თვის წინათ ცხენიან კაცს უჭირდა გავლა, დღეს ჩვენი საბის მარკის ავტობუსი ისე თავისუფლად მისრიალებს, ვერც გაიფიქრებ, მთის ნაბილიკარს რომ მიუყვები.

მანამდე კი საგუშაგოზე გვაჩერებენ. უკვე სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს უკვე კარგად ორგანიზებული შეიარაღებული ძალები ჰყავს. ეს ჯარისკაცები აღარ ჰგვანან იმ სამხედროებს, ხუთი-ექვსიოდე წლის წინათ ქუჩაში სინანულით რომ ვაყოლებდით თვალს. ეს უკვე საკუთარ ძალაში დარწმუნებული ხალხია, ვისაც კაცურად შეუძლია სამშობლოს ღირსების დაცვა.

დღეს პანკისში სიმშვიდეა და ეს, უმთავრესად, სწორედ ამ ბიჭების დამსახურებაა. ამას მოგვიანებით, ჰესის სათაო ნაგებობაზე თავად ახმეტის რაიონის გამგებელი ნუკრი ალავიძეც საგანგებოდ აღნიშნავს, ამასვე იტყვიან „ხადორჰესის“ მშენებლები.

სათაო ნაგებობა კი მართლაც გრანდიოზულია. თითქმის საჯიხვეებამდე ავდივართ. აქ შენდება წყალმიმღები ნაგებობა, საიდანაც მდინარე სამყურა კლდეში გაჭრილი გვირაბით დაექანება გენერატორების ტურბინებამდე. ეს დეკემბერში მოხდება, მანამდე კი, როგორც „ენგურჰესის“ კაშხლის სამმართველოს უფროსი ვლადიმერ გოქსაძე მიხსნის, აქ საკმაო მოცულობის სამუშაოა შესასრულებელი.

— ურთულესი უბანია, ასე ხუდონის გადაკეტვის დროს არ გავწვალებულვართ, ვიწრო, დაქანებული ხეობაა, რთული მისადგომიაო, — მიყვება ბატონი ვლადიმერი და კლდის ქიმიდან გადმოვარდნილ ჩანჩქერზე მითითებს, რომელიც ბროლის სვეტებად ეხეთქება ქარაფებს და დაბლა ხეობაში ზვავის მიერ ჩამოტანილი თოვლის ნარჩენების ქვეშ იკარგება. — აი, იმ მეორე საფეხურს ხომ ხედავთ, იქამდე იყო ხეობა თოვლით სავსე, ამან სამი თვით მაინც შეგვაფერხა, მაგრამ მაინც დროულად მოვასწარით გვირაბის გაჭრაო.

გვირაბი კი, რომლის სიგრძე 2682 მეტრია, ახალი როტაციული კომპლექსური დანადგარით ითხრება. ასეთი მანქანები ქართველ გვირაბგამყვანებს დღემდე არ გამოუყენებიათ. ეს კომპლექსური კომბაინი ჭრის, ამაგრებს, ანგრევს და უკან გამოაქვს ნაშალი ქანები. დღე-ღამეში 20-25 მეტრი კლდის ქანის გაბურღვა შეუძლია. ადრინდელ ტექნოლოგიებს, რომელსაც აქამდე ჩვენი სპეციალისტები იყენებდნენ, ასეთ ქანებში ორიოდე მეტრი სიგრძის გვირაბის გათხრა თუ შეეძლო. სულ მალე ჩვენ ამ მანქანას და მისი მუშაობის პრინციპს თვალსაჩინოდ ენახავთ, მაგრამ მოდით, მანამდე „ხადორჰესის“ მშენებლობის გენერალურ დირექტორს სოსო მჭედლიშვილს გავესაუბროთ.

ცნობისთვის. მშენებლობას ინვესტორის, ჩინეთის მხარიდანაც ჰყავს დანიშნული ხელმძღვანელი და როგორც აქ ამბობენ, მეტად მკაცრი და პრინციპული.

— წლეულს, დეკემბერში, — მეუბნება ბატონი სოსო მჭედლიშვილი, — ჰიდროელექტროსადგურის ორივე აგრეგატი გაიშვება. ხადორის ძირითადი ჰესის სიმძლავრე 26 მეგავატია. თუ ამას დავუმატებთ ორ მცირე ჰესსაც, რომლებიც უკვე მუშაობს და მშენებლობას ელექტროენერგიით უზრუნველყოფს, საერთო სიმძლავრე 29 მეგავატს მიაღწევს.

სამყურას გვირაბი თითქმის დასრულებულია. მეორე გვირაბის მშენებლობა, რომლითაც ალაზნის ნაკადი მიუერთდება სადაწნეო გვირაბს, თებერვალში დასრულდება (მისი სიგრძე 4500 მეტრს აჭარბებს), სადგური მთელი სიმძლავრით ამუშავდება და წელიწადში 120 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. პროექტით გათვალისწინებულ ვადებში დასრულდება სადგურის ძირითადი, სამანქანო შენობის აგებაც. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, რომელსაც სპეციალური ცემენტი სჭირდება, ამ მასალით მთლიანად კასპის ცემენტის ქარხანა ამარაგებს და იგი სრულად უზრუნველყოფს უცხოელი დამკვეთების მკაცრ მოთხოვნებს.

— როგორც ცნობილია, — განაგრძობს მშენებლობის გენერალური დირექტორი, — ეს ჰიდროელექტროსადგური ჩინეთის სახელმწიფოს მხარდაჭერით შენდება, სწორედ მათ გაიღეს ინვესტიცია, რომლის საერთო მოცულობა 27 მილიონ ამერიკულ დოლარს აღწევს. დღეს უკვე სამუშაოების 70 პროცენტი შესრულებულია. შემოტანილია ყველა საჭირო მასალა და დანადგარი.

მშენებლობაზე 500 კაცამდეა დასაქმებული. აქ საქართველოს ყველა კუთხისა და ეროვნების წარმომადგენელს შეხვდებით, მათი საშუალო ხელფასი 400 ლარს აღწევს.

მშენებლობას ჩინეთის სიჩუანის ენერგოკორპორაციის დაკვეთით შპს „ფერი“ აწარმოებს. ეს მთლიანად ქართული კომპანიაა, რომელსაც უკვე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საკმაო გამოცდილება აქვს, ბატონი სოსო მჭედლიშვილიც ამ კომპანიის წარმომადგენელია. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ჰიდროტექნიკურ თუ ჰიდროსამშენებლო სამუშაოებს ქართველი სპეციალისტები ხელმძღვანელობენ და ასრულებენ. მათ შრომისმოყვარეობასა და პროფესიონალიზმზე „ხადორჰესის“ მშენებლობის ჩინელი დირექტორი სიან ძიან ციუანი, რომელიც მთლიანად კურირებს და თავის სპეციალისტებთან ერთად აკონტროლებს კიდეც მშენებლობის მიმდინარეობის ტექნოლოგიურ პროცესებსა და ხარისხს, საგანგებოდ აფასებს.

საბურღი მანქანის კბილების ღრჭიალი თანდათან ძლიერდება, რაღაც უხილავი ძალა გრანიტის სალ კლდეს შიგნიდან ჯიუტად ღრღნის. გამოცდილი გვირაბმშენებელი, რომლის ხელმძღვანელობითაც, ალბათ, კილომეტრობით გვირაბია გათხრილი, დღეს პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში ბიძინა სონღულაშვილი ემოციას ვერ ფარავს. ეს ბუნებრივიცაა. ის ხომ პირველივე დღეებიდან თავს დასტრიალებს მშენებლებს.

დღეს „ხადორჰესის“ მშენებლობაზე საპასუხისმგებლო მომენტია, ურთულეს რელიეფურ პირობებში იჭრება პირველი სადერივაციო გვირაბი.

და აი, სიხარულის ყიჟინის თანხლებით, ვერ გაარჩევთ ჩინელები უფრო ხმაურობენ თუ ქართველები, შამპანურის ბოთლები ელეწება რკინისმკვნეტელი „მახრის“ კბილებს. მართლაც უჩვეულო საზეიმო განწყობაა. ეს წამი დარჩება ისტორიას. ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტი ლევან ლომაძე ჩინელ და ქართველ სპეციალისტებს სალ კლდეზე გაჭრილი გვირაბის ფონზე აღბეჭდავს ფირზე.

ისტორიას მალე ჩაბარდება უშუქობაც, სხვა პრობლემებიც. როგორც აქ გვითხრეს, „ხადორჰესის“ მშენებლობის დასრულების შემდეგ ჩინელ ინვესტორებს სხვა პროექტის განხორციელების გეგმაც შეუმუშავებიათ. ღმერთმა ქნას, ჩვენც მათ მიმართ მადლობის მეტი რა გვეთქმის.

**შოთა მაჭარაშვილი.**



„ხადორჰესის“ მშენებარე სამანქანო კორპუსი.



კლდეში გაჭრილი სადერივაციო გვირაბი.

## სამომხმარებლო პროდუქტზე ფასები შემცირდა

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, ამ კვირის განმავლობაში კარტოფილი, ყველი, ხახვი, ქათმისა და ღორის ხორცი საშუალოდ 10-30 თეთრით გაიაფდა, საქონლის ხორცი კი გაძვირდა.

სტატისტიკოსთა ცნობით, გასულ კვირასთან შედარებით, ფასების საერთო დონე საშუალოდ 0,86 პროცენტით შემცირდა, მათ შორის სურსათზე — 2,38 პროცენტით. არასასურსათო საქონელსა და მომსახურებაზე კი ფასები უცვლელი დარჩა.

წინა კვირას კარტოფილი და საქონლის ხორცი იყო გაიაფებული. ყველი კი — გაძვირებული.

## კიდევ რვა პატიმარი გაიქცა

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის № 6 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან 27 ივნისს, დაახლოებით 23 საათზე პატიმრები გაიქცნენ.

როგორც „ინტერ-პრესს“ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პრეს-სამსახურში განუცხადეს, დაწესებულების გუშაგი ზაურ გაბოძე აკრძალულ კამერში შევიდა მსჯავრდებულთა ჯგუფთან და ანგარების მოტივით მიაგოვა საგუშაგო, რათა პატიმრებისთვის ალკოჰოლური სასმელი გადაეცა. ამით მსჯავრდებულებმა ისარგებლეს, გაბოძეს თავს დაესხნენ, დაეუფლნენ „აკაესის“ სისტემის ავტომატურ იარაღს და გაიქცნენ.

გაქცეულთა შორის არიან: ორჯერ ნასამართლევი ზვიად გელაშვილი (ყაჩაღობისა და იარაღის უკანონო ტარებისთვის მისჯილი აქვს 14 წელი), დავით გელაშვილი (13 წელი), ორჯერ ნასამართლევი გიორგი გელაშვილი (14 წელი), ორჯერ ნასამართლევი ვასილ გაზეზილაძე (14 წელი), რეზო მაისურაძე (3 წელი და 6 თვე), ორჯერ ნასამართლევი კახაბერ ხუროშვილი (9 წელი), ორჯერ ნასამართლევი გიორგი ყველიაშვილი (7 წელი), სამჯერ ნასამართლევი ვეფხია თინიკაშვილი (6 წელი).

ბოლო ორი თვის მანძილზე ეს უკვე მეხუთე გაქცევაა. ფაქტია, რომ ძაღლის თავი სადღაც ახლოა დამარხული.

**ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 169. კვირა, 29 ივნისი, 2003 წელი.

ხელოვანი

# რობერტ სტურუა: „როცა მტრულად აღიქვამ ცხოვრებას, იგი დაგთრგუნავს"

***ყოველკვირეულ ჟურნალ „ოგონიოკის" 23-ე ნომერში (2003 წლის ივნისი) გამოქვეყნდა ჟურნალისტ მაია ჩაპლიგინას საუბარი ცნობილ ქართველ რეჟისორთან რობერტ სტურუასთან. გთავაზობთ ნაწყვეტს ამ ინტერვიუდან.***

— არ მიყვარს ცურვა დინების საწინააღმდეგოდ, — თქვა რობერტ სტურუამ, — ბედს მივენდობი და ვამბობ: წამიყვანე, სადაც გსურდეს, წინააღმდეგობას არ გიგიწევ.

თუმცა, არის ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი. როცა ცხოვრებას აღიქვამ მტრულად, თითქოს იგი გთრგუნავდეს, მართლაც დაგთრგუნავს. არადა, თუ სამყაროს, ყველას და ყველაფერს უყურებ სიყვარულით, შენც შეგიყვარებენ და ეს მზერა დაგიბრუნდება სარკეში არეკლილივით.



**— მახსენდება ერთი იაპონური ფილმი — „სიცოცხლის შემდეგ". ამ სურათის მთელი არსია ის, რომ ადამიანები გარდაცვალების შემდეგ ხვდებიან სადღაც სანატორიუმში, არსებითად — განსაწმენდელში. იქ მათ აძლევენ კამერას და სთხოვენ გადაიღონ ფილმი თავიანთი ცხოვრების ყველაზე ბედნიერ დღეზე, რათა შემდეგ უჩვენონ იგი უმაღლეს კომისიას. წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ შეგთავაზეს არა ფილმის გადაღება, არამედ თეატრალური დადგმის განხორციელება, რას დადგამდით?**

— დღეს, რომელიც მე გამამართლებდა?.. უკვე სკოლაში ვსწავლობდი. ერთხელ ბიბლიოთეკიდან მოვიტანე წიგნი „ბიძია რიმუსის ზღაპრები". იმავე საღამოს სიცხემ ამიწია. მეორე დილით სკოლაში არ წავსულვარ. მე უკვე ბედნიერი ვიყავი! დედამ მაშინ ქადები გამოაცხო და მეც ვიწექი, ვკითხულობდი წიგნს, მივირთმევდი ტკბილეულს, დედა კი ჩემს გვერდზე იჯდა და რაღაცას ქარგავდა... ალბათ, ეს სურათი ვერ გადმოსცემს სიხარულის გრძნობას. მაგრამ ჩემთვის ეს იყო ცხოვრების ერთ-ერთი ნათელი დღე. და კიდევ ერთი ბრწყინვალე გაელვება, როცა შვილიშვილი შემეძინა. ახლა გოგონა ცხრა თვისაა. კიევში სპექტაკლის დასადგმელად რომ გავემგზავრე, ექვსი თვის იყო. შინ დაბრუნებისას ძალზე ვღელავდი — მიცნობდა ბავშვი, თუ ვერა... პირველად არ მოეწონა, როცა ხელში ავიყვანე, თუმცა მალე გაჩუმდა და უცებ ვიგრძენი, რომ გაუხარდა ჩემი დანახვა. მაგრამ, მოულოდნელად ცემა დამიწყო. რას იზამ, ქალი მაინც ქალია!

**— სიყვარულით, თუ წყენის გამო?..**

— ეს ხომ ქალის ემოციებია! ამის ახსნა შეუძლებელია და არც არის საჭირო. მთავარია, რომ მაშინ უდიდესი ბედნიერების წამი მქონდა.

**— ბოლო წლები საქართველოში საკმაოდ მძიმე იყო. ყველა, ვისთანაც კი მომიწია ურთიერთობა, არათუ უჩიოდა გაუსაძლის პირობებს, არამედ აშკარადაც კი უსვამდა ამას ხაზს. გულახდილად რომ გითხრათ, ამის მოსმენა ცოტა უცნაური იყო, რადგან ჩვენ შევეჩვიეთ კლიშეს, რომ ქართველები ყველაზე უკეთ ცხოვრობდნენ საბჭოთა კავშირში.**

— რაც შეეხება ქართველების მდიდრულ ცხოვრებას... ეს მითია. თუმცა, არცთუ ისე უსაფუძვლო. რა დასამალია და, ხალხი ფულს შოულობდა არა მარტო პატიოსანი შრომით, არამედ დანაშაულებრივი გზითაც — იქურდებოდა სისტემა. მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს. ქართველებს ხომ მუდამ უყვართ, უჩვენონ, თუ რა ხელგაშლილად ცხოვრობენ, როგორ ხარჯავენ ფულს და ქართველთა სიბარიტობაც, ჩემი აზრით, ისევ ქართველებმა მოიგონეს.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან საქართველომ ყველაზე დრამატულად გადაიტანა იმპერიის რღვევა. საკმაო ხანს მეც გარკვეულწილად დაბნეული ვიყავი, ვერ წარმომედგინა, როგორ შევურიგდებოდით იმას, რომ არ იყო შუქი, ფული, ცხოვრებისათვის საჭირო ელემენტარული ნივთები. ჩვენმა შესანიშნავმა მსახიობმა კახი კავსაძემ ერთხელ ძალზე კარგად თქვა: გაჭირვების პერიოდში, ერთხელ საღამოთი ავდექი და ჩაცმა დავიწყე. ჩემმა პატარა შვილიშვილმა მკითხა: „ბაბუა, სად მიდიხარ?" „დასაძინებლად", ვუპასუხე მე... უნდა ითქვას, რომ ჩვენ, თეატრის ხალხს, უფრო გაგვიიოლდა. ჩვენ ხომ ბოშებივით ყველა გაჭირვებას ადვილად ვეგუებით.

**— სხვათა შორის, მაშინ თქვენ აქტიურად დგამდით სპექტაკლებს მთელ მსოფლიოში. შეიძლება ითქვას, რომ სიძნელეები არ შეგხებიათ?**

— როგორ გითხრათ... არასდროს მჯეროდა, რომ ქართველები შეიძლება იქცნენ ბრბოდ, ჩვენ ხომ ძალზე თავისუფალი ერი ვართ. და ჩემთვის დიდი ტრავმა იყო, როცა ვიგრძენი, რომ ეს სავსებით შესაძლებელია... რამდენჯერმე მე თვითონაც აღმოვჩნდი მიტინგებზე, დემონსტრაციებზე. და გარკვეულ მომენტში ვიგრძენი, რომ ცოტაც და გადავიქცეოდი ბრბოს ნაწილად, დავკარგავდი საკუთარ პიროვნებას...

და მაინც, ჩვენმა ხალხმა ძალზე ღირსეულად დააღწია თავი ამ განსაცდელს. ერთი რამ გვიშლის ხელს. მრავალ ჩვენგანს დღემდე არა აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ქალბატონი დაპატიჟოს რესტორანში. ამიტომ, ასეთ ადამიანებს ხშირად დამალვა უწევთ...

მსურს გაგიზიაროთ კიდევ ერთი დაკვირვება. სიცოცხლისადმი სიყვარულს ძალზე ზრდის იმის შეგრძნება, რომ მოკვდავი ხარ. ქართველები კი, ჩემი აზრით, ამას უღარესად მწვავედ განიცდიან. ამიტომაც ცხოვრობენ ძალზე ენერგიულად, შინაარსიანად, ცდილობენ ყველაფერში მაქსიმუმის მიღწევას. ყოველივე ეს სხვა ხალხებსაც ახასიათებს. და მაინც, უმრავლესობა აქტიურად ცდილობს ჩამოიშოროს ასეთი პრობლემები. სწორედ ამიტომაც ცხოვრება უფრო ერთფეროვანი ხდება. ეს განსაკუთრებით შეინიშნება მსახიობებში. საერთოდ კი, ვფიქრობ, რომ მსახიობები ერთი ერია და მაინც, მათ შორის განსხვავება არის. როცა თამაშობენ ქართველები (კარგად თამაშობენ!), ისინი ამას ისეთი აზარტით აკეთებენ, თითქოს ხვალინდელი დღე არ არსებობდეს.

**— არ გეშინიათ, რომ ყოველივე ამის შემდეგ თქვენ ნაციონალიზმში დაგადანაშაულონ?**

— არ მინდა თავის მართლება მომიწიოს ... როცა გადანაშაულებენ და შენც თავის მართლებას იწყებ, სულ ერთია, ამის მაინც არავის სჯერა. გულახდილად გეტყვით, მე მახასიათებს ამის შიში — აშკარა ბრძოლის. აბა, როგორ უნდა გავხდე მებრძოლი ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო პირობებში? ეს არ შემიძლია. ჩემთვის უფრო ადვილია ვითამაშო.

**— არ შეგიძლიათ საკუთარი თავის დაცვა?**

— დიახ. მაშინ თავს დამცირებულად ვგრძნობ ხოლმე. ვფიქრობ, ეს გენეტიკურადაა ჩემში ჩადებული.

**— იქნებ ეს, როგორც ახლა ამბობენ ხოლმე, არის პოლიტკორექტულობა, სურვილი, ყველას მოაწონო თავი? არ შეგინიშნავთ, რომ ქართველებს სწორედ ამის გამო საყვედურობენ ხოლმე ხშირად?**

— მოდით, ამას უკომენტაროდ დავტოვებ... მხოლოდ ერთს გავიმეორებ, ჩვენს კულტურაში ბევრი რამაა ჩადებული. მე, მაგალითად, არასდროს არ ვამბობ „არა". ყოველთვის „ჰო"! განსაკუთრებით ეს ეხება დრამატურგებს. სამი წელია ვამბობ „ჰოს", შემდეგ კი შევიგნებ, რომ უკვე არ იქნება სამართლიანი უარის თქმა...

**— გეშინიათ იკისროთ პასუხისმგებლობა?**

— ალბათ ასეა. თუმცა ამ ბოლო ხანებში უფრო ხისტი გავხდი. და მაინც, ჩემი რეპეტიციები ძალზე მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს! დადგმის დაწყების წინ ყოველთვის ვეუბნები ხოლმე მსახიობებს: „ვერცკი შენიშნავთ, თუ როგორ ითამაშებთ პრემიერას — ნერვებისა და სკანდალის გარეშე". თავიდან არავის სჯერა, მაგრამ პრემიერის შემდეგ უკვე აღიარებენ, რომ მე მართალი ვიყავი. ტრაბახში ხომ არ ჩამომერთმევა?



სცენები სპექტაკლიდან „გოდოს მოლოდინში".

**— შემიძლია მხოლოდ დავსძინო, რომ თქვენი ნათქვამი ემთხვევა მსახიობების ნათქვამს. ისინი იმისთვისაც კი არიან მზად, რომ საკუთარ თავს უწოდონ „იარაღი" ოსტატ სტურუას ხელში...**

— გარკვეულწილად ეს მართლაც ასეა. ამის თაობაზე შემიძლია ერთი შესანიშნავი ამბავი მოგიყვეთ. ეს ჩემს მსახიობებსაც ძალზე მოსწონთ. იგი ტონინო გუერამ მიამბო. თავის დროზე გუერა მკაცრად გაუკრიტიკებიათ ლექსების პირველი კრებულისათვის. მარტო ერთმა შესანიშნავმა მხატვარმა დაურეკა მას, გაამხნევა და სტუმრადაც კი მიიწვია. მხატვრის სახლის მახლობლად მდელოზე გუერამ შენიშნა პატარ-პატარა ბორცვები. იგი დაინტერესდა: „რა არის ეს"? — „ფუნჯების სასაფლაო", — უპასუხა მხატვარმა. თურმე, მას ისე ჰყვარებია თავისი ფუნჯები, რომ მათ გაცვეთის შემდეგაც კი ვეღარ აგდებდა და მარხავდა... როგორც მეგობრებს. როცა მაყურებელი ტოვებს სპექტაკლს, ეს ნორმალურია! თეატრში მე თვითონაც ხშირად ჩამძინებია. მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგიერთს არ შეუძლია დარბაზში დაძინება და ამიტომაც მიდის... ვფიქრობ, აქ უპრიანი იქნება გავიხსენოთ ერთი მითი. ლონდონში თამაშობდნენ „ოტელოს". დარბაზში ერთი ძალზე გულმართალი და მიმდობი მაყურებელი ყოფილა და როცა იაგომ ჩაიდინა თავისი ბოროტი საქმე, მაყურებელს დაავიწყდა, რომ თეატრში იყო და იარაღის გასროლით მოკლა იაგო. შემდეგ მან თავიც მოიკლა. ისინი გვერდიგვერდ დაკრძალეს — მსახიობი და მაყურებელი. ეპიტაფია ასეთი იყო: „საუკეთესო მსახიობსა და საუკეთესო მაყურებელს". როცა ეს ისტორია მოისმინა, ბრეხტმა შენიშნა: „ყველაფერი პირიქით უნდა დაეწერათ — ყველაზე ცუდ მსახიობსა და ყველაზე ცუდ მაყურებელს". მსახიობისა და მაყურებლის ურთიერთობა მარადიული პარადოქსია.

**— საინტერესოა, ასეთი გარჩევების დროს სად იმყოფება რეჟისორი?**

— პარტერში! (იცინის). სხვათა შორის, მეც მაქვს ჩემი ლეგენდა იმის თაობაზე, თუ როგორ იშვა რეჟისორის პროფესია. მსახიობებს შორის, რომლებიც თვითონ დგამდნენ სპექტაკლებს, იყო ერთი კაცი, კარგი გემოვნებით, თუმცა — აბსოლუტურად უნიჭო. ჰოდა, კომპლექსის გამო იგი მუდამ ურჩევდა სხვებს, თუ როგორ უნდა ეთამაშათ. როცა ყველას თავი მოაბეზრა, მათ განუცხადეს: „ჩადით პარტერში და იქიდან დაგვეხმარეთ"! ამით მსახიობებმა თავიანთი თავი დაღუპეს — ნაბიჯი, რომელიც ამ კაცმა გადადგა მაყურებლის დარბაზისაკენ, მთელი თეატრის ბედის განმსაზღვრელი აღმოჩნდა.

ახლა კი ცოტა სერიოზულად შევხედოთ ამ ამბავს... დადგა დრო, როცა პრინციპში, მრავლად არიან პროფესიონალი რეჟისორები. ამიტომ, მარტო პიესის სცენაზე გადატანა ყველაფერს როდი ნიშნავს. რეჟისორმა უნდა შემოგთავაზოს ცხოვრების მისეული ხედვა, რათა მე, მაყურებელი, შემდეგ დავჯდე და ჩავუფიქრდე ამას. უამისოდ ნამდვილი სპექტაკლი არ გამოვა. რა თქმა უნდა, არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ თეატრი დაკარგავს ინტერესს სანახაობრივი, ლამაზი ფორმის გარეშე. და მაინც ვფიქრობ, რომ XXI საუკუნეში რეჟისორი თეატრიდან ოდნავ სხვა სფეროში გადაინაცვლებს. ვგულისხმობ ფილოსოფიას. ახლა დავეწაფე ფსიქოლოგიას, ფილოსოფიის ისტორიას.

**— და ფილოსოფიის რომელ დინოზავრთან გაქვთ სულიერი დიალოგი?**

— დისკუსიაში ჩაბმას ზედმეტად მივიჩნევ. როცა ინტელექტუალები საუბრობენ, ჩუმად ვარ. ვისმენ.

**— მაშინ, ვის მოუსმენდით?**

— პლატონს, იგი მე მომწონს. შევხვდებოდი მარკიზ დე სადს.

**— რატომ მაინცდამაინც მას?**

— საინტერესო ადამიანია. მან აბსოლუტურად გადახლართა ხელოვნება და პორნოგრაფია. ამით ყველაფერი ირევა ერთმანეთში. ამიტომ, დაე მარკიზმა უფრო ზუსტად განმარტოს, თუ რა სურს ჩვენგან.

**— თანამეინახედ ვის ისურვებდით?**

— ყველას დავსვამდი ჩემს სუფრასთან! და მაინც, ჩემი საყვარელი თანამეინახეები მსახიობები არიან. თბილისში ჩვეულებრივ, ექვსი კაცი მაინც ვიკრიბებით ხოლმე. ჩვენ, ქართველები ხომ არანორმალურები ვართ! საჭიროა სუფრის რიტუალის დაცვა. და ჩვენც, სულ ცოტა ერთ საათს მაინც ვკარგავთ იმისთვის, რომ ავირჩიოთ თამადა! თუმცა, ყველასათვის ცხადია, რომ თამადა იმასვე იტყვის დღეს, რაც თქვა გუშინ, ან რის თქმასაც დააპირებს ხვალ... სხვათა შორის, მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ ჩავწვდი ქართული სუფრის ნამდვილ ღირებულებას. ღვინოს ვსვამთ არა იმიტომ, რომ დავიწყებას მივეცეთ, არამედ იმიტომ, რომ დიდხანს შემოვრჩეთ!

**— აქ, უბრალოდ, აუცილებელია რაიმე სადღეგრძელო ითქვას. გაქვთ საყვარელი სადღეგრძელო?**

— ეს სადღეგრძელო ოდესღაც თქვა მამაჩემმა, მაგრამ სამუდამოდ შემომრჩა მეხსიერებაში. იგი ასე ჟღერს: ზოგჯერ ცხოვრებაში დგება ისეთი დრო, როცა გგონია, რომ გამოსავალი აღარ არის, ყველაფერი დასრულდა. შეგინიშნავთ, საღამოობით რა ხმაურით გადაფრინდებიან ჩიტები გუნდ-გუნდად ერთი ხიდან მეორეზე? თითქოს დღეს დაღამდება და ხვალინდელი დღე აღარ გათენდება. ჩიტებმა არ იციან, რომ მაშინაც კი გათენდება, როცა კაცს ჰგონია, რომ ყველაფერი დასრულდა და მზეც აუცილებლად ამოვა, რაც არ უნდა მოხდეს.

განცხადება

2003 წლის 20 ივლისს 14 საათზე გაიმართება სააქციო საზოგადოება „მცხეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოს" აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. 2002 წლის მუშაობის შედეგები;

2. სააქციო საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ.

მისამართი: მცხეთა, ავტოსატრანსპორტო საწარმო.

## ● „უოლ სტრიტ ჯორნელი" პრეზიდენტ ბუშს იცავს
## ● ლიბერიელები ამერიკის ჩარევას მოითხოვენ
## ● ვაშინგტონის პოზიცია ურყევია

# რატომ არ გამოიყენა ერაყმა მასობრივი განადგურების იარაღი?




**ამერიკულმა გაზეთმა „უოლ სტრიტ ჯორნელმა" მკაცრად გააკრიტიკა ყველა ის, ვინც ახლა ცდილობს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის დადანაშაულებას ეგრეთ წოდებული ერაყის დოსიეს გაყალბებაში, რომელიც გახდა კიდეც საფუძველი ერაყის იძულებითი განიარაღების მიზნით სამხედრო კამპანიის დაწყებისათვის.**

როგორც გაზეთი წერს, ასეთი პოლიტიკა მხოლოდ იმ ადამიანების წისქვილზე ასხამს წყალს, რომლებიც იმთავითვე ილაშქრებდნენ ერაყში ომის დაწყების წინააღმდეგ, ან განაწყენებული არიან ბუშის ადმინისტრაციის მოქმედების გამო. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ სპარსეთის ყურეში პირველი ომის პერიოდში ერაყი აკრძალულ იარაღს მალავდა მიტოვებულ სარკინიგზო გვირაბებში, ან მარხავდა ქვიშაში.



ასეთი ადგილების აღმოჩენისათვის საჭიროა ერაყის სპეცსამსახურების იმ თანამშრომელთა დახმარება, რომლებიც უშუალოდ პასუხს აგებდნენ აკრძალული იარაღის მარაგის დაცვა-შენახვისათვის, აღნიშნავს გაზეთი.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ გამოიყენა ერაყმა მასობრივი განადგურების იარაღი კოალიციის ჯარების წინააღმდეგ, ამის თაობაზე სტატიის ავტორები ასეთ კომენტარს აკეთებდნენ: სპარსეთის ყურეში პირველი ომის შემდეგ ერაყმა გამოიტანა დასკვნა, რომ ამერიკელთა ჯარებს შეუძლიათ ელვისებური შეტევის განხორციელება, ხოლო როგორც თვით ერაყის მაღალი თანამდებობის პირები აცხადებდნენ, ბიოლოგიური იარაღი სერიოზულ დაბრკოლებას ვერ შეუქმნის შემტევ მოწინააღმდეგეს ჩანაფიქრის განხორციელებაში.

როგორც ჩანს, ერაყი ბიოლოგიური იარაღის გამოყენებას თავისი მეზობლების დასაშინებლად უფრო აპირებდა, ვარაუდს გამოთქვამენ სტატიის ავტორები. სწორედ ამ მიზეზის გამო, სულაც არ არის გასაკვირი ის ფაქტი, რომ ერაყს არ გამოუყენებია ბიოლოგიური იარაღი. რაც შეეხება ქიმიურ იარაღს, თუ გავითვალისწინებთ იმ დეზორგანიზაციას, რომელიც სუფევდა ერაყის არმიის სარდლობის რიგებში, ასეთი იარაღის გამოყენება ძალზე გართულდებოდა, აღნიშნავს „უოლ სტრიტ ჯორნელი".

## მონროვია ძირითად იმედებს უცხოეთზე ამყარებს

**ათასობით ადამიანი გამოვიდა ლიბერიის დედაქალაქ მონროვიის ქუჩებში, სადაც ამჟამად გარკვეული დროით დაზავდნენ ერთმანეთისადმი დაპირისპირებული სამთავრობო ჯარები და ამბოხებულები.** ლიბერიელები მოითხოვენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ჩაერიოს ქვეყანაში შექმნილი ვითარების მოწესრიგებაში.




როგორც კი ქალაქის ქუჩებში შეწყდა სროლა, ათასობით ადამიანმა მოიყარა თავი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შენობასთან. მათ იმედი აქვთ, რომ ამერიკა დაეხმარებათ მშვიდობის დამყარებაში.

ლიბერიის პრეზიდენტმა ჩარლზ ტეილორმა თავით ფეხამდე შეიარაღებული დაცვის თანხლებით მანქანით ჩაიარა მონროვიის ხალხით სავსე ქუჩებში. იგი აცხადებდა, რომ პრეზიდენტის ერთგულმა ძალებმა დედაქალაქიდან განდევნეს ამბოხებულები.

ტეილორმა აგრეთვე აღნიშნა, რომ სურს ამერიკელებმა ხელი შეუწყონ ლიბერიაში მშვიდობის დამყარებას. ლიბერია ხომ ის ქვეყანაა, რომელიც თავის დროზე შავკანიანმა ამერიკელებმა დააარსეს.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა გადადგომისაკენ მოუწოდა ტეილორს, რათა მან ასეთი ნაბიჯით „იხსნას ქვეყანა უფრო დიდი სისხლისღვრისაგან".

როგორც იტყობინებიან, ამ ბოლო ორი დღის განმავლობაში მიმდინარე გააფთრებული ბრძოლების შედეგად 300-მდე მშვიდობიანი მცხოვრები დაიღუპა.

ქალაქის მცხოვრებლებმა ისარგებლეს ცეცხლის შეწყვეტით და გამოვიდნენ ქუჩაში სურსათისა და წყლის მარაგის საშოვნელად.

ამბოხებულების მიერ დაკავებული ქალაქის უბნებიდან გამოქცეული დაახლოებით 250 ათასი კაცი ღამეს ღია ცის ქვეშ ათევს.

საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ მონრევიაში ხშირია მაროდიორობის შემთხვევები. სამთავრობო ძალების ჯარისკაცები იარაღის მუქარით შედიან კერძო სახლებში და ძარცვავენ მათ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელისუფლება იტყობინება, რომ სამთავრობო ჯარებმა ამბოხებულები გამოდევნეს მონროვიის ნავსადგურის მიდამოებიდან.

შუამავლებმა — დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოებმა, დროებით შეწყვიტეს სამშვიდობო მოლაპარაკება იმის გამო, რომ საომარი მოქმედება კვლავ გაგრძელდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, რომელიც პარასკევს დილით უნდა ამოქმედებულიყო.

## რიჩარდ ბაუჩერი: „ჰამასი" ვერ იქნება პარტნიორი სამშვიდობო პროცესში

**ამერიკის შეერთებული შტატები მიესალმება „ჰამასის" მოძრაობის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც ეს ორგანიზაცია კისრულობს შეუერთდეს ახლო აღმოსავლეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას.** ეს პარასკევს განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა, თუმცა იქვე დასძინა, რომ ინფორმაცია „ჰამასის" ასეთი განზრახვის შესახებ, რომელიც გაავრცელა მისმა სულიერმა ლიდერმა შეიჰ აჰმედ იასინმა, ჯერჯერობით დაუდასტურებელი რჩება.

„ჰამასის" ლიდერის განცხადებაზე შესაძლო დადებითი რეაქცია არ ცვლის ამერიკის საერთო პოზიციას, რომლის თანახმადაც ეს მოძრაობა ვერ იქნება პარტნიორი სამშვიდობო პროცესში, აღნიშნა ბაუჩერმა.

„ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ცნობა იქნებოდა ახლო აღმოსავლეთიდან მიღებული სასურველი ახალი ამბავი, მაგრამ უფრო მასშტაბური მიზნის მიღწევის, კერძოდ, ტერორის სრული შეწყვეტის, პალესტინის მთელ ტერიტორიაზე კანონიერების დამყარების გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი არის ყველა ტერორისტული დაჯგუფების, მათ შორის „ჰამასის" პოტენციალის ლიკვიდაცია.



მსურს პირდაპირ განვაცხადო, რომ „ჰამასი" არის მშვიდობის მტერი და იგი ვერ გახდება პარტნიორი სამშვიდობო პროცესში", — თქვა დასასრულ ბაუჩერმა.

# რეგიონში სამშვიდობო პროცესის განსამტკიცებლად

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში კონდოლიზა რაისი ახლო აღმოსავლეთში გამართავს შეხვედრებს ისრაელსა და პალესტინელებს შორის პარასკევს მიღწეული შეთანხმების განმტკიცების მიზნით.**

პარასკევს ორივე მხარის წარმომადგენლებმა დათქვეს, რომ ისრაელის ჯარები გავლენ ღაზის სექტორის ჩრდილოეთი რაიონებიდან და ქალაქ ბეთლემიდან, ამ ტერიტორიებს კი პალესტინელები დაუწესებენ კონტროლს.

ორივე მხარე ამ შეთანხმებას მიიჩნევს ეგრეთ წოდებული „საგზაო რუკის" განხორციელების გზაზე გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯად და გამოთქვამენ იმედს, რომ შეძლებენ სამშვიდობო პროცესის განმტკიცებას ახლო აღმოსავლეთში, რეგიონში, რომელშიც უკვე 33 თვეა, პრაქტიკულად არ წყდება სისხლისღვრა.

როგორც მოელიან, კონდოლიზა რაისი ჯერ შეხვდება პალესტინის პრემიერ-მინისტრს აბუ მაზენს, შემდეგ კი იგი ეწვევა იერუსალიმს, სადაც გამართავს შეხვედრას ისრაელის პრემიერ-მინისტრთან არიელ შარონთან.

მიმომხილველთა ვარაუდით, კონდოლიზა რაისი, ალბათ, მოუწოდებს ისრაელს შეწყვიტოს თავდასხმები პალესტინელებზე. იგი პალესტინის ავტონომიის წარმომადგენლებსაც კიდევ ერთხელ განუმარტავს, რომ საჭიროა უფრო გაბედულად ებრძოლონ მოთარეშეთა გამოხდომებს.

როგორც მოელიან, ისრაელი მომავალი კვირის დამდეგიდან დაიწყებს ჯარების გამოყვანას ზემოაღნიშნული ტერიტორიებიდან. ისრაელის ხელისუფლება აცხადებს, რომ პალესტინელებს ღაზის სექტორსა და ბეთლემში თავისუფალი გადაადგილების ნებას დართავს, აგრეთვე, შეწყვეტს პალესტინელი მოთარეშეებისათვის წერტილოვანი დარტყმების მიყენებას.

ამის სანაცვლოდ, პალესტინის მხარე კისრულობს უზრუნველყოს უშიშროება ამ ზონაში, აგრეთვე, ებრძოლოს მოთარეშეებს, რომლებიც გეგმავენ თავდასხმებს ებრაელებზე.



ჯარების გაყვანის პროცესს გააკონტროლებენ ამერიკელი შუამავლები, რომლებიც ისრაელში მეთვალყურეობენ „საგზაო რუკის" სამშვიდობო გეგმის განხორციელების მიმდინარეობას.

ამავე დროს, პალესტინელთა გასამხედროებული დაჯგუფების „ჰამასის" წარმომადგენელმა პარასკევს სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, რომ „ჰამასს" გადაწყვეტილი აქვს შეწყვიტოს თავდასხმები ებრაელებზე. „ჰამასმა" შეისწავლა შექმნილი ვითარება და გადაწყვიტა შეაჩეროს საბრძოლო მოქმედება", — თქვა დაჯგუფების დამფუძნებელმა შეიჰ აჰმედ იასინმა.

როგორც ვაშინგტონიდან იტყობინებიან, თეთრი სახლი წარმატებას უსურვებს ამ საქმეში აბუ მაზენის მთავრობას. ამერიკის შეერთებული შტატები მიესალმება ღაზის სექტორიდან ჯარების გამოყვანის შესახებ შეთანხმებას და ამას მიიჩნევს „პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯად „საგზაო რუკის" განხორციელების გზაზე".

„ეს მოვლენათა დადებით განვითარებას მიანიშნებს, — თქვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა — ყოველივე ეს ხაზს უსვამს, რომ იწყება პროცესი, რომელსაც დიდი ხანია ელიან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ლიდერები".

## ყველაზე მაღალი შენობა ლათინურ ამერიკაში

**მეხიკო ოფიციალურად გახდა ლათინურ ამერიკაში ყველაზე მაღალი შენობის მფლობელი. 225 მეტრი სიმაღლის 55-სართულიანი ცათამბჯენი ოთხშაბათს საზეიმო ვითარებაში გახსნა მექსიკის პრეზიდენტმა ვისენტე ფოქსმა.**

„ტორე მაიორი" ანუ „მთავარი კოშკი", როგორც შეარქვეს შენობას მექსიკელებმა, დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე — პასეო დე ლა რეფორმაზე აღიმართა. შენობის ფართობის ნახევარზე მეტს დაიკავებენ სხვადასხვა კომპანიის ოფისები, დანარჩენი ნაწილი კი გათვალისწინებულია სავაჭრო საწარმოებისა და სამსახურებისათვის.



ცათამბჯენის მშენებლობა, რომელიც 250 მილიონი დოლარი დაჯდა, 1998 წელს დაიწყო. ინჟინრების ამოცანას ართულებდა ისიც, რომ მეხიკო განლაგებულია სეისმურად აქტიურ ზონაში.

როგორც შენობის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე განაცხადა ვისენტე ფოქსმა, „ტორე მაიორი" გახდა თანამედროვე მექსიკის სიმბოლო და მან ღირსეული ადგილი დაიკავა დედაქალაქის პეიზაჟში, რომელიც სადღეისოდ მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის ისტორიული ცენტრის რეკონსტრუქციის გამო.

# რა არ ხდება...

**„SKIGUIDE"-ის დისპეტჩერის ხუმრობა კინაღამ გახდა ტრაგედიის მიზეზი ევიანის სამიტის დროს. ავიადისპეტჩერმა გადაწყვიტა ეხუმრა, როცა აკრძალულ ზონაში შეცდომით შესული ვერტმფრენი მონიშნა ტერმინით „ყაიდად". ეს ტერმინი პოტენციურ ტერორიზმს ნიშნავს. გამოცხადდა განგაში და ჰაერში აიჭრნენ ავიაგამანადგურებლები.**

* * *

**ერაყში დაუდგენელი პირები თავს დაესხნენ ამერიკელთა ბადრაგს. თავდასხმის შედეგად დაიღუპა ერთი ამერიკელი ჯარისკაცი — ოთხი კი მძიმედ დაიჭრა. სროლის შედეგად დაჭრეს, აგრეთვე, ერაყელი თარჯიმანი, რომელიც თან ახლდა სამხედროებს. ამჟამად ამერიკელი სამხედროები ეძებენ ერაყში დაკარგულ კიდევ ორ ჯარისკაცს.**

* * *

**ბრაზილიის ქალაქ რესაიბში გაჩნდა მუტანტი-ლეკვი. პატარას, რომელსაც შესაბამისი სახელი — „ფენომენი" შეარქვეს, 5 თათი და ორი სასქესო ორგანო აქვს. სულ კი 7 ლეკვი გაჩნდა, თუმცა, დანარჩენებს რაიმე გადახრები არ შეენიშნებათ.**



**როგორც „ფენომენის" პატრონმა განაცხადა, ეს საოცარი ლეკვი მას ღმერთმა გამოუგზავნა, თუმცა, ამ ქალბატონმა ჯერჯერობით არ იცის, რისი ნიშანი უნდა იყოს ეს — სიკეთის, თუ უბედურების.**

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა ზაზა ბეჟანიძემ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

თეატრალური გაზეთი

# სახიობა

„საქართველოს რესპუბლიკის“ ყოველთვიური დამატება

№4-5 (77)

...დიდია, განუზომელია მნიშვნელობა თეატრისა ყველა ერისათვის. კულტურა თეატრისა უმაღლესი კულტურაა ერისა. იგი ხარობს, ფრთებს ისხამს მასთან ერთად და ეცემა, კვდება ერის სიკვდილთან ერთად.

სანდრო ახმეტელი.

## წარდგინება

# საოცნებო იდეა

**ბოლო ათწლეულში თბილისსა და მთლიანად საქართველოში მრავალი ახალი თეატრი გაჩნდა. ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის ცვლილება ამ ფორმითაც გამოიხატა. ტრადიციული სახელმწიფო თეატრების გვერდით კერძო შემოქმედებითი კოლექტივები შეიქმნა. დამეთანხმებით, ეს ტენდენცია საზოგადოებაში არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევს.**

ხშირად გაისმის ორჭოფული აზრი მათი საჭიროების შესახებ, მით უმეტეს, როცა უმრავლესობის აღჭურვილობა, ინტერიერი, სივრცე და შემოქმედებითი პრინციპები არ შეესაბამება ჩვენს აზროვნებაში ჩამოყალიბებულ სათეატრო სტანდარტებს. ამ არგუმენტებს, ალბათ, თავისი ლოგიკა გააჩნია, თუმცა არსებობის უფლება ყველაფერს აქვს, მით უმეტეს, როცა ეს თეატრები საზოგადოების გარკვეული ნაწილის ყურადღებას იმსახურებს და მაყურებლის ნაკლებობას არ განიცდის. როცა არსებობს იდეა და ამ იდეით გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფი, მას შესაბამისი პრაქტიკული განხორციელებაც უნდა მოჰყვეს. აქვე მოვიხმობ ქართული სცენის დიდოსტატის თემურ ჩხეიძის აზრს ამ ტენდენციაზე, რომელიც მან ერთ-ერთ ინტერვიუში გამოთქვა. ბატონმა თემურმა აღნიშნა, რომ რეჟისორმა ახალი თეატრი არ უნდა შექმნას მხოლოდ იმიტომ, რომ უბრალოდ საკუთარი თეატრი ჰქონდეს. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, თუ შემოქმედი ღრმადაა დარწმუნებული, რომ მისი მხატვრული იდეის განხორციელება აქამდე არსებულ კოლექტივებში არ ხერხდება. ვერ ვიტყოდი, რომ ყველა ახალი თეატრი ამ არგუმენტის ცალსახა გათვალისწინებითაა ჩამოყალიბებული, თუმცა მათ უკვე მკაფიოდ გამოკვეთილი ადგილი დაიკავეს ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში.



კერძო თეატრებს შორის მაყურებლის ინტერესით და არაორდინარული რეპერტუარით ერთ-ერთი გამორჩეულია თავისუფალი თეატრი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ გაიხსნა თბილისში. მისი დამაარსებელი რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი სხვადასხვა თეატრებში ეწეოდა საქმიანობას. იგი თეატრალური სარდაფის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ორგანიზატორი გახლდათ. ამჟამადაც გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. ასე რომ, იგი ორ თეატრში ეწევა შემოქმედებით ძიებებს, როგორც თავად ბატონ ავთანდილს მრავალჯერ აღუნიშნავს, თავისუფალი თეატრის დაარსება მისი საოცნებო იდეის — თავისუფალი თეატრალური სივრცის შექმნის კიდევ ერთი მცდელობაა. ამ სახელწოდებით მსოფლიოში მრავალი თეატრი არსებობდა და თავისთავად დასახელება ბევრს ამბობს მის შემოქმედებით პრინციპებზე. თეატრის ძირითად რეპერტუარში ამჟამად 4 წარმოდგენაა. გარდა ავთანდილ ვარსიმაშვილისა, ამ სცენაზე სპექტაკლები განახორციელეს დავით დოიაშვილმა („ჯინსების თაობა“) და გოჩა კაპანაძემ („მედეა“). თეატრის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ მკაცრად აკონტროლებს შემოქმედების დონეს, განიხილავს სხვადასხვა რეჟისორის პროექტს და მხოლოდ მისთვის მისაღებს ირჩევს დასადგმელად.

ვფიქრობ, თავისუფალი თეატრის რეპერტუარში პრობლემათა აქტუალობითა და სამსახიობო მიღწევებით სპექტაკლი „კომედიანტები“ ლიდერობს. თეატრიც სწორედ ა. ვარსიმაშვილის ამ წარმოდგენით გაიხსნა. მოგეხსენებათ, სპექტაკლში ჩვენი ქვეყნის დღევანდელი სატკივარის, აფხაზეთის ტრაგედიის ფონზე განხილულია შემოქმედის პრობლემა. ასე თანაარსებობს წარმოდგენაში თანამედროვე და საყოველთაო, საზოგადო საკითხი. ამ შემთხვევაში დამყარებულია ბალანსი, რაც სპექტაკლის აქტუალობასთან, დღევანდელი ლოკალური საკითხების განხილვასთან ერთად მარადიულ პრობლემებზე დაფიქრების საშუალებასაც იძლევა. ჩვენ მაინც ვითამაშებთ! — მოწოდებად გაისმის სპექტაკლში. ამას ამბობენ სულიერად და მატერიალურად უკიდურესად შეჭირვებული, სინამდვილის ნეგატიური გამოვლინებებით შეურაცხყოფილი პერსონაჟები, რომლებიც პროფესიით მსახიობები არიან. ალბათ, ამ წარმოდგენაში თეატრისა და შემოქმედებითი ჯგუფის პრინციპებია გაჟღერებული. ვფიქრობ, ამიტომაც დაიწყო ამ სპექტაკლით თეატრის მხატვრული ცხოვრება.

შემდეგ სპექტაკლს სპექტაკლი მოჰყვა, თუმცა არც ისე ბევრი. წელს „კომედიანტები“ კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიით აღინიშნა. რეჟისორთან ერთად პრემიის ლაურეატები გახდნენ მსახიობები: ირინა მეღვინეთუხუცესი, რამაზ იოსელიანი და ნიკო გომელაური. მართლაც, მათი სამსახიობო ნამუშევრები ზომიერების გრძნობით, ბუნებრიობით, ემოციის გაწონასწორებულობით გამოირჩევა. რამაზ იოსელიანის შესრულებას სცენაზე ცხოვრებას ვუწოდებდი, ხოლო ნიკო გომელაურისთვის სპექტაკლი არტისტული შესაძლებლობების გამოვლენის საუკეთესო საშუალებად იქცა. რაც შეეხება სპექტაკლში ხაზგასმულ პრინციპებს, ვერ ვიტყვი, რომ მას ბოლომდე უერთგულა რეჟისორმა. მის მეორე წარმოდგენაში „პროვოკაცია“, მსახიობები კი თამაშობენ, უფრო სწორად მოქმედებენ, მოძრაობენ, მღერიან, სხვადასხვა ეპიზოდებსა თუ სცენებს ასრულებენ, მაგრამ პერსონაჟებს არ ქმნიან, ამბავს არ ჰყვებიან სცენიდან. „პროვოკაცია“ დრამატულ ჟანრს არ განეკუთვნება, არც ზოგადად თეატრალურს. ეს ერთგვარი აქციაა, თანაც პოლიტიკური აქტუალობით აღბეჭდილი, რომელიც ერთჯერადი შესრულებისთვის უფროა, ალბათ, განკუთვნილი. თუმცა, მაყურებელი არც მას აკლია, პირიქით! თავისუფალი თეატრალური სივრცის, მრავალფეროვანი რეპერტუარის ამგვარი გაგება, ვფიქრობ, სწორხაზოვანი და უხეშია.

შეამჩნევდით, თავისუფალ თეატრზე საუბრისას „კომედიანტებმა“ გამიტაცა. ალბათ, გასაგებიცაა რატომ. არცთუ ისე მრავალრიცხოვან რეპერტუარში, ეს ყველაზე ღირებული მხატვრული ნაწარმოებია, ის წარმოდგენაა, რომელშიც სასცენო ხელოვნების პრინციპების გათვალისწინებით ხდება პრობლემის დასმა, დამუშავება და შემდგომი განვითრება. დამეთანხმებით, ეს ერთი სპექტაკლის შემთხვევაში მშვენიერია, მაგრამ ერთი თეატრისთვის ძალზე ცოტაა.

თეატრის სხვა წარმოდგენებზე აღარ შევჩერდები. მართალია, ისინი სხვადასხვა რეჟისორის მიერაა შექმნილი, მაგრამ ჭეშმარიტ შემოქმედებით მრავალფეროვნებას საეჭვო მხატვრული დონის გამო ვერ უზრუნველყოფენ. ყოველივეს გათვალისწინებით ვისურვებდი, მრავალრიცხოვანი რეპერტუარი მრავალფეროვანი შემოქმედებითი მიღწევებით გვეხილა.

**ზაზა სოფრომაძე.**

**სურათზე: თავისუფალი თეატრის ხედი.**

**ჯავარ ლომაძის ფოტო.**

## სცენა — ცხოვრების სარკე

# თავისუფალ თეატრში თავისუფლად ვსუნთქავთ...

**კონტრასტი და ზღვარსგადასული საქციელი ქართული ხასიათის დამახასიათებელი გამოვლენაა. ზომიერების გრძნობა (კარგი და ცუდი გაგებითაც) ჩვენთვის უცხოა, თუ გავუტიეთ, ხალხის ბრძნული გამონათქვამისა არ იყოს, „ცხრა უღელი ხარ-კამეჩი“ ვერ დაგვაკავებს. აბა, გავიხედოთ ირგვლივ, რამდენი თეატრი შეიქმნა თუ გაიხსნა ამ ბოლო დროს საქართველოში — ჯერ ერთი, ვერ დათვლით და მეორე, ვერც მეტყვით, თუ რისთვისაა საჭირო ამდენი უსახური (მაპატიეთ ამ გამოთქმისთვის) და გაუგებარი თეატრალური წარმონაქმნი (თეატრს ყველას როგორ დავარქმევ!), თუმცა ეს სხვა და უფრო ვრცელი საუბრის თემაა. ამ აგორებული თეატრალური ბუმის ჯანსადი პირმშოა თავისუფალი თეატრი, რომელიც რეჟისორმა ავთო ვარსიმაშვილმა სამიოდე წლის წინათ ჩამოაყალიბა და იმთავითვე მიიპყრო როგორც პროფესიონალთა, ასევე ფართო მაყურებლის, განსაკუთრებით ახალგაზრდების ყურადღება.**

ზოგიერთებისაგან განსხვავებით, ა. ვარსიმაშვილმა იცოდა, თუ რისთვის ქმნიდა ახალ თეატრს, მისი პერსპექტივაც განჭვრიტა და სიცოცხლისუნარიანობაც განსაზღვრა. დღევანდელობასთან, დახვავებულ პრობლემებთან, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვართან შეხლა-შემოხლით, სათქმელის სიმწვავით, პირდაპირობით, უკომპრომისობით გამართულ დიალოგს შეუძლია ზემოქმედების მოხდენა მაყურებელზე. მუდმივი დასი ასეთი ჩანაფიქრისთვის მოსაწყენი იქნებოდა და თეატრის ხელმძღვანელმა აპრობირებული ანტრეპრიზის პრინციპს მიმართა — თითოეული სპექტაკლისათვის ცალკეული მსახიობების მოწვევა.

ამის მიუხედავად, თავისუფალ თეატრს ჰყავს „შტატიანი“ მსახიობები, რომლებიც თითქმის ყველა სპექტაკლში მონაწილეობენ. ერთ-ერთი მათგანია სლავა ნათენაძე, რომელიც ქართული გინესების წიგნშია (თუ ასეთი რამ დაფუძნდება) შესატანი — მას 800-მდე ფილმი აქვს გახმოვანებული (!). ვინც იცნობს სლავას, როგორც მსახიობს, არ გაუკვირდება გახმოვანების რეჟისორთა ასეთი გადაჭარბებული ინტერესი მის მიმართ: დახვეწილი მეტყველება, ლამაზი და გამომსახველი ტემბრის ხმა, აზროვნება, პერსონაჟის ხასიათის გათავისება, ინტონაციისა და ტონალობის ზუსტი განსაზღვრა... ამ თვისებათა გამო სლავა ნათენაძე სასურველი მსახიობია არა მხოლოდ გახმოვანების, არამედ თეატრის რეჟისორთათვისაც.

***— ოც წელზე მეტია თქვენ მეტეხის, დღეს უკვე ძველი სახლის თეატრის მსახიობი ხართ. როგორ მოხვდით ამ თეატრში?***

— თეატრალური ინსტიტუტი 1979 წელს დავამთავრე, მუსიკალური თეატრის მსახიობის სპეციალობით. თბილი, გულისხმიერი, შესანიშნავი პედაგოგი მყავდა — ტატიანა ბუხბინდერი. იგი არა მხოლოდ მასწავლებელი, არამედ ჩვენი დიდი მეგობარი იყო. ურთიერთსიყვარულის, ერთიანობის, თანადგომის პრინციპით გვმოძღვრავდა და გვიკაფავდა ცხოვრების გზას. ამ პერიოდის მოგონება ერთგვარ ნოსტალგიას იწვევს ჩემში. არ ვიცი ახლა როგორაა, მაგრამ მაშინ მთელი ინსტიტუტი ერთ ორგანიზმად იყო შედუღაბებული, ერთმანეთის ინტერესებით ვცოცხლობდით და ვხარობდით. ამას ხელს უწყობდა ინსტიტუტში დანერგილი პრაქტიკაც — სხვადასხვა ჯგუფისა და, ხშირად, სხვადასხვა კურსის სტუდენტების მონაწილეობა ერთმანეთის სპექტაკლებში. სწორედ ამ პრინციპით დაიდგა ჩვენი სადიპლომო სპექტაკლი — ბრეჰტის „სამგროშიანი ოპერა“, სადაც თითქმის მთელი ინსტიტუტი იყო დაკავებული, თქვენ წარმოიდგინეთ, სასწავლო თეატრის სცენის მემანქანეც კი — კოსტია თაბუაშვილი. სადიპლომო სპექტაკლი ფეხბედნიერი გამოდგა ჩვენთვის. იმავე წელს, ბატონმა სანდრო მრევლიშვილმა მეტეხის თეატრში დადგა „სამგროშიანი ოპერა“. ინსტიტუტის სცენაზე შექმნილი ორი მთავარი როლი — პიჩემი და ქუჩის მომღერალი აქაც ვითამაშე. მას შემდეგ, დღემდე ამ თეატრში 50-მდე როლი განვასახიერე.

სლავა ნათენაძე მეტეხის თეატრის წამყვანი ძალაა. იგი გამოირჩევა სცენურობით, მუსიკალურობით, გარდასახვის ნიჭით. მსახიობი თავის პერსონაჟებს უძებნის განმასხვავებელ ნიშან-თვისებებს, პლასტიკური ნაირგვარობით ამდიდრებს სახეს, ცდილობს ამოხსნას გმირის შინაგანი სამყაროს ის ნიუანსები, რომელიც ავტორთან ხელშეუხებელია, ან მხოლოდ შტრიხებითაა მინიშნებული. იგი მაძიებელი შემოქმედია, მიზნად ისახავს განსხვავებული და საინტერესო კუთხით წარმოაჩინოს როლი. ამ თვალსაზრისით მსახიობის ბიოგრაფიას ამდიდრებს: ლეპორელო („დონ ჟუანი“), პოლო („ამილკარი“), სპექტაკლის წამყვანი და ფელდკურატი („შვეიკი“), უცნობი („შეშლილთა ხომალდი“), ნიკოლოზ II და მომღერალი („კაცის ტვირთი“), ილია ჭავჭავაძე („განდეგილი“), გამწკეპავიძე („სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“)... ამ როლებს ერთმანეთთან მხოლოდ ის საერთო აქვთ, რომ მათ განასახიერებს მსახიობი სლავა ნათენაძე.

აქტიორულ გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ ემილ მაჟი (ფელისიან მაისოს „კვერცხი“), სადაც ს. ნათენაძე სახასიათო და დრამატული ფერების შერწყმით ქმნის საზოგადოებისათვის მიუღებელი და სულიერად განძარცვული კაცის განზოგადებულ სახეს. ამ ნამუშევრის გამო იგი სეზონის მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრემიით დაჯილდოვდა.

იხ. მე-6 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## სცენა — ცხოვრების სარკე

# თავისუფალ თეატრში თავისუფლად ვსუნთქავთ...



(მეხუთე გვერდიდან)

— მეამაყება, რომ თავისუფალი თეატრის პირველი სპექტაკლის „კომედიანტების“ მონაწილე ვარ, — ამბობს სლავა ნათენაძე. მეამაყება ისიც, რომ ჩემი პარტნიორები არიან: მარინა კახიანი, რამაზ იოსელიანი, ბაჩო მაისურაძე, ნიკო გომელაური, გოჩა კაპანაძე... ჩემთვის სანუკვარი სურვილის ახდენაზეც ვოცნებობ — ისეთი როლი ვითამაშო, სადაც სიმღერის მეტი შესაძლებლობა მექნება.

„კომედიანტები“ დღესაც ინტერესით სარგებლობს მაყურებელთა შორის და ამაში გადამწყვეტი წვლილი ა. ვარსიმაშვილის ორიგინალურად შეთხზულ სცენურ ნაწარმოებს მიუძღვის. სპექტაკლში მსახიობის ოჯახის ყოველდღიური ცხოვრებაა ნაჩვენები თავისი ტკივილებით, განცდებით, ოცნებებით. ს. ნათენაძის გმირი მასხარას გრიმსა და ჩაცმულობაში თანმდევია სცენაზე განვითარებული მოვლენებისა. ჩვეულებრივი ურთიერთობის დროსაც იგი მსახიობია, რითაც ხაზგასმულია მათი კომედიანტობა. ამ სახეში სპექტაკლის ყველა პერსონაჟია განზოგადებული.

მეორე წარმოდგენის — „პროვოკაციის“ ავტორი და რეჟისორიც ავთო ვარსიმაშვილია. პოლიტიკური შოუ, ასე განსაზღვრეს მონაწილეებმა წარმოდგენის ჟანრი. აქ ყველაფერი გაშიშვლებულია, პუბლიცისტური სიმძაფრის მანტიაშია გახვეული და სლავა ნათენაძეც, რომელიც საკუთარ პერსონას წარმოადგენს, პარტნიორებთან ერთად, მაყურებლის პირისპირ, პროტესტს გამოთქვამს ხელისუფალთა, დღევანდელი გაუსაძლისი ცხოვრების ავტორთა მისამართით, თავისი პათოსით ეს ნამუშევარი სცილდება სპექტაკლის დანიშნულებას, იგი უფრო მოწოდებაა გამოფხიზლებისაკენ, უკეთესი მერმისის დასამკვიდრებლად...

* * *

თავისუფალ თეატრში დამკვიდრდა ახალბედა მსახიობი მაია დობორჯგინიძე. არცთუ ისე ხშირად ხდება, როდესაც უცნობი სახელი იმთავითვე ყველასათვის ახლობელი ხდება.

***— როგორ აღმოჩნდი „კომედიანტების“ მონაწილეთა შორის?*** — ვკითხე მაიკოს.

— ინსტიტუტში 1995-1999 წლებში ვსწავლობდი, ბატონ შალვა გაწერელიას ჯგუფში. სასწავლო პერიოდში ბევრი კარგი როლი ვითამაშე: ვარდი (ეკზიუპერის „პატარა უფლისწული“), სადაც ლირიკულ-რომანტიკულ ხასიათს ვავითარებდი, ანა (ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“) — აქ ჩემი გმირი ახალგაზრდა, მელანქოლიით შეპყრობილი ქალი იყო; კვლავ ანა (გორკის „ფსკერზე“) — ამჯერად კი უბედური, დრამატიზმით აღსავსე ქალის ცხოვრება უნდა გადმომეცა. მეოთხე კურსზე ჩვენს ჯგუფთან ლევან წულაძემ განახორციელა „საქორწილო ღამე“ (ბრეჰტის „მდაბიოთა ქორწინების“ მიხედვით), რომელიც კომედიურ პლანში იყო გადაწყვეტილი, აქედან გამომდინარე, ჩემს პერსონაჟსაც (საპატარძლო) სახასიათო მანერაში ვასრულებდი, თუმცა საპატარძლო მხოლოდ სასაცილო არ იყო, პიროვნული დამოუკიდებლობისთვის აქტიურად იბრძოდა. ბატონი



ავთო ვარსიმაშვილი ამ სპექტაკლებიდან მიცნობდა.

***— ინსტიტუტის შემდეგ პირდაპირ თავისუფალ თეატრში მოხვედი?***

— არა, მანამდე მიკა კიკაჩეიშვილის ორ სპექტაკლში მივიღე მონაწილეობა: „ბარატ სადში“ კორდეს ტრაგიკული როლი ვითამაშე, ხოლო „სურამის ციხეში“ შევეცადე დედისა და ჯადოქრის შვილის საპირისპირო ხასიათები შემექმნა. მერაბ კოსტავას სახელობის თეატრშიც ორი როლი განვახორციელე: შ. გაწერელიას სპექტაკლში, შ. დადიანის „გუშინდელნში“, აგრაფინა ვითამაშე, დ. კლდიაშვილის „მსხვერპლში“ კი (რეჟისორი ანდრო ენუქიძე) — ნატალია. ბატონმა ავთომ ამ სპექტაკლებშიც მნახა.

***— ესე იგი მცირე, მაგრამ არცთუ ურიგო როლების მარაგით დაუკავშირდი თავისუფალ თეატრს.***

— ალბათ ასეა. მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი თეატრის მიწვევა ჩემთვის უდიდესი სიხარული იყო, თავდაპირველად ძალიან ვღელავდი, რადგან პირადად არც ერთ მსახიობს არ ვიცნობდი, თუმცა სცენიდან არაერთხელ მოვხიბლულვარ მათი შესრულებით. ახალ რეჟისორთანაც დავიძაბე, ვინაიდან ჩემთვის უჩვეულო სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა მუშაობა, მაგრამ სულ მალე სიტუაციას ალღო ავუღე, შევეთვისე და შევიყვარე ჩემი გამოცდილი კოლეგები და მათთან ერთად ვიზეიმე პირველი სპექტაკლის პრემიერით განცდილი სიხარული.

მაია დობორჯგინიძის ელისო „კომედიანტებში“ თანამედროვე გოგონაა, შეუპოვარი, მიზანდასახული, რომელიც აქტიურად ებრძვის დროს, არსებულ ვითარებას. პროფესიით იგი კორესპონდენტია, ფანატიზმით გამსჭვალული. ბრძოლის წინა ხაზზეც კი მიიწევს ჯიქურ ცოცხალი რეპორტაჟის მოსამზადებლად. საკუთარი ძმის სიცოცხლე ეწირება უაზრო და სისასტიკით გამორჩეულ ომს, რაც ელისოს მძაფრ პროტესტს იწვევს. მსახიობი დრამატული მუხტით, ადამიანური ტკივილით გაჯერებული მოუწოდებს საზოგადოებას დაგმოს ომის ყოველგვარი გამოვლინება.

საახალწლო ზღაპარში, „ყველაზე დიდი სასწაული“, ა. ვარსიმაშვილმა მ. დობორჯგინიძეს მაიკოს როლი დააკისრა. იგი ჯერ კიდევ პატარაა, სკოლის მოსწავლეა და, როგორც ყველა ბავშვი, ყურადღებას ითხოვს, მაგრამ ცხოვრება ყოველთვის ისე როდია აწყობილი, როგორც ჩვენ გვინდა და მაიკოც გარიყულად, მიტოვებულად გრძნობს თავს. ამ მდგომარეობიდან თვითონვე მიაგნებს თავდასაღწევ გზას — წარმოსახვით გამოგონილ მეგობართან პოულობს შვებას, ესაუბრება, ეკითხება, ეთათბირება... რადგანაც მარტო ყოფნა არ სურს. ადამიანური ბედნიერება ერთად ყოფნაშია — ასეთია მსახიობის შესრულების პათოსი.

**— თავისუფალ თეატრში თავისუფლად ვსუნთქავთ!.. ჩვენი დიდი სურვილია, მომავალ სპექტაკლებშიც ვიყოთ დაკავებული, რადგან ერთმანეთის გვერდით ყოფნა გვიხარია, ურთიერთწარმატებები გვამდიდრებს და შემოქმედებით სტიმულს გვაძლევს, წინააღმდეგობებს კი ერთად უფრო დავძლევთ, ვიდრე ცალცალკე — ერთსულოვნად გაგვანდეს თავიანთი ზრახვები სლავამ და მაიკომ.**

საუბარს უძღვებოდა
**ვაჟა ძიგუა.**

**სურათებზე:** მაია დობორჯგინიძე; სლავა ნათენაძე სპექტაკლში „პროვოკაცია“.

## რეჟისორის თვალი

# ...განსხვავებული ხედვით, ახალი სიტყვით

**ის თეატრალური ხერხებით რეალური ცხოვრების ცოცხალ სურათებს წარმოგვიდგენს... — ამაღლებული, ესთეტიკური საწყისების გათვალისწინებით; იმპროვიზაციული, პლასტიკური გამომსახველობით; სახიერების ემოციური დამაჯერებლობით...**

...შინაგანი იმპულსი, ინსტინქტი თუ სინამდვილის გამძაფრებული აღქმა მას კიდეც მიუთითებს და უკარნახებს დრამატურგიული ნაწარმოების მისეული ხელწერით ინსცენირებას, თანამედროვე რეჟისორული ხედვით გადაწყვეტას, დაგროვილი სათქმელის პლასტიკურად და ემოციურად გამოხატვას, მთელი გრძნობით და სრულყოფილებით გადმოცემას... რათა მისაღები და მიუღებელი ნორმა თუ დოგმა ცხოვრებისა ნათლად გამოიკვეთოს, თავისუფალი თეატრის თავისუფალ სივრცეს მოერგოს და სცენაზე მხატვრული თავისუფლებით აისახოს. აისახოს ისევე, როგორც რეჟისორმა ასოციაციურად დაინახა და შესაბამისად, მსახიობთა დასს უკარნახა — სოფოკლესა და ანუის „მედეა“... ნ. ფედერიკო გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი“... და მაინც, სრული თავისუფლების ირგვლივ რას გულისხმობს გოჩა კაპანაძის შემოქმედებითი ჩანაფიქრი ან რეჟისორული სათქმელი, როცა სიყვარულის მაღალ გრძნობებსა და სტიქიურ ვნებებზე ღიად საუბრობს?

პლასტიკური დრამა ვნებიანი სიყვარულისა უპირისპირდება ზნეობის მაღალ გრძნობებს და წარმოშობს ძლიერ, დაუნდობელ, უკურნებელ სენს — ვნებათა ამბოხს, რომელსაც ვერც ქორწინების და ვერც ვალდებულების გრძნობა ვერ ჩაახშობს... თუმცა, მარადიულ მშვენიერებას — დიდ სიყვარულს ვერც ფიზიკური ლტოლვა და ვერც მარტოოდენ სულიერი სი-



ცარიელე ვერ ჩაკლავს. დღეს, როცა ახალგაზრდა თაობა ვნებისა და გრძნობის არსზე ბოლომდე ვერ საუბრობს, მაშინ მხოლოდ ქმედებით გამოხატავენ ამგვარ „საზრდოს“... ახალგაზრდა მსახიობები ლორკას პოეზიისა და რეჟისორის ესპანურ სტიქიას ასე გაითავისებენ — როცა ამაღლებული გრძნობა არღვევს და გადადის ყოველგვარ ზღვარს, ეს ყოველივე გწვავს...

...და ეს ყოველივე თავისუფალ თეატრში, გოჩა კაპანაძის თანამედროვე და თავისუფალი რეჟისორული გადაწყვეტით, სადაც:

„ — არ ვგრძნობ თავს შეზღუდულად, რაღაც ჩარჩოებში და საერთოდ, სადაც კი მიმუშავია, ყველგან შინაგანი თავისუფლება განმიცდია. ასეც უნდა იყოს, რადგანაც თეატრი არის ცოცხალი ორგანიზმი, სადაც იდეათა კონცენტრაცია და სცენაზე მათი რეალიზაცია ერთბაშად უნდა განხორციელდეს. თავისუფალი თეატრის შექმნა ჯერ კიდევ კოტე მარჯანიშვილს უნდოდა, მაგრამ წლების განმავლობაში გარკვეული მიზეზების გამო ეს ვერ მოახერხა საქართველოში, თუმცა დიდი ხნის შემდეგ დიდი რეჟისორის ჩანაფიქრი ავთო ვარსიმაშვილმა აღასრულა და დღეს თავისუფალი თეატრის კარი ყველა ხელოვანისთვის ღიაა... ის თავისუფალი კონცეფციისა და სტრუქტურის შექმნა, რაც სარდაფის თეატრში ყოფნისას გაჩნდა, დღეს სრულიად გამართლდა.

იხ. მე-7 გვ.

## რეზონანსი

# სამგზის საუკეთესო

პანტომიმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ამირან შალიკაშვილის აღზრდილთა ჯგუფმა ათი წლის წინათ გადაწყვიტა თავი „მოესინჯა“ საზღვარგარეთულ სცენაზე და გერმანიაში გაემგზავრა. იქ მათ შექმნეს თეატრი, რომელმაც მაშინვე დაიმსახურა ადგილობრივი მაყურებლის სიმპათიები. ერთ-ერთი მსახიობი პაატა ციქურიშვილი თავის მეუღლესთან ირინესთან ერთად რამდენიმე წლის შემდეგ გადავიდა ვაშინგტონში და ქალაქის ცენტრში დააარსა თავისი „სინთეზის თეატრი“. მან უკვე დადგა რამდენიმე სპექტაკლი, რომლებსაც მაყურებელთა ფართო რეზონანსი მოჰყვა. ამ დადგმებს შორისაა შექსპირის „ჰამლეტიც“. ახლახან ეს სპექტაკლი, რომელიც „კენედის ცენტრში“ გაიმართა, თეატრალური „ოსკარის“ მფლობელი გახდა — გაიმარჯვა სამ ნომინაციაში: „გასული წლის საუკეთესო სპექტაკლი“. „საუკეთესო რეჟისურა“, „საუკეთესო ქორეოგრაფია“. სხვათა შორის, სპექტაკლის ქორეოგრაფია ირინე ციქურიშვილი.

# „უხმაურო გმირობა სიყვარულში“

ანტიგონეს სახე შესანიშნავად რომ განასახიერა, ცნობილმა ქართველმა მსახიობმა ნანუკა ხუსკივაძემ ახალი სცენური ნიღაბი „მოირგო“. სამეფო თეატრის სცენაზე სპექტაკლში „თავისუფალი პეპელა“ მან მთავარი გმირის როლი განასახიერა. ამერიკელი დრამატურგის ლეონარდ გერშის პიესის მიხედვით სპექტაკლი დადგა რეჟისორმა დავით მღებრიშვილმა.

— ჩემს შემოქმედებითს ბიოგრაფიაში ახალი მომენტი დადგა, როცა საჭირო გახდა ჩვეულებრივი ამპლუის საზღრების გაფართოება, — თქვა მსახიობმა. — მრავალი სცენური სახის შესრულების შემდეგ შევხვდი სრულიად ახალ გმირს და თუმცა, ამ პიესას ვთამაშობდით ცხრა წლის წინათ რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში, მაგრამ დღეს იგი ახალი რედაქციით დაიდგა და მიწევს მთელი ჩემი შესაძლებლობების გამოვლენა, რათა არ აღმოვჩნდე ამ ათი წლის წინანდელი სახის სტერეოტიპების გავლენაში. თავად პიესის სახელწოდება „თავისუფალი პეპელა“, სახელდობრ, არის კიდეც ჩემი გმირი — უზრუნველი, მხიარული, ბედნიერი არსება, — თქვა შემდეგ ნანუკა ხუსკივაძემ. — მაგრამ მის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა იგი იძულებულია „სიყვარულში უხმაურო გმირობა“ ჩაიდინოს, რომელსაც თან სდევს მძიმე განსაცდელი, გულისტკივილი, ღირებულებათა გადაფასება... ნანუკა ხუსკივაძის პარტნიორები არიან მსახიობები დავით დარჩია და ნანა ფაჩუაშვილი. სცენოგრაფია ეკუთვნის შოთა გლურჯიძეს.

**საქინფორმი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

რეჟისორის თვალი

# ...განსხვავებული ხედვით, ახალი სიტყვით

(მეძებსე გვერდიდან)

თუნდაც თეატრის წინა ფასადის ინტერიერი და სიმბოლოდ მიჩნეული გემი, რომელიც ვფიქრობ, თეატრალური ოკეანის სიღრმეებისკენ მიექანება, ტალღებს მიაპობს და ვერანაირ სტიქიას ვერ შეუშინდება... არასდროს ჩაიძირება... სპეციფიკურია ისიც, რომ აქ, ამ თეატრში, რომელიც სახელმწიფო კანცელარიიდან რაღაც 20 მეტრით არის დაშორებული, საკმაოდ პროვოკაციული სპექტაკლები იდგმება და ხშირად, მაყურებელთა და მსახიობთა ემოცია კაბინეტებში, მოხელეებისთვისაც კი გასაგონია".

***— საინტერესოა, როდესაც რეჟისორის მიერ განხორციელებული სპექტაკლები აკადემიურ თეატრებში იდგმება და დიდ თეატრში შესაძლებელია მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის გაგრძელება, მაშინ რად მიმართავს კამერულ სივრცეს?***

— „ყოველ პიესას სხვადასხვაგვარი თეატრალური სივრცე უხდება. სივრცის ათვისება თანამედროვე თეატრის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია. მცირე მასშტაბები სხვა გამომსახველობით საშუალებას იძლევა. მაყურებელთან მაქსიმალური სიახლოვე გაიძულებს რეჟისორს რაიმე სიყალბე არ გაგეპაროს და ბოლომდე გულწრფელი იყო. დიდი თუ მცირე სცენის სპეციფიკა კარგად უნდა გაითავისო, ტექნიკურად კარგად აითვისო და გამოიყენო. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობაც და ვალდებულებაც ჩემთვის ყველგან ერთნაირია, მნიშვნელობა არა აქვს თუნდაც მსახიობთა რაოდენობის განსაზღვრას, მთავარია, მივაღწიოთ მაქსიმუმს და ჩანაფიქრი განვახორციელოთ, სათქმელი სრულყოფილად მივიტანოთ მაყურებლამდე. მაინც მგონია, რომ „სისხლიანი ქორწილი" ახალგაზრდობამ სწორად გაიგო, შეიძლება უფროსი თაობისთვის ნაკლებად მისაღები იყოს, მაგრამ ძირითადი ითქვა — სპექტაკლის გმირებს სუფთა, პირველადი ვნება და სიყვარულის პირველადი აღქმის უნარი შესწევთ. მსახიობებმა შეძლეს ლორკას პიესის გათავისება და სწორად მიღება. ამ ამაღლებულმა პოეზიამ სპექტაკლში ისეთივე მხატვრული ფორმა მიიღო, როგორც სხვა სცენოგრაფიულმა ელემენტებმა... საერთოდ, თეატრის უმთავრესი ნაწილი ხომ დრამატურგიაა, რომელიც დღევანდელობასთან კავშირში ირჩევა, პრობლემა ჩნდება და რეჟისორის სათქმელი სააშკარაოდ გაისმის. დაახლოებით ოცი წლის წინათ ძალიან აქტუალური იყო ბრეჰტის პოლიტიკური დრამატურგია, დღევანდელ საზოგადოებრიობაში წინ ოჯახების საერთო პრობლემამ წამოიწია და შესაბამისად, სცენაზეა ჩეხოვი, იბსენი... ახლა მივმართავ და მუშაობა მინდა დავიწყო მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭიზე", რომელიც უზარმაზარი მასალაა და დიდ დროს მოითხოვს, და კიდევ, რუსული დრამატურგიიდან, ალბათ, გოგოლს ავიღებ. ასევე თავისუფალ ან ვაკის სარდაფის თეატრში მინდა აღვადგინო ჩემი სპექტაკლები შილერის „მარიამ სტიუარტი" და ფედერიკო გარსია ლორკას „ბერნანდა ალბას სახლი". ამ შემთხვევაში მხოლოდ აღვადგენ ამ სპექტაკლებს, შეიძლება რაღაცრაღაცეები შეიცვალოს კიდეც, მაგრამ ეს სახესხვაობა იმას არ ნიშნავს, რომ პიესას ან თავიდან ვდგამ ან თავიდან გავათამაშებ".

***— დღეს მომრავლდა ახალგაზრდული თეატრები, სადაც უფროსი თაობა მგონი გვაკლია?***

— „რა თქმა უნდა, გვაკლია. ის უფროსი თაობის წარმომადგენლები თავადვე არიან თეატრები, რომლებიც ქართულ სცენას და მთლიანად საზოგადოებრიობას აკლია. დადგა დრო, რომ ყველა თაობის მსახიობი იდგეს სცენაზე. მენატრება ხანდაზმულ მსახიობთან მუშაობა, რაც მხოლოდ გამოცდილებისა და აზრთა გაცვლის საშუალება არ იქნება. მათგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება. ამიტომაც ვამბობ, რომ დღევანდელ თეატრს სული აკლია, მეტი ემოცია და ვნება გვესაჭიროება"...

***— და კიდევ, ახალი საუკუნის მოთხოვნილებათა შესაბამისად, ახალგაზრდა რეჟისორს როგორ წარმოუდგენია მომავლის თეატრი?***

— „ უკვე ვთქვი, თეატრი ცოცხალი ორგანიზმია, სადაც ყოველთვის მიმდინარეობს ახალი გამომსახველობითი ფორმებისა და საშუალებების ძიება. ახალი საუკუნე დაიწყო და მოვიდა რეჟისორთა ახალი თაობა განსხვავებული ხედვით, სრული თავისუფლებით, ახალი სიტყვით... იცვლება და კვლავაც შეიცვლება აქტიორული ტექნიკა, შემოქმედებითი ცხოვრების პარამეტრები. მომავლის თეატრი იქნება მსახიობის თეატრი და არა სუფთა რეჟისორული თეატრი. დადგება დრო, როცა დაიდგმება კარგი მიუზიკლები. მიკვირს აქამდეც რატომ არ ხორციელდება, რადგანაც მსახიობთა უმეტესობა კარგად მღერის, კარგად ცეკვავს, პლასტიკურად კარგად მოძრაობს... ეს სრულიად საკმარისია მიუზიკლისათვის.

...მსახიობი უნდა იყოს ერთბაშად პლასტიკური, არტისტული, მუსიკალური, ინტელექტუალური... მხოლოდ ინტუიცია, თანამედროვე მოთხოვნილებებით, არაა საკმარისი".

**მზექა მახარაძე.**

პრემიერა

**ქართული თეატრის ორბიტაზე მრავალი ახალგაზრდა ექსპერიმენტატორი რეჟისორი გამოჩნდა. განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ მათ შორის არიან ქალები. ერთ-ერთი მათგანია ახალგაზრდა რეჟისორი ლელა ჭინჭარაული. მან 2000 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი რეჟისურის დარგში და თავისი სადიპლომო სპექტაკლი — ეჟენ იონესკოს „გაკვეთილი" თავის საკუთარ, „ჯიბის თეატრში" გამართა...**



# ლელა ჭინჭარაულის ექსპერიმენტი

გზა პროფესიულ სცენამდე სულაც არ იყო იოლი, თუნდაც იმიტომ, რომ მას ყველაზე მეტად ქართული დრამატურგია იზიდავდა, სურდა სცენაზე აემეტყველებინა თავისი თანამედროვეები, თავისი თანატოლები. არადა, სწორედ ასეთი პიესების დიდ დეფიციტს წააწყდა, რომ არაფერი ვთქვათ სხვა, თუნდაც მატერიალურ მხარეზე. ლელას „თავისუფალმა თეატრმა" დაუთმო თავისი სცენა. მოიძებნა პიესებიც. მან „სამი პიესა" დადგა, რომლებშიც გააერთიანა ლაშა ბუღაძის, ბასა ჯანიკაშვილის, დათო ტურაშვილის მოთხრობები — „რა ესიამოვნა ზაზა კოშკაძეს?", „მეზობლები" და „მწვანე ჰორიზონტი". სპექტაკლი საათნახევარი გრძელდება და დროის ამ მცირე მონაკვეთში იკვეთება ადამიანების ცხოვრების სხვადასხვა ასპექტი ტრაგიკულიდან კომედიურამდე, რომელიც დროდადრო გროტესკში, აბსურდში გადადის. სამივე მოთხრობას აერთიანებს ერთი რამ — სამივეში გაისმის გასროლა, რომელიც საბედისწერო ხდება, ანუ ის, რაც დღეს ასე ჩვეული გახდა ჩვენს სინამდვილეში, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. და, შესაბამისად, დაუსჯელობის სინდრომი, რომელიც ასევე სიმპტომურია ჩვენი დღევანდელობისთვის. სამივე სიუჟეტი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვითარდება. ლაშა ბუღაძის გმირ ზაზა კოშკაძეში, გაზულუქებულ მინისტრის შვილში, რომლისთვის არაფრის ტაბუ არ არსებობს და რომელიც კიდეც მღერის, ხატავს, წერს, მაგრამ ბოლო დასაყრდენს ნარკოტიკებში პოულობს, ბევრი შეიცნობს იმათ, ვინც სამწუხაროდ, მრავლადაა დღეს საქართველოში.

ბასა ჯანიკაშვილის სიუჟეტის მოქმედება ლიფტში ვითარდება. მეზობლების ურთიერთდაგმობა, ურთიერთუნდობლობა და გაუტანლობა ტრაგედიით მთავრდება — ორივეს მანიაკი კლავს...

გაუცხოების თემაა გათამაშებული დათო ტურაშვილის „მწვანე ჰორიზონტში". ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს აფხაზეთიდან დევნილი ცოლ-ქმარი. ისინი სხვადასხვა განზომილებაში იმყოფებიან, ვერ უგებენ ერთმანეთს. ყველაფერი კი იმით მთავრდება, რომ კვლავ გაისმის გასროლა და ერთი მათგანი თავს იკლავს.

— ყოველივე, რაც სამმა ახალგაზრდა ნიჭიერმა ქართველმა მწერალმა შექმნა, — თქვა ლელა ჭინჭარაულმა, — ჩვენს გვერდით ხდება და, სამწუხაროდ, ისე შევეჩვიეთ, რომ არც კი გვაკვირვებს. თუმცა, იმათი თანამედროვე სახეების გამოკვეთა, ვისაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდები, ან ვისზეც გსმენია, უფრო ძნელი აღმოჩნდა. თანამედროვე პიესამ მთელი აქცენტი დრამატურგიაზე გადამატანინა — ტექსტი სრულიად შეულამაზებლად ისმის, იგი ხშირად თანამედროვე ახალგაზრდობის ჟარგონშიც გადადის და ამით, ჩემი აზრით, უფრო რეალური და გასაგები ხდება. იქნებ სწორედ ამითაც აიხსნება ის, რომ წარმოდგენამ ახალგაზრდა მაყურებლების მოწონება დაიმსახურა.

სპექტაკლში თამაშობენ ახალგაზრდა მსახიობები ზალიკო ჩიქობავა, ნინო ფილფანი, მაია გელოვანი, ბექა ჯუმუხია, ნათია ფარჯანაძე, კოტე თოლორდავა, მაკა პაპაშვილი. მუსიკალურად გააფორმა, ასევე ახალგაზრდა, ნიჭიერმა კომპოზიტორმა გიგი ძოძუაშვილმა. მისმა შესანიშნავმა მუსიკამ კიდევ უფრო გამომსახველი გახადა სცენური ქმედება.

**ლამარა გაგუა,**
**საქინფორმი.**

ბენეფისი



**ეკრანებზე გამოსვლისთანავე პოპულარობა ხვდა წილად კინოკომედია „აბეზარას". ფილმში ქართველ აქტიორთა ნამდვილი თანავარსკვლავედი მონაწილეობდა: სესილია თაყაიშვილი, სანდრო ჟორჟოლიანი, აკაკი კვანტალიანი, მარინე თბილელი, გიორგი გეგეჭკორი, ჟუჟუნა დუგლაძე... მთავარ გმირს, ლეილა აბაშიძეს, პარტნიორობას უწევდა უცნობი მსახიობი თენგიზ მუშკუდიანი. იგი ისე ორგანულად მოქმედებდა მათს გვერდით, თითქოს მთელი ცხოვრება კინოობიექტივთან გაეტარებინა. ბრწყინვალე გარეგნობა, რბილი, თბილი ინტონაცია და ბუნებრივი მოძრაობები განუმეორებელ ხიბლს სძენდა არქიტექტორ გიორგის სახეს. დროის გადასახედიდან, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფილმის რეჟისორის ნიკოლოზ სანიშვილის ზუსტი არჩევანის წყალობით, თენგიზ მუშკუდიანის მონაწილეობამ დიდად განსაზღვრა „აბეზარას" წარმატება.**

# ილვრებოდა სითბო, კეთილგანწყობა...

ამ დროს საოპერო ხელოვნების მოყვარულები კარგად იცნობდნენ ახალგაზრდა ბანს თენგიზ მუშკუდიანს, რომელიც უნიკალური ხმისა და მონაცემების გათვალისწინებით, 1954 წელს, ჯერ კიდევ კონსერვატორიის მეოთხე კურსის სტუდენტი, მიიღეს თბილისის საოპერო დასში სოლისტად. ერთი წლით ადრე კი, თბილისის კონსერვატორიის წამყვან პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ერთად იგი ლენინგრადის კონსერვატორიის ფართო აუდიტორიის წინაშე წარსდგა, როგორც ვოკალისტთა მეორე საკავშირო კონფერენციის მონაწილე. იმდენად ძლიერი იყო შთაბეჭდილება თენგიზ მუშკუდიანის გამოსვლის შემდეგ, რომ მოსკოვის დიდი თეატრის დირექციის წარმომადგენელმა მას დიდი თეატრის სოლისტობა და მოსკოვის კონსერვატორიაში სწავლის გაგრძელება შესთავაზა, რაც ნებისმიერ დამწყებ მომღერალს თავბრუს დაახვევდა. თ. მუშკუდიანი ცდუნებას არ აჰყვა და პროფესიული წრთობა თავის შესანიშნავ პედაგოგთან ვალერიან ქაშაკაშვილთან დაასრულა. შედეგმაც არ დააყოვნა — სტუდენტობის წლებშივე უდიდეს წარმატებას მიაღწია ვოკალისტთა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალზე, სადაც ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ხუთი წლის შემდეგ (1959-1960 წ.წ.) თენგიზ მუშკუდიანი კვლავ დიდი თეატრის დირექციის ყურადღების ცენტრში მოექცევა. მოსკოვში ქართული კულტურის დღეების პროგრამით თბილისის საოპერო თეატრის სპექტაკლებში თ. მუშკუდიანის შთამბეჭდავმა გამოსვლებმა განაპირობა მისი დიდი თეატრის სტაჟიორად ჩარიცხვა. აქ იგი მსოფლიოში აღიარებული ბანის მარკ რეიზენის ხელმძღვანელობით ამზადებს გრემინის („ევგენი ონეგინი"), ტიბოს („ორლეანელი ქალწული"), რამფისის („აიდა"), ვარიაგელი სტუმრის („სადკო") ვოკალურად და სცენურად ერთმანეთისგან განსხვავებულ პარტიებს და წარმატებით გამოდის დიდი თეატრის მომთხოვნი, მკაცრი, გემოვნებიანი მაყურებლის წინაშე.

საოპერო სცენაზე მოღვაწეობის 32 წლის მანძილზე თენგიზ მუშკუდიანმა ბანის რეპერტუარის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პარტია იმღერა: პიმენი და ბორისი („ბორის გოდუნოვი"), რენე („იოლანტა"), გალიცკი („თავადი იგორი"), მეწისქვილე („ალი"), მოხუცი ბოშა („ალეკო"), მეფისტოფელი („ფაუსტი"), დონ ბაზილიო („სევილიელი დალაქი"), დონ ჟუანი („დონ ჟუანი")... მისი შესრულება მსმენელს იზიდავდა სისადავით, აკადემიურობით, ტემბრალური მრავალფეროვნებით, ყველა რეგისტრში ხმის თანაბარი ჟღერადობით და სახის გააზრების ორიგინალური ინტერპრეტაციით. განსაკუთრებულია მომღერლის მიერ ქართულ საოპერო სპექტაკლებში შეტანილი წვლილი. მის მიერ სხვადასხვა წლებში შექმნილი ვოკალურ-სცენური სახეები: მეფე აბიო („აბესალომ და ეთერი"), გიორგი („დარეჯან ცბიერი"), ვახტანგ მეფე („სიმღერა თბილისზე"), ნადირხანი („ბაში-აჩუკი"), ფარსმანი („დიდოსტატის მარჯვენა"), ხევისბერი („მინდია"), შერგილი („ლელა"), ტარიელი („მთვარის მოტაცება") ქართული საოპერო ხელოვნების ისტორიის გამამდიდრებელი ფურცლებია.

ვრცელი და ნაყოფიერია თენგიზ მუშკუდიანის საგასტროლო რუკა. სადაც არ უნდა გამოსულიყო იგი, ყველგან იპყრობდა მსმენელის ყურადღებას — იმპოზანტურობით, დახვეწილი მანერებით, ლამაზი და მოქნილი ხმით. მრავალრიცხოვან მოგზაურობათაგან თვით მომღერლისათვის გამორჩეულად ღირსსახსოვარია ერთ-ერთი პირველი გასტროლი ხარკოვში, სადაც გუნოს „ფაუსტში" სამი ქართველი მომღერლის: მედეა ამირანაშვილის (მარგალიტა), პეტრე ამირანაშვილის (ვალენტინი) და თენგიზ მუშკუდიანის (მეფისტოფელი) მონაწილეობამ, შეიძლება ითქვას, ფურორი მოახდინა უკრაინელ მსმენელზე. ასევე წარუშლელია მის მეხსიერებაში დიდებულ ქართველ მომღერლებთან — ლეილა გოცირიძესთან, ზურაბ ანჯაფარიძესთან და ნოდარ ანდღულაძესთან ერთად 1959 წლის პოლონური გასტროლები, სადაც აღფრთოვანებულმა პრესამ „ოქროს ხმებად" მონათლა ახალგაზრდა ქართველი საოპერო ვარსკვლავები.

თენგიზ მუშკუდიანი არა მხოლოდ ბრწყინვალე მომღერალი, არამედ შესანიშნავი პედაგოგია. იგი თითქმის სამი ათეული წელია გულუხვად გადასცემს კონსერვატორიის სტუდენტებს უზარმაზარ გამოცდილებას, ცოდნას, უვითარებს პროფესიულ ჩვევებს და საქმისადმი სიყვარულს. პედაგოგიურ მოღვაწეობას ბატონი თენგიზი ჰარმონიულად უხამებს მეტად საპასუხისმგებლო ადმინისტრაციულ თანამდებობას — მრავალი წელია სათავეში უდგას თბილისის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის პირველ სამუსიკო სასწავლებელს. იგი ერთ-ერთი სანიმუშო დირექტორია საქართველოს მასშტაბით.

ჩვენს სასიქადულო თანამემამულეს, სახალხო არტისტს, პროფესორ თენგიზ მუშკუდიანს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. ეს თარიღი სადღესასწაულო ვითარებაში აღინიშნა თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში, სადაც მისი მრავალმხრივი ნიჭის თაყვანისმცემელთა არმიას მოეყარა თავი. მილოცვებსა და მისასალმებელ სიტყვებში გულწრფელად ილვრებოდა სითბო, სიყვარული, კეთილგანწყობა... სადამო დაამშვენა დიდი მასტერის ოდესღაც დიმიტრიადის მონაწილეობამ.

**ვაჟა როზაძიძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

სახიობა

საქართველოს რესპუბლიკა

№ 169, კვირა, 29 ივნისი, 2003 წელი.

## არქივიდან

ერთხელ, ჩემმა პროფესორმა ცნობილმა თეატრმცოდნე დიმიტრი ჯანელიძემ თავისი სანუკვარი ფოტოსურათები მაჩვენა, — მათ შორის განსაკუთრებით მიეფერა ერთ შელახულ, მაგრამ ფრიად სამახსოვრო ფოტოს — ვასილ ამაშუკელის მიერ რაჭა-ლეჩხუმში აკაკი წერეთლის მოგზაურობის დროს გადაღებულს — დიდი ჯგუფის წინ ორი ყმაწვილი დგას — ერთი ჩვენი ბატონი დიმიტრია, მეორე კი უჩა ჯაფარიძე!

ჰოდა, უჩა ჯაფარიძის იუბილეც კარზე იყო და ვთხოვე, პატარა მოგონება დაეწერა თავის მეგობარზე — თხოვნა შემისრულა. ეს მოგონება მაშინ კი დავბეჭდეთ, მაგრამ დედანი შევინახე, როგორც რელიკვია.

ახლახან უჯრაში რომ წავაწყდი, ვიფიქრე, ბატონი დიმიტრის ხსოვნისადმი პატივისცემასაც გამოვხატავთ მისი გამოქვეყნებით და ბატონი უჩას სულიც დაგვიმადლებს, მით უმეტეს, რომ წიგნი ჯერაც არ გამოსულა.

ნანა ღვინეფაძე.

# ერთი ფურცელი ხელნაწერი წიგნიდან



ამას წინათ უჩა მოვინახულე, რაჭისკენ გამგზავრებაზე გამიბა საუბარი შოდა-ღარულასა და თავის კარმიდამოს მჟავე წყლისაკენ მიუწევდა გული, გავიხსენე: რაჭველი, სადაც არ უნდა ყოფილიყო გადაკარგული, ფიცარს რომ რანდავდა, თან სევდიანად დაღიღინებდა — „რაჭას წასვლა მირჩევნია მილიონის ქონებასო“. ძალიანაც გვინდა, მთის ამ ძახილმა იმძლავროს და ბევრს პირი აქნევინოს გულსაკლავად დაცარიელებული სოფლებისაკენ.

საისტორიოდ, საზღაპროდ სამახსოვროა აკაკის მობრძანება რაჭაში. ონის ხიდთან მის შესახვედრად მოსულმა ხალხმა და ჯამაათმა წინ ბავშვები დაიყენა, მხცოვან მგოსანს მომავალი თაობა დაალოცვინა. მათ შორის ექვსი წლის ბაია უჩა ჯაფარიძე იყო, რასაკვირველია, ქულაჯით. გაივლის ნახევარი საუკუნე და აკაკისაგან დალოცვილს, სამშობლოს მასახელებელ დიდოსტატად საქვეყნოდ აღიარებულს გაუგონარ, საოცარ შეხვედრას უმართავს მხატვრის შემოქმედებით თავმოწონებული მხარე. ელგუჯა ამაშუკელი, „საბჭოთა ხელოვნების“ ფურცლებზე, განცვიფრებით იგონებდა ამ არნახულ ზარ-ზეიმობას. რაჭის გზაზე მხატვრის კომპოზიციები ცოცხალ სურათებად იქცნენ, ზმანებასავით ჩარჩოებიდან გადმოდიოდნენ ფერმწერლის პერსონაჟები და სტუმრებს გულუხვად მასპინძლობდნენ. ხალხი გვასწავლის, საიუბილეო ზეიმი არ იყოს ერთი მეორესთან მოსაბეზრებლად მიმსგავსებული და დაშტამპული. დღესასწაულმა უნდა „გული ან აქეთ მისწიოს ან იქით“, უკეთესისკენ მისწრაფებას ფრთა შეასხას, ხალისს, იმედს, რწმენას გზა გაუკვალოს.

სკოლის ერთი მერხისანი ვართ და ამასაც ვიგონებ: ტექნიკით საოცრად გატაცებულმა მოსწავლე უჩამ თავის მამის ბიბლიოთეკის ერთ-ერთ წიგნში ამოიკითხა, პირველწინარე ველოსიპედი რომ ხისგან იყო გაკეთებული. უჩამ მოინდომა თვით ჰქონოდა ეს „ხისპედი“. ის ბავშვობიდანვე ასეთი იყო, რასაც გულში ამოიჭრიდა, შეისრულებდა კიდეც. თავისი ხელით გამოთალა და გამორანდა მგორავი ორთვალა, ზედ უნაგირიც მოადგა. მის მეგობრებს ხშირად გვინახავს უჩა ამ ჭრაჭუნა თვითნაკეთ ველოსიპედზე გადამჯდარი, ვაკეზე გაჭირვებით დაატარებდა, თავდაღმართში კი კისრისტეხით მიაქროლებდა. უბედურება ის იყო, რომ ბორბლის ღერძს ხახუნისგან ცეცხლი უჩნდებოდა, ეს დიდხანს აღონებდა, სანამ დაშლილი ნამდვილი ველოსიპედი არ ნახა და მისი გოგორა ბურთულოვანი საკისრის საიდუმლოს არ ჩახვდა. თითქოს მანქანებით და მისი მექანიზმებით გატაცებული უჩა მექანიკოს-ინჟინრად უნდა წამოზრდილიყო, და მაინც, რა საოცარია, რომ მისმა მოწოდებამ მხატვრობისაკენ იქცია თავი. ეს მაგალითიც იმის გამაფრთხილებელია, თუ თვით ახალგაზრდა, მისი მშობლები და მასწავლებლები, რამდენად დაკვირვებული უნდა იყვნენ მოწოდების ამოცნობაში.

ეს ჩემი პაწია მოგონება უჩა ჯაფარიძემ ახლა მოლოცვად მიიღოს, დანარჩენი წიგნში მოექცევა, რომელსაც უპრიანი იქნება „მთის ძახილი“ ვუწოდო.

დიმიტრი ჯანელიძე.

სურათზე: დიმიტრი ჯანელიძე.
უჩა ჯაფარიძის ნახატი.

## ქორეოგრაფია

# სადაც კი «ძმებს» ფეხი დაუდგამს

**ვინც ზესტაფონის სერგო ზაქარიაძის სახელობის სარაიონო კულტურის ცენტრის, სახალხო-ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ძმების“ კონცერტს დასწრებია, დაგვერწმუნება მის მაღალ ქორეოგრაფიულ კულტურასა და ოსტატობაში.**

ამ თოთხმეტიოდე წლის წინათ ანსამბლ „ძმების“ შექმნა-ჩამოყალიბება ზესტაფონის ქორეოგრაფიულ სტუდიაში თაობათა ცვლის აუცილებლობამ განაპირობა და ქორეოგრაფები ნონა ცხადაძე და ძმები ზაზა და გოჩა შალამბერიძეებიც საქმეს შეუდგნენ. ასე დაიბადა ანსამბლი, რომელიც ქორეოგრაფ რეზო აბრამიშვილის სახელს ატარებს.

თანდათან იზრდებოდა ანსამბლის ავტორიტეტი. ქორეოგრაფების მოთხოვნითა და უნარიანი ხელმძღვანელობით ახალგაზრდა გოგო-ბიჭები ხვეწდნენ ცეკვის ხელოვნებას, ამუშავებდნენ ცალკეულ ილეთებს. დაიხვეწა ცეკვა-ქართული, ყაზბეგური, აჭარული, ხორუმი, სიმდი, ნარნარი, სადარბაზო, სამაია და სხვა. შემოქმედებითმა ძიებამ ქორეოგრაფებს შეაქმნევინა იმერული სახუმარო ცეკვა „ლხინი იმერეთში“, რომელიც მაშინვე დამკვიდრდა მის რეპერტუარში.

„ძმები“ ზესტაფონში გამართული ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიების მონაწილეა. გამოდის რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ფესტივალებზე, მოვლილი აქვს საქართველოს თითქმის ყველა რაიონი, მრავალი ქვეყანა. იგი წარმატებით გამოვიდა რეზო ჯანიაშვილის სახელობის ანსამბლ „კოლხიდას“ დაარსების 45 წლისთავის საიუბილეო საღამოზე მოსკოვში, მონაწილეობდა ხარკოვში ეროვნული ფონდის წარდგინებაზე, ხოლო ქალაქ გურჯაანში გამართულ ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონკურსში პირველი ადგილი დაისაკუთრა. გორში გამართულ ილიკო სუხიშვილის საიუბილეო საღამოზე „ძმების“ სოლისტებს ირმა ლაბაძესა და მამუკა გაჩეჩილაძეს ცეკვა ქართულის საუკეთესო შესრულებისათვის მეორე ადგილი მიაკუთვნეს. ამას წინათ „ძმებმა“ მონაწილეობა მიიღო ბულგარეთის ქალაქ ნესებრში გამართულ ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც „გრან პრი“ დაიმსახურა. „ძმების“ გამოსვლა ორჯერ ჩაიწერა საქართველოს ხალხური შემოქმედების სტუდიამ, როგორც მზარდი და ახლის მაძიებელთა თაობისა. კულტურის სამინისტრომ ანსამბლს მიანიჭა სახალხოს სახელი, ყოველი წლის ბოლოს „ძმები“ საანგარიშო კონცერტს მართავს.



საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ანსამბლის ყველა წევრს დამთავრებული აქვს აკაკი ვასაძის სახელობის ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი. 20 მოცეკვავე რაიონის ბიუჯეტიდან იღებს ხელფასს. თავის მოვალეობას საუკეთესოდ ასრულებენ აკომპანიატორები როლანდ რიჟამაძე და ამირან გიორგაძე.

ახლახან ანსამბლი მონაწილეობდა მსოფლიო ფოლკლორის ფესტივალში, რომელიც გაიმართა დნეპროპეტროვსკში.

კოლექტივს ყურადღებას არ აკლებენ რაიონის გამგებელი ელგუჯა კვეტენაძე და პარლამენტარი დავით კოვზირიძე. ქორეოგრაფები და კულტურის განყოფილება განსაკუთრებული პატივისცემით იხსენებენ ყოფილ გამგებელს ჯემალ გორგოძეს, რომელმაც გაჭირვების ჟამს ყველაფერი იღონა, რათა ანსამბლი გადარჩენილიყო. დღეს ქალაქის ცენტრში შეამჩნევთ ანსამბლის სარეკლამო სტენდს, რომელმაც ეს უბანი ძალზე დაამშვენა.

ჰენრი შარიქაძე.

სურათზე: ანსამბლი „ძმები“.

## მუსიკა

# ავტორის კომენტარებით

## საგალობლები, პიესები, რომანსები...

იმათ, ვინც ახალგაზრდების სამუსიკო განათლებას ემსახურებიან, კარგად იციან, რომ სამუსიკო სკოლების თეორიული საგნების სწავლებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ქართული სახელმძღვანელოების ნაკლებობაა, რის გამოც, უმეტესად, სხვა ქვეყნის ავტორთა ნაშრომებს იყენებენ. ბოლო წლებში ამ ხარვეზის შევსების რამდენიმე მცდელობა არსებობს, ისინი მეტ-ნაკლებად არის პრაქტიკაში გამოყენებული. ამ მიმართულებით კიდევ ერთი სერიოზული მცდელობაა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის დოცენტის **ჯემალ ოიკაშვილის** მიერ შედგენილი ქრესტომათიული კრებულები — ერთხმიანი, ორხმიანი და სამხმიანი სოლფეჯიოები, მუსიკალური კარნახები, რომლებიც ქართულ ინტონაციებზეა შედგენილი და ქართული მრავალხმიანობის ბუნებასაც ითვალისწინებს. ამ მხრივ მუსიკოსის მოღვაწეობას სასიკეთო პირი უჩანს.

მის სახელმძღვანელოებს იყენებენ არა მარტო თბილისის რამდენიმე სამუსიკო, არამედ გორის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის სასწავლებლებშიც. ბოლო წლებში მუსიკოსი კომპოზიციის დარგშიც მუშაობს, საფორტეპიანო ნაწარმოებების გარდა, მან შექმნა პიესები სხვადასხვა საკრავებისთვის, ასევე ვოკალურ ჟანრში. მუსიკოსის მრავალმხრივი მოღვაწეობის ილუსტრაცია გახლდათ ახლახან საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელოვნების კოლეჯში გამართული საღამო-კონცერტი, რომლის მთელი პროგრამა ჯემალ ოიკაშვილის ნაწარმოებებისგან შედგებოდა.





საღამო ორიგინალურად წარიმართა. ხელოვნების კოლეჯის დირექტორმა ციცო ჯაფარიძემ და თეორიული განყოფილების პედაგოგმა ლალი ნადირაშვილმა ისაუბრეს მუსიკოსის ღვაწლზე, მის მიერ შედგენილი კრებულების ავკარგიანობაზე, იმაზე, თუ რამდენად ნაყოფიერია მათი სწავლება სკოლაში, შემდეგ საღამოს წამყვანის როლი თავად მუსიკოსმა ჯემალ ოიკაშვილმა იკისრა. იგი თავის ქმნილებებზე თავად აკეთებდა კომენტარებს, შემსრულებლებად კი მოგვევლინენ კოლეჯის მოსწავლეები და პედაგოგები, მონაწილეობდნენ აგრეთვე კონსერვატორიის სტუდენტები. საღამოზე სასიამოვნოდ აჟღერდა ჯემალ ოიკაშვილის საგალობლები კოლეჯის გოგონათა გუნდის შესრულებით. ასევე პიესები ორი ფლეიტისთვის, ორი ვიოლინოს, ფლეიტისა და ფორტეპიანოსათვის, ალტისა და ფორტეპიანოსათვის... მსმენელმა პირველად მოისმინა, აგრეთვე კომპოზიტორის ვოკალური ნაწარმოებები, მაგალითად, რომანსი ბარტონისათვის „ფრესკა“ ავტორისეული ტექსტითააჟღერა გიორგი მაღრაძემ, კოლეჯის პედაგოგმა ქეთევან ჯანჯალიამ კი შეასრულა რომანსი „ქალაქური ჰანგები“ პოეტ ნანა ღვინეფაძის ლექსზე. „სიყვარულის ასაკი“ საკუთარი არანჟირებით ნათია ბიძინაშვილმა აახმიანა. საღამო დააგვირგვინა სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის, ცნობილი მუსიკოსის თამაზ გომელაურის გამოსვლამ. მან შეასრულა კომპოზიტორის პიესა „ექო“ ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის თავად ავტორის საფორტეპიანო თანხლებით.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

სურათებზე: უკრაველ თამაზ გომელაური და ჯემალ ოიკაშვილი; ფლეიტისტი ქეთევან შანიძე.

## მეგობრული შარჟი



ავთანდილ ვარსიმაშვილი.
გელა დურგლიშვილის ნახატი.

სარედაქციო კოლეგია: გურამ გოგიაშვილი, ნანა ღვინეფაძე (რედაქტორი), რუსუდან მუხიგულაშვილი, ზურაბ ოიკაშვილი, ვაჟა ძიგუა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

რაგბი

# ბორჯღალოსნები — ნახევარფინალში



ბუშინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე დაიწყო და დღეს დამთავრდება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი შვიდკაცა რაგბიში. ფინალური შეჯიბრების საგზურისთვის რვა ქვეყნის ეროვნული გუნდები იბრძვიან (სავასპარეზოდ ვერ ჩამოვიდნენ რუსები და სომხები, რომლებმაც ოპტიმალურ შემადგენლობას ვერ მოუყარეს თავი). გუშინდელი ჯგუფური ტურნირის შეხვედრები ასე დამთავრდა: უკრაინა – რუმინეთი 17:14, საქართველო – აზერბაიჯანი 66:0, იტალია – ბულგარეთი 33:0, საფრანგეთი – ისრაელი 52:0, უკრაინა – აზერბაიჯანი 52:0, საქართველო – რუმინეთი 40:7, იტალია – ისრაელი 40:10, საფრანგეთი – ბულგარეთი 54:0, აზერბაიჯანი – რუმინეთი 0:35, საფრანგეთი – იტალია 28:0, საქართველო – უკრაინა 21:5, ბულგარეთი – ისრაელი 24:29.

ამდენად, „ა“ ჯგუფში 3 მოგებით პირველ ადგილზეა საქართველოს ნაკრები. მომდევნო ადგილებზე მოდიან: უკრაინა (2 მოგება), რუმინეთი (1), აზერბაიჯანი (0). „ბ“ ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: საფრანგეთი (3 მოგება), იტალია (2), ისრაელი (1), ბულგარეთი (0).

ქართველი ბორჯღალოსნები დღეს 17.50 საათზე ნახევარფინალურ მატჩში იტალიელებს შეხვდებიან, ხოლო 18.10 საათზე ფრანგები და უკრაინელები ითამაშებენ. ფინალური ორთაბრძოლა 20.30 საათზეა დანიშნული.

ეროვნული ნაკრებების პარალელურად გუშინვე გაიმართა თბილისის თასის გათამაშება საკლუბო გუნდებს შორის. გაუწყებთ მათ შედეგებს: „ლოკომოტივი“ – „ბაქო“ 45:0, „აკადემია“ – „უნივერსიტეტი“ 10:12, „ყოჩები“ – „არმაზი“ 35:0, „ლელო“ – „სკ 8-15“ 24:0, „ლოკომოტივი“ – „უნივერსიტეტი“ 21:0, „აკადემია“ – „ბაქო“ 82:0, „სკ 8-15 – „ყოჩები“ 35:12, „ლელო“ – „არმაზი“ 46:5.

**ია პირველი,**
**მირანდა ჭოჭუა.**

წიგნი

# განიცადეთ აზროვნების მშვენიერება

## ბასილი დიდის „ექვსთა დღეთას“ ახალი თარგმანისათვის

ბასილი დიდის „ექვსთა დღეთაზე“ (ჰექსაემერონი) მუშაობა მომიხდა, როდესაც დროის შუასაუკუნეობრივ გაგებას ვსწავლობდი. ჩემთვის საინტერესო პასაჟების ორიგინალიდან თარგმნისას, ცხადია, ვითვალისწინებდი სხვა ენებზე არსებულ თარგმანებსაც. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ყურადღებით ვაანალიზებდი თითოეულ სიტყვას კონტექსტების მიხედვით, რათა ჩავწვდომოდი კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით წმინდა მამის მსჯელობას, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს კარგად გავაცნობიერე არაჩვეულებრივი უნარი მოძღვრისა – უაღრესად რთული საკითხისა და ღრმა აზრის მარტივად, ყველასათვის გასაგებად მოწოდებისა, უნდა ვაღიარო, რომ პირველად გვანცა კოპლატაძის თარგმანის მეშვეობით შევიგრძენი მშვენიერება „ექვსთა დღეთას“ ტექსტისა, სულისკვეთება წმინდა მამისა, ანუ ის მთავარი, რითაც თხზულების მიზანი განხორციელდება.

ბასილი დიდის მიზანი კი არის „შესაქმის“ 26 მუხლის განმარტებათა საფუძველზე მორწმუნეთა გათვითცნობიერება თეოლოგიურ საკითხებში, დოგმატური ტერმინოლოგიის დაზუსტება (მაგალითად, *შექმნა – წარმოშობა – წარმოყენება – წარმოობა*), გარეშეთა ნააზრევთან შეპირისპირებით წმინდა წერილის ღირსებების წარმოჩენა, ასევე, მრავალმხრივი ინფორმაციის მოწოდება – ასტრონომიის, ბიოლოგიის, ბოტანიკისა და სხვა სფეროებიდან, რომლის უმთავრესი დანიშნულება არის არა ინტელექტუალური ინტერესის დაკმაყოფილება, არამედ ჭეშმარიტი მსოფლმხედველობის საფუძველზე ადამიანის მიერ იმ სამყაროს შეცნობა, რომლის ნაწილიც თავადაა, რათა მან გონებით განჭვრიტოს, ერთი მხრივ, სამყაროს დაზესტაებული განგება შემოქმედისა, რომლის სიკეთე ყოველ არსშია გამოვლენილი და რომელიც არაფერს ქმნის ამაოსა და უსარგებლოს, მეორე მხრივ, გააცნობიეროს ღვთის განგებასთან ბუნების კანონთა შესაბამისობა, ყოველივე ამის შედეგად კი სწორად განსაზღვროს თავისი ადგილი ამ სამყაროში და საკუთარი ქმედებები ამ ცოდნის შესაბამისად წარმართოს.

„ჰექსაემერონის“ ჰომილიები მრევლისადმი გახლდათ მიმართული. მრევლი კი, როგორც ვიცით, სრულიად სხვადასხვა სოციალური ფენის, განათლებისა თუ საქმიანობის ადამიანთაგან შედგება („მე არ დამვიწყებია, რომ ჩვენს შორის მრავალი ხელოსანი და ოსტატია, რომელიც დღიური შრომით, გაჭირვებით შოულობს საზრდოსო“ – ბრძანებდა თავად წმ. ბასილი, III, 1. ციტატებს აქაც და სხვაგანაც გ. კოპლატაძის თარგმანით წარმოვადგენთ). და რაკი მოძღვრის სიტყვები ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, ბასილი დიდი სწორედ მსმენელთა შესაძლებლობების გათვალისწინებით ესაუბრებოდა მათ, რის გამოც, როგორც გრიგოლ ნოსელი აღნიშნავს, როდესაც იგი საძიებელ სიტყვათა სიღრმესა და სიმაღლეს წარმოაჩინებდა ამაღლებული და განათლებული გონების მსმენელთათვის, იქვე ფილოსოფიურ მოძღვრებათა განმარტებებით უბრალო მრევლისთვისაც ცხადყოფდა ნათქვამს (I, 6-7), ანუ ბასილი დიდის თხზულებაში ყველას შეუძლია ჰპოვოს მისთვის მისაღები თუ მისაწვდომი ფორმით გამოთქმული ჭეშმარიტება.

გულისტკივილით მინდა ვთქვა, რომ ხშირად ჩვენი სტუდენტები, სიზარმაცის გამო ტექსტის კითხვას თავს რომ არიდებენ, „ექვსთა დღეთაში“ განმარტებულ საკითხთა სირთულეს იმიზეზებენ. საკითხები მართლაც რთული გახლავთ, მაგრამ მათი გაუგებრობის მიზეზი უგულისყურობა უფროა, რადგან თუკი მოძღვრის სიტყვების მთელი არსებით მოსმენის შემთხვევაში ამ საკითხთა გაგება გაუნათლებელ მდაბიოთათვისაც კი მისაწვდომი იყო, რატომ ვერ უნდა შეძლოს მათი გაგება ახალგაზრდამ, რომელიც უმაღლეს განათლებას ეუფლება? თუმცა ამის პასუხსაც ისევ ბასილი დიდთან ვიპოვით: „რომელი სასმენელია ღირსი ნათქვამის სიდიადის მოსმენისა? ან როგორი უნდა იყოს სული მომზადებული ამგვარ დიდთა საქმეთა ყურადსაღებად? ხორციელ ვნებათაგან განწმენდილი, ცხოვრებისეულ საზრუნავთაგან დაუბნელებელი, შრომისმოყვარე, გამომძიებელი და მიმომხედველი ყოველ მხარეს, საიდანაც კი ღმერთზე შესაფერისი წარმოდგენის შეძენა შეიძლება“ (1,1, გვ. 205).

ღმერთზე, სამყაროსა თუ ადამიანის არსზე დაფიქრება დღეს განსაკუთრებით გვმართებს, რადგან ტექნიკური პროგრესისაკენ ორიენტირებულთ სწორედ ის მთავარი გვავიწყდება ხოლმე, რასაც წმინდა მამა ჩაგვაგონებს: ყოველგვარი ცოდნა, ყოველი ქმედება ადამიანისა ზნეობრივ სრულყოფას უნდა ემსახურებოდეს.

ბასილი დიდისათვის ეს სამყარო სასწავლებელია (I, 5-6, გვ. 211): გონება მომადლებული გვაქვს, რათა მცირე თუ დიდი ქმნილებებიდან შემოქმედის სიბრძნე შევიცნოთ (VI, 11). ამასთან დაკავშირებით, ვისურვებდი, ბასილი დიდის „ექვსთა დღეთას“ ის ადგილები, რომლებიც ბუნებასა და ცხოველთა სამყაროს შეეხება, სასკოლო პროგრამაში იქნას შეტანილი, კლასგარეშე საკითხავად მაინც, რათა მომავალმა თაობამ იგრძნოს დედამიწაზე ერთადერთი გონიერი არსების პასუხისმგებლობა ბუნებისადმი, შეიყვაროს და მოუფრთხილდეს მას, გააცნობიეროს ღვთის ხატად ქმნილი ადამიანის მნიშვნელობა ამ სამყაროში.

ჩემი ამგვარი სურვილის მართებულობაში დასარწმუნებლად ერთ ადგილს შემოგთავაზებთ „ექვსთა დღეთადან“ (ნებისმიერ კომენტარს თავად ტექსტის მოხმობა აჯობებს, რათა გ. კოპლატაძის მიერ ქართულ ენაზე ამეტყველებული ბასილი დიდის აზროვნების მშვენიერება თავადვე განიცადოთ): „ჭარლი (ალკუნი) ზღვის ფრინველია, რომელსაც ჩვევად აქვს ზედ ზღვის პირას დაიბუდოს. იგი კვერცხებს ქვიშაზე დებს და მათზე შუა ზამთარში ზის, როცა ხშირი და მძვინვარე ქარებისაგან აღელვებული ზღვა ხმელეთს ეხეთქება. იმ შვიდი დღის განმავლობაში, როცა ალკუნი კვერცხებზე ზის ბარტყების გამოსაჩეკად, ყველა ქარი წყნარდება და ზღვაც მშვიდდება. რამდენადაც ახალგამოჩეკილებს საჭმელიც სჭირდებათ, მრავალმოწყალე ღმერთი ამ პატარა ფრინველს მეორე შვიდ დღესაც აძლევს ბარტყების გამოსაზრდელად. ეს ყველა მეზღვაურმა იცის და ამ დღეებს ჭარლის (ალკუნის) დღეებს ეძახის. ყოველივე ეს ღმრთის მზრუნველობით (განგებით) პირუტყვებში შენს განსასწავლად დადგინდა, რათა შენ მისგან, რაც ხსნისთვისაა საჭირო, ის ითხოვო. უკეთუ ღმერთმა ასე პატარა ფრინველისათვის დიდი და საშიში ზღვა დააყენა და შუა ზამთარში სიმშვიდე უბრძანა, რა სასწაული არ მოხდება შენთვის, რომელიც ხატად ღმრთისად ხარ შექმნილი?“ (VIII, 5, გვ. 301). დამეთანხმებით, ამგვარი პასაჟების აუღელვებლად წაკითხვა შეუძლებელია, და დიდაქტიკის ზემოქმედებაც ძალდაუტანებელი და ბუნებრივია.

უდავოა, გ. კოპლატაძის თარგმანი ადეკვატურად გადმოსცემს ბასილი დიდის თხზულების ძირითად აზრსა და სულისკვეთებას, და აღწევს იმ შედეგს, რასაც წმინდა მამა მიზნად ისახავდა. ჩვენს წინაშეა საუცხოო, სანიმუშო ქართულით შესრულებული თარგმანი. „ჭეშმარიტება მშვენიერი პოეზიის სახით წარმოგვიდგება“ – ს. ქიის შეფასება ბასილი დიდის თხზულებისა სრულიად სამართლიანად შეიძლება გვანცა კოპლატაძის თარგმანის მიმართაც გავიმეოროთ.

**მაგდა მჭედლიძე,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის დოცენტი.**

ფეხბურთი

# მოვიგეთ, მაგრამ... წავაგეთ

**ორიოდ წლის წინათ ჩვენი ძველი ნაცნობი ინსბრუკის „ტიროლი“ ფინანსური დარღვევებისათვის ავსტრიის ბუნდესლიგიდან მოკვეთეს. შერისხული კლუბის ბაზაზე დაიბადა „პაშინგი“, რომელმაც წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატში მეხუთე ადგილი დაიკავა და ინტერტოტოს თასის გათამაშების პირველ ეტაპზე თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ დაუპირისპირდა.**

შინ საწყისი რაუნდის 1:0 მოგების შემდეგ ალპური ქვეყნის წარმომადგენლები საქართველოს დედაქალაქს გუშინ საპასუხო მატჩის დაწყებამდე სამი საათით ადრე ეწვივნენ, თუმცა მაინც მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვეს და, 1:2 წაგების მიუხედავად, სტუმრად გატანილი გოლის წყალობით, მორიგ წრეში გავიდნენ.

სტუმართა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ავსტრიის ნაკრების ყოფილი წევრი მაირლები, რომელმაც შავკანიან დუტორუსთან ერთად სისხლი გაუშრო ვეტერანთა დაცვას. ქების ღირსნი არიან, აგრეთვე, თურქი ლეგიონერები – სტოპერი თოლუნაი და შეცვლაზე შესული საყრდენი ნახევარმცველი ათალაი, რომელმაც მყისვე დაალაგა თამაში და მე-60 წუთზე ის ჯარიმა დაიმსახურა, ხორვატის ზუსტი დარტყმა რომ მოჰყვა. ამ დროისათვის თბილისელთა შორის ერთადერთ ნათელ წერტილს მელქაძეს შორეული „გასროლით“ უკვე გახსნილი ჰქონდა ანგარიში (ამ ეპიზოდში მიუტევებელი შეცდომა დაუშვა მეკარე შიკლბრუბერმა). რაც შეეხება მხოლოდ მორალური კმაყოფილების მომტან გამარჯვების გოლს, იგი მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე იმავე მელქაძის დიდებული გადაცემით მერებაშვილმა გაიტანა, მაგრამ მეტის მისაღწევად მასპინძლებს აღარც დრო ეყოთ და აღარც ენერგია.

**გია პლატონიშვილი.**

ცინცხალი ამბები



**„ფორმულა-1“ – „ტოიოტას“ გუნდის ხელმძღვანელობას თვალში არ მოსდით ის პილოტები, რომლებიც თავიანთი ბოლიდების საჭეს უსხედან. პირველ რიგში გუნდის დატოვება მოუწევთ ოლივი პანისსა და კრისტიანო და მატას. ისინი „საჯინიბოში“ თავიანთი მანქანების ალერსს სეზონის ბოლომდე შეძლებენ. ჯგუფის ხელმძღვანელი ოვე ანდერსონი ამ ვარაუდის ასრულებას ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტით ცდილობს.**



**თბილისის „ლოკომოტივისა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარემ გიორგი ლომაიამ გადაწყვიტა ხელი მოაწეროს კონტრაქტს საფეხბურთო კლუბ კიევის „დინამოს“ ხელმძღვანელობასთან. კონტრაქტის თანახმად, ლომაიამ უკრაინელთა პირველი გუნდის კარი სამი წელი უნდა დაიცვას.**

ყოველი მხრიდან

### მთავარი ჩემპიონობა როდია...

**როიტერის სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში მსოფლიო რეკორდსმენმა 100 მეტრზე სირბილში ტიმ მონტგომერიმ განაცხადა, თავის მთავარ მიზნად არ მიაჩნია მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვება.**

„მედალი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ კონკრეტულ გარბენში შენ რამდენიმე კაცი დაამარცხე, – ამბობს სახელოვანი სტაიერი, – გაცილებით მეტი წონა აქვს მსოფლიო რეკორდის ფლობას. აი, შესაძლებელი რომ იყოს შეჯიბრების მოგება მსოფლიოს ყველა რეკორდსმენთან – ჯესი ოუენსთან, კარლ ლიუისთან! ვიცი, რომ შემიძლია სტაბილურად 9,80-ის ჩვენება და შეიძლება 100 მეტრის გარბენა უფრო სწრაფად – 9,75-ში. ჩემი თავის მწამს და ვფიქრობ, რომ ახლანდელ სეზონში შევძლებ მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებას“.

### ვინ დაისაკუთრებს „ევროპის გრან-პრის“

**დღეს გერმანიაში, ნიურბურგრინგის ავტოდრომზე გაიმართება ავტორბოლაში „ფორმულა-1“ 54-ე მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი – მეცხრე ეტაპი „ევროპის გრან-პრი“. ეიფელის მთებში აშენებული ეს ავტოდრომი ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. ის 1927 წლის 18 ივნისს გაიხსნა და როგორც ევროპის, ისე მსოფლიოს ავტოსპორტის მოყვარულთა თავისებურ მექად იქცა.**

„ჩრდილოეთის მარყუჟს“ ძალზე რთული ტრასა ჰქონდა – 22,5-კილომეტრიან დისტანციაზე 172 მოსახვევი იყო, რაც პილოტებს დიდ საფრთხეს უქმნიდა. სწორედ ამის გამო, კარგა ხანს იქ ასეთი მნიშვნელოვანი რბოლები აღარ იმართებოდა. სერიოზული რეკონსტრუქციის შემდეგ დიდი რბოლა იქ 1995 წელს დაბრუნდა. თუმცა, ერთ-ერთ ურთულეს ტრასად მაინც დარჩა. ისე რომ, დღეს „ფორმულა-1“-ის პილოტებს სერიოზული ბრძოლა მოუხდებათ „დიდების კვარცხლბეკზე“ მოსახვედრად.

პირველ კვალიფიკაციაზე კი ფინიშთან ყველაზე ადრე „მაკლარენის“ ფინელი პილოტი კიმ რაიკონენი მივიდა. მეორე ჩემპიონატის ახლანდელი ლიდერი მიხაელ შუმახერი („ფერარი“) იყო.



**სურათზე: კიმ რაიკონენი.**

### თხილამურებიდან ველოსიპედზე

**მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული მრავალდღიანი ველორბოლის „ტურ დე ფრანსის“ საზეიმო გახსნა 5 ივლისს გაიმართება.**

„დიდი მარყუჟის“ ამ საზეიმო ცერემონიალში სხვებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს გამოჩენილი ავსტრიელი სამთო მოთხილამურე, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო თასის სამგზის მფლობელი ჰერმან მაიერი. ის ჩაებმება პირველ, 6,5-კილომეტრიან გარბენში, რისთვისაც დიდი რბოლის მონაწილენი მას 3-წუთიან ფორას მისცემენ.

როგორც თავად მოთხილამურემ (კინაღამ ფეხები რომ დაკარგა ავტოავარიაში) განაცხადა, ველოსპორტის დიდი თაყვანისმცემელია და „ტურ დე ფრანსის“ ტელეტრანსლაციის ყურებაში ტელევიზორთან მრავალი საათი გაუტარებია.

პროფკავშირი

# ქართულ კულტურას საფრთხე არ უნდა დაემუქროს

## გასვლითი შეხვედრები, რომელსაც საქმისთვის სარგებელი მოაქვს

**ახლახან ქალაქ გორს ეწვივნენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის აპარატის მუშაკები პროფკავშირის თავმჯდომარის ციცო ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. ისინი შეხვდნენ ქალაქის კულტურის სფეროს, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს. სტუმრები მიიღო საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა შიდა ქართლის მხარეში დავით ქობლიანიძემ, ხოლო შეხვედრის ორგანიზატორი გახლდათ გორის რაიონის გამგებელი ზაზა კოშაძე.**

სტუმრებსაც და მასპინძლებსაც ერთი სადარდელ-საზრუნავი ჰქონდათ – საქართველოს კანონში „2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ გათვალისწინებული იყო კულტურის სფეროში დასაქმებული კადრების 20 პროცენტით შემცირება. საქართველოს პარლამენტში არავინ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ბუნებაში არ არსებობს სახელოვნებო განათლების სისტემაში შტატების შემცირების მექანიზმი, არც ის, რომ, თუ სისტემაში არსებობს პროფკავშირი, შტატების ნებისმიერი შემცირება უნდა მოხდეს მხოლოდ მასთან შეთანხმებით. უფრო მეტიც, აღნიშნული კანონის ავადსახსენებელი პუნქტი მიიღეს კულტურის სამინისტროსთან შეუთანხმებლად. შეხვედრის მონაწილეთა დასკვნაც ერთსულოვანი იყო – ეს გადაწყვეტილება შეგნებულად არის მიღებული პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების არაჯანსაღი ნაწილის მიერ იმ მიზნით, რომ უკმაყოფილო ხალხი გამოვიდეს ქუჩაში, რაც დაუშვებელია. ამ აზრს ამტკიცებს ისიც, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა აღნიშნული დანაშაულებრივი გადაწყვეტილება შეაჩერა. მისი ავტორის დადგენა კი ვერც პარლამენტმა და ვერც ფინანსთა სამინისტრომ ვერ მოახერხა. სწორედ ეს გახლავთ პირად პოლიტიკურ ამბიციებს აყოლილი ცალკეული პიროვნებების ანგარების კლასიკური ნიმუში, რამაც შეიძლება დიდი საფრთხის წინაშე დააყენოს ქვეყნის სულიერებისა და ზნეობის საყრდენი – ქართული კულტურა და ხელოვნება.

გამომსვლელები გულისტკივილით აღნიშნავდნენ, რომ არ ივსება რაიონის საბიბლიოთეკო ფონდი, წლობით ელოდებიან გაყინულ ხელფასებს, ერთიანად იყიდება კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობები, სოფლები უბიბლიოთეკოდ არიან დარჩენილი...

ქალბატონმა ციცო ჯაფარიძემ დასკვნით გამოსვლაში შეხვედრის მონაწილეებს განმარტებები მისცა მათ მიერ წამოჭრილ პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით, გააცნო კულტურის დარგში დასაქმებულთა შვილების საზაფხულო დასვენების კონკრეტული გეგმა, რის საფუძველზეც ბავშვები დაისვენებენ ცხვარიჭამიაში, ქობულეთში, ურეკსა და ქვიშხეთში. ილაპარაკა იმაზეც, რომ კულტურის ობიექტების საზრუნავს ერთობლივად შეეჭიდებიან დარგობრივი პროფკავშირი და სხვა ცენტრალური თუ ადგილობრივი სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კომერციული ორგანიზაციები...

აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ მანამდე, ივნისის დასაწყისში, ქალბატონი ციცო ჯაფარიძე და დარგობრივი პროფკავშირის წარმომადგენლები ეწვივნენ ტყიბულსა და ცაგერს, შეხვდნენ იქაურ მცხოვრებთ. საქმიანი მსჯელობა გაიმართა არა მხოლოდ კულტურისა თუ ხელოვნების, არამედ ჩვენი ყოველდღიური ყოფისთვის დამახასიათებელ მრავალ მნიშვნელოვან პრობლემაზე, მათი გადაჭრის გზებსა და მომავლის ამოცანებზე.

შეხვედრათა მონაწილეებმა იმედი გამოთქვეს, რომ პარლამენტი გააუქმებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეჩერებული კანონის იმ ნაწილს, რომელიც ჯერ კიდევ „დამოკლეს მახვილივით“ ჰკიდია კულტურის მუშაკთა თავზე.

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის პრესსამსახური.**

ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## პროფესიონალი – II ნაწილი

ჩვენი დღევანდელი გამოშვების სტუმარი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაკრები გუნდის უცვლელი წევრი, პროფესიონალი ნიკოლოზ ხარხელაური წლების განმავლობაში 80 კგ. წონაში ასპარეზობს, რაც საკმაოდ იშვიათია ათლეტიზმში. ძალისმიერ სამჭიდში ნორმალურად ითვლება ყოველ 2-3 წელიწადში ახალ წონით კატეგორიაში გადასვლა და 8-10 კგ. კუნთოვანი მასის მომატება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის შედეგს. საკუთარი წონის სტაბილურობის მიუხედავად, ნიკა ერთ-ერთი უძლიერესი ათლეტია საქართველოში და თანაბრად ფლობს სამჭიდის სამივე სახეობას.

დღეს გთავაზობთ აჭიმვის მოძრაობებს **ნიკოლოზ ხარხელაურის** შესრულებით.

**1. კლასიკური წოლჭიმი (სურ. 1).** ვარჯიშს ეთმობა 8 მისვლა 6-6 გამეორებით.

**2. აჭიმვა დახრილი სკამიდან (სურ. 2).** სრულდება 6 მისვლა 8-8 გამეორებით.

**3. აჭიმვა მკერდიდან დგომში (სურ. 3, 4).** საკმარისია 6 მისვლა 6-6 გამეორებით.

**4. აჭიმვა ზურგიდან დგომში (სურ. 5, 6).** რეკომენდებულია 6 მისვლა 8-8 გამეორებით.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**

**თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.**



















ჩოგბურთი

# ერთეულთა თანრიგში

ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის და სამედიცინო უნივერსიტეტის კორტებზე გაიმართა 14 და 16 წლის გოგონათა და 14 წლის ვაჟთა საქართველოს პირველობა ერთეულთა თანრიგში. ჩემპიონობისთვის თბილისისა და ბათუმის 50 სპორტსმენი იბრძოდა.

უფროს ასაკში ყველას სოფიკო ქვაცაბაიამ აჯობა. მეორე-მესამე ადგილებზე ნათია გეგია და ნინა მაკაროვა გავიდნენ. უმცროს ასაკში მანანა შაფაქიძემ და სანდრო ლომინაშვილმა გაიმარჯვეს. კვარცხლბეკის მეორე-მესამე საფეხურები სალომე ჩახხუნაშვილმა და ოქსანა კალაშნიკოვამ, ლაშა ქარჩაიძემ და ნიკა ქურდაძემ დაიკავეს (ყველა – თბილისი).

ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის მეშვიდე ღია პირველობა უფრო წარმომადგენლობითი იყო. აქ თბილისის, ბათუმის, რუსთავისა და თელავის 150 სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. 10, 12, 14 და 16 წლის ჩოგბურთელთა შეჯიბრებები მოიგეს: **გოგონებში** – ნინო სუჯაშვილმა, მარიამ სამქანაშვილმა, სოფიკო შაფათავამ და სოფიკო ქვაცაბაიამ, **ვაჟებში** – ნიკოლოზ ქოჩიაშვილმა, ლაშა ქარჩაიძემ, ნოდარ ითონიშვილმა და გიორგი ხმიადაშვილმა.

**გარი ამირხანოვი.**

**სპორტის რედაქცია**

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ღია ტენდერს მაღალი გამავლიანობის, დიზელის საწვავზე მომუშავე 3 (სამი) ცალი მიკროავტობუსის სახელმწიფო შესყიდვაზე.

დაფინანსების წყარო – არასაბიუჯეტო შემოსავლები (სპეცსახსრები).

2. ტენდერში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს საქონლის მოწოდება 2003 წლის განმავლობაში შემსყიდველის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ავტოფარეხში (ქ. თბილისი, ჭოროხის ქ. №6).

3. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე მ. წ. 14 ივლისიდან 16 ივლისის 17 საათამდე სატენდერო კომისიაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭოროხის ქ. №6, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**5.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე;

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება სატენდერო კომისიის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

8. საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევა დასრულდება მ. წ. 18 ივლისს.

9. ღია ტენდერში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად შესატანია სატენდერო მოსაკრებელი 500 (ხუთასი) ლარი. ჩვენი რეკვიზიტებია: სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის – 1531, ა/ა №000141107, კოდი საქართველოს ეროვნულ ბანკში – 220101107;

10. სატენდერო დოკუმენტაცია დგება ქართულ ენაზე. პრეტენდენტებზე მათი გაცემა მოხდება მ. წ. 21 ივლისიდან 23 ივლისის 17 საათამდე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სატენდერო კომისიაში.

11. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სატენდერო კომისიაში – ჭოროხის ქ. №6. ტ: 94-10-52 რამაზ მამულაიშვილი, 94-09-07 მურად თურმანიძე.

**საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სახელით სატენდერო კომისია.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის წევრები ჯემალ ნაკაშიძე, ჰამლეტ გონაშვილი, რამინ მიქაბერიძე. 1960 წელი.

## თაობა მოდის

# გრიგოლ რობაქიძე, ოღონდ სხვა...

**არის ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი გრიგოლ კ. რობაქიძე, რომელიც თავისი დიდი წინაპრის გრიგოლ რობაქიძის სახელს არ არცხვენს, პირიქით, იგი უდავოდ ამართლებს მას.**

ალბათ, შემთხვევით არაფერი ხდება. თუ რატომ დაარქვეს გრიგოლის მშობლებმა შვილს ეს სახელი, ამის შესახებ გვიამბობს თავად უმცროსი გრიგოლის დედა, ქალბატონი ნანა რობაქიძე:

— თბილისის I საშუალო სკოლადამთავრებულებს ძალიან კარგად ახსოვთ და უყვართ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი შალვა გიგაშვილი, რომელიც ქართული მწერლობის იშვიათი მცოდნე იყო. სწორედ მისი არალეგალური ბიბლიოთეკიდან გავეცანით მე და ჩემი მეუღლე ზურაბ რობაქიძე დიდი მწერლის რომანებიდან ხელით ნაწერ ეპიზოდებს.





მოგეხსენებათ, 30-40 წლის წინათ ეს სახიფათო იყო, გრიგოლის პატივისცემის ნიშნად შვილისთვის სახელის დარქმევა კი, — სარისკო. სწორედ ამიტომ აქვს მწერალს ორი სახელი გრიგოლ-კობა რობაქიძე, — ამბობს ქალბატონი ნანა.

თავად ახალგაზრდა მწერალი გრიგოლ რობაქიძე ამის გამო დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს, ეს სიმძიმე თან დამყვებაო, აღნიშნავს იგი და დასძენს, — ჩვენ მხოლოდ ნათესაური კავშირი გვაერთიანებსო. მართლაც, მის შემოქმედებაში დიდი მწერლის გავლენა ნამდვილად არ იგრძნობა.

ფლობერს ჰკითხეს, ამჟამად რას კითხულობო? — არაფერსო, დროც არა მაქვს, თანაც იმდენი ახალი კარგი მწერალია, მეშინია იმათ რაიმეს არ დავესესხოო. ჩემი აზრით, სიახლის ძიება არ უნდა იქცეს პანაცეად არც მწერლისთვის და არც მხატვრისთვის. სიახლის ძიებამ შეიძლება დაგვაშოროს ძველ ფასეულობებს, თუმცა, ახალიც შეიძლება არ იყოს ისეთი ღირებული. რამდენჯერმე ფსევდორეალიზმიც კი დამაბრალეს, მე მაინც ყოველთვის ახლის ძიებაში ვარ. ჩემი წიგნის „ჰეჲ-ს“ დაწერაც უცნაურად დაიწყო, არანაირი ფაბულა, არანაირი ჩანაფიქრი, ჩემს მეგობართან ვიყავი სტუმრად, პირველი თავი იქ დავწერე. ჩეხოვი ამბობს: — რამდენიმე სიტყვას რომ დავწერ, გმირები თვითონ იწყებენ ცხოვრებას დამოუკიდებლადო, — მეუბნება ახალგაზრდა მწერალი.

უმცროსი გრიგოლ რობაქიძის მოთხრობების კრებული „ჰეჲ“ 1996 წელს გამოვიდა. წიგნის წარდგინება კულტურის სამინისტროში მოეწყო. როგორც ავტორი ამბობს, ზოგი მას რომანადაც აღიქვამს.

— ჩემი აზრით, ავტობიოგრაფიული რომანია. სიმართლე გითხრათ, შეხვედრებს გავურბივარ, პრეზენტაციებზე არ დავდივარ, რადგან ვფიქრობ, რომ კარგ პროდუქციას რეკლამა არ სჭირდება.

გრიგოლ რობაქიძე 19 წლისა იყო, როდესაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა. მან 1988 წელს შესანიშნავი სტატიები უძღვნა ეროვნულ გმირებს მერაბ კოსტავასა და ზურაბ ჭავჭავაძეს. ქართულ ენასთან დაკავშირებით მრავალი მოთხრობა გამოაქვეყნა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში. მისი ნაკალმარი დღესაც ხშირად იბეჭდება. იგი მარტო მწერალი როდია, წერს შესანიშნავ ლექსებს, ხატავს და თარგმნის კიდეც. ამ ბოლო ხანს რუსულ ენაზე დაწერა ლექსები, სადაც რუსი მკითხველი ზოგიერთ სტროფში აღმოაჩენს არცთუ მთლად „რუსულ“ ლექსებს.

მკითხველი მისი მოთხრობების კრებულის გაცნობისას მიხვდება, რომ მისი ავტორი ნიჭიერი კაცია. იგი აღგვაფრთოვანებს ნათელი აზროვნებით და სასიამოვნო გაოცებას და პატივისცემას აღძრავს.

გრიგოლ რობაქიძემ იცის, რომ არსებობს ქვეყნად „ცოტა სიამაყე, ცოტა სიკეთე“, „ცოტა სიხარული“... მაგრამ ისიც იცის, რომ არსებობს „დიდი სიყვარული“.

***— რომელ მოთხრობას გამოარჩევდით წიგნში „ჰეჲ“?***

— მომწონს „გიჟი საგიჟეთში“. იყო ჩემს ცხოვრებაში ისეთი პერიოდი, როდესაც საპატრიარქოსთან ვთანამშრომლობდი. საპატრიარქოს დედებმა მთხოვეს, დღესასწაულებზე გლდანში სულიერად მოშლილთა საავადმყოფოში გაგვყევიო. შემოწირულობებით პირველადი მოთხოვნილების პროდუქტებს ვყიდულობდით და ავადმყოფებთან მიგვქონდა. დედების ქველმოქმედება ჩემზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა. მონაზვნები სულით დაავადებულებს წვერს პარსავდნენ, ფრჩხილებს ჭრიდნენ, ბანდნენ. ვერ ვიტყვი, რომ ყველა მათგანი გიჟი იყო. მათ ნააზრევს რომ ჩაუღრმავდე, შეიძლება საკუთარი თავის ნორმალურობაში დაეჭვდე. მაშინ გავაკეთე ფსიქოლოგიური ანალიზი. ჩვენს საქციელში ბევრი სიგიჟეც ხომ არის...

***— სიტყვამ მოიტანა, დეპუტატების ფსიქიურად შემოწმებაზე რომ არის საუბარი, ვინ მოგწონთ ქართველი პოლიტიკოსებიდან? ყოველთვის აკონტროლებენ თავიანთ ქმედებებს?***

— მოწონებით ბევრი არ მომწონს, მათი დასახელებისგანაც თავს შევიკავებ... რაც შეეხება კონტროლს: ყოველ ნორმალურ ადამიანს უნდა შეეძლოს თავის ქმედებებზე ზემოქმედება. ეს არის უმთავრესი, ჩემი აზრით.

საქართველოში ბოლოსდაბოლოს, პოლიტიკურად ყველაფერი, ალბათ, ისე მოგვარდება, როგორც დრო და საჭიროება მოითხოვს. მსოფლიოშიც ისე მიდის პოლიტიკა, რომ ჩვენთან მიმდინარე პროცესებსაც ლოგიკური ჯაჭვის თანმიმდევრობა ჩამოაყალიბებს.

სიმართლეს, რატომღაც სხვებისგან ველოდებით, მაგრამ ჯერ იგი საკუთარ თავში უნდა ვეძიოთ.

... გრიგოლ რობაქიძე-უმცროსი რომ ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალია, ამაში გამოჩენილმა ქართველმა პროზაიკოსმა გურამ დოჩანაშვილმაც დამარწმუნა. როდესაც ბატონ გურამს ვკითხე, — იცნობთ გრიგოლ რობაქიძე-უმცროსის შემოქმედებას? — ის ჩემი ჯილაა, ყველაზე საუკეთესო აზრი, რაც მასზე მოგივათ, მე მომაწერეთ, უთუოდ დაგეთანხმებით!

ამით, ყველაფერია ნათქვამი...

**ნანა სულავა.**

**სურათზე: გურამ დოჩანაშვილი და გრიგოლ რობაქიძე.**



## ესტრადა

# თუკი გენატრები...

**ახლახან ფილარმონიაში ნუგზარ ერგემლიძის შემოქმედებითი საღამო ანშლაგით გაიმართა. 27 ივნისს კი მეორე შეხვედრა მარჯანიშვილის თეატრში შედგა, სადაც კვლავ ბევრი მაყურებელი მოვიდა. ეს იმის დასტურია, რომ ამ ნიჭიერ და საინტერესო შემოქმედთან შეხვედრის სურვილი ისევ გაჩნდა. ვიცით, რომ იგი ხატავს, ლექსებს წერს, დიზაინერია. და მაინც, რაც ყველაზე მეტად გვიყვარს, ეს მისი სიმღერებია.**

საღამოს უძღვებოდა ირმა სოხაძე, როგორც ყოველთვის, თბილად და უშუალოდ. ნუგზარ ერგემლიძის სიმღერებს მისივე ლექსებზე ასრულებდნენ ნუგზარის ძველი მეგობრები ზურაბ კობეშავიძე, ზურაბ დოიჯაშვილი, ირმა სოხაძე. ინსტრუმენტული თანხლების დროს მის გვერდით იყო მუსიკოსი კაკო ვაშალომიძე. სასიამოვნო გახლდათ ზურაბ კობეშავიძის გამოჩენა, რომელიც ავადმყოფობის შემდეგ პირველად წარსდგა მაყურებლის წინაშე.

რობერტ ბარძიმაშვილმა ქართულ ესტრადაზე ბევრს გაუკვალა გზა და ამჯერადაც ტრადიცია არ დაურღვევია. ბატონმა რობერტმა პატარა ბიჭუნა ილია ყარმაზანაშვილთან ერთად გაგვახსენა სიმღერა „მე მაოცებენ ლამპიონები“. ედუარდ სეფაშვილის „სეფას ბიჭებმა“ შეასრულეს ლირიული სიმღერა, რომელიც ინოლა გურგულიას ხსოვნას ეძღვნებოდა. ამ საღამოს ვიხილეთ ახალგაზრდა მომღერლებიც გიორგი ბოლაშვილი, ქეთი მერკვილაძე, ტატო გოდერძიშვილი, ქეთა თოფურია, აჩი ფურცელაძე, გიორგი ერგემლიძე (ნუგზარის ვაჟი). მათ შეასრულეს კომპოზიტორის სიმღერები „შალომი“, „როცა ბავშვებს უყვართ ერთმანეთი“, „იერუშალაიმ“, „მშვიდობა თქვენდა“ და სხვა.

ნუგზარ ერგემლიძემ სიმღერების გარდა, თავისი ლექსებიც წაგვიკითხა, იუმორსაც არ გვაკლებდა, ხოლო მინიატიურა „მაწონი“ ისეთი ოსტატობით წარმოადგინა, ბევრ მსახიობს შეშურდებოდა. მაყურებელმა სიყვარული ასე გამოხატა პატარა ბარათში: "Vs dfc k.,bv^" — უკრაინელები რუსთავიდან. როგორც გავიგეთ, მოსკოვიდანაც იყვნენ სტუმრები ამ საღამოზე. ბოლოს შესრულდა სიმღერა „ჯორჯია“, რომელშიც საღამოს ყველა მონაწილე ერთად მღეროდა.



**ზურაბ კობეშავიძე:** ნუგზარი ყველას ძალიან უყვარს. ამ საღამომ დაადასტურა, რომ მას აქვს ლამაზი სიმღერები და ლექსები, სადაც არის ჰარმონიულობაც და აზრიც. თვითონ კი ამბობს, მომღერალი არ ვარო, მაგრამ ბევრს მოსწონს მისი სიმღერა და ამიტომ უნდა იმღეროს.

**პროექტის ავტორი ნანა კელაპტრიშვილი:** ნუგზარი ახალგაზრდული სტილის კომპოზიტორად შეიძლება ჩაითვალოს. 70-იანი წლების სიმღერები დღესაც აქტუალურია. ჩვენი მიზანი იყო, რომ ისინი სხვანაირად შეგვეთავაზებინა მაყურებლისთვის და როგორც ნახეთ, ახალგაზრდა მომღერლებმა გაითავისეს ნუგზარის სიმღერები. ეს იყო მთავარი და კიდევ ის, რომ ერგემლიძის რეპერტუარიდან ბევრ სიმღერას არ იცნობდა ხალხი და ისინიც გვინდოდა გაგვეცნო. ამჟამად მე და პროდიუსერი სოსო აბზიანიძე ვფიქრობთ ახალ პროექტზე. ნუგზარს აქვს როკ-ოპერა „ისევ საბჭოთა კავშირში“, რომლის დასადგმელად ვეძებთ სპონსორს. პროდიუსერთა ცენტრი „ორერა“, რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ, ამაზე მუშაობს და ძალიან გვინდა, რომ ეს პროექტი განვახორციელოთ.



**ნანული ზოტიკიშვილი.**

## ღიმილის დოზა



**მისთვის** მე იმთავითვე საგანი ვიყავი, — ყოველთვის სადმე მტოვებდა.

* * *

**მესაზღვრეებო,** გახსოვდეთ — დაკავებულ დამრღვევთა 25 პროცენტი თქვენ გეკუთვნით. დანარჩენი სახელმწიფოს უნდა ჩააბაროთ.

* * *

**შოტლანდიელი** ძვირფას სტუმარს შემწვარი კარტოფილით უმასპინძლდება:

— მიირთვით, ნუ გერიდებათ! კარტოფილი ჩვენი მოწეულია.

— თქვენ რომ ბოსტანი არა გაქვთ?!

— მე და ჩემმა ცოლმა ვიყიდეთ ნაკვეთი სასაფლაოზე. სანამ ცოცხლები ვართ, იქ კარტოფილსა ვთესავთ.

* * *

**გამოცდაზე:**

— ბატონო პროფესორო, მითხარით, რომელი საათია?

— უნდა გესწავლა!

* * *

— **ბატონებო,** თუ თქვენ საკუთარი ქვეყნის შეგნებული მოქალაქეები ბრძანდებით, დაეხმარეთ ჩვენს ძალოვან სტრუქტურებს: ჩაიდინეთ თუნდაც ერთი დანაშაული და მიმალვა არ სცადოთ!

* * *

**რატომ** არის ქალის სურვილი კანონი, კაცისა — მუხლი?

**რეგულარული, კვირაში ერთხელ, სახაზო გემით ტვირთების კონტეინერებით გადაზიდვა მარშრუტით:**

**ფოთი — ოდესა (ილიჩოვსკი) — ფოთი**

ინფორმაციის მიღება შესაძლებელია:

**თბილისი** — (995 32) 227223, ფაქსი 221129,
Email: barwilt@access.sanet.ge;
**ფოთი** — (995 393) 71681/82, ფაქსი 71685/86,
Email: elglch@barwilpti.com.ge;
**ოდესა (ილიჩოვსკი)** — (380 482) 345912, 346027, ფაქსი 346141, Email: barwil.odessa@barwil.com;
**კიევი** — (38044) 229 8539, ფაქსი 228 3036,
Email: aosadchiy@barwil. kiev.ua.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

## ტრენინგი

# ნარკომანია, შიდსი, კომუნიკაცია

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ბემონმა“ ხუთდღიანი ტრენინგი გამართა თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის თემაზე — ნარკომანია, შიდსი, კომუნიკაცია.**

„ბემონი“ უკვე 10 წელიწადია არსებობს და ნარკომანიით და შიდსით დაავადებულ ადამიანებს ეხმარება... როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელმა თამარ სირბილაძემ გვითხრა, ამ ტრენინგისთვის ჟურნალისტები იმიტომ აირჩიეს, რომ მათ საზოგადოებასთან ყველაზე მჭიდრო ურთიერთობა აქვთ და ნარკომანიისა და შიდსის შესახებ აუცილებლად უნდა მიაწოდონ ინფორმაცია მოსახლეობას.

სტუდენტებმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს. მათ შესაბამისი თემების მომზადება დაევალათ ნარკომანიის და შიდსის პრობლემების გარშემო. დაინიშნა კონკურსის დღე.



25 ივნისს, გაეროს სახლში სპეციალურმა ჟიურიმ გამარჯვებულები გამოავლინა, 25 ივნისი შემთხვევით არ ამოურჩევიათ, ეს დღე გაერომ ნარკომანიასთან ბრძოლის დღედ გამოაცხადა.

საღამო საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ აკაკი გამყრელიძემ გახსნა. მან თქვა, რომ რაც შეიძლება ბევრი უნდა ვწეროთ და ვილაპარაკოთ ნარკომანიაზე. საქართველოში 18.000 რეგისტრირებული ნარკომანია, რვაჯერ და ცხრაჯერ მეტი კი, — არარეგისტრირებული. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ეს ძალიან საშიში ტენდენციაა.

კონკურსზე 18 თემა იყო წარდგენილი, ამათგან სამი საუკეთესოდ დასახელდა. კონკურსის მონაწილე სტუდენტები საჩუქრებით და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მადლობის წერილებით დაჯილდოვდნენ.

**ეკა ესართია,**
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.

## რეპლიკა

# მოსიარულე ბაზარი?



**თბილისი ბაზრების დედაქალაქად იქცა, ყოფილ „დეზერტირებს“, „დახურულს“, „ავლაბარსა“ თუ „ნავთლუღს“ იმდენი ახალი სავაჭრო ცენტრი შეემატა, რომ ხეირიანად ვერც დაითვლი.**

თუ ასეთი სავაჭროები ერთ ადგილზეა, კლიენტი მიდის და სასურველ პროდუქტს იძენს, კიდევ არა უშავს, მაგრამ ახლა გაჩნდა მოსიარულე ბაზრებიც, — ქუჩა-ქუჩა, უბან-უბან დადიან ურიკებით, ტომრებით, ყუთებით, ვედროებით, დადიან და დააქვთ ალუჩა, ბალი, ალუბალი, ატამი, გარგარი...

მოვაჭრეები, ცხადია, იღლებიან, ამიტომ ხან კიბეებზე სხედან, ხან ბორდიურებზე, ხან გამონთავისუფლებელ ყუთებზე. სხედან და ჰყიდიან ხილსა თუ მწვანილს შეუმოწმებლად, უანალიზოდ. ჩვენც ვიყრით მუცელში ყველაფერს, — რაც კი ოდნავ იაფად თუ ოდნავ ახლოს შეგვეფეთება. ვფიქრობთ კი იმას, რომ ერთ მშვენიერ დღეს ასეთმა ნავაჭრმა შეიძლება შავ დღეში ჩაგვაგდოს?

კარგით, იქნებ ნოყიერადაც შეგვერგოს, მაგრამ რამდენად უხდება ჩვენს ქალაქს ასეთი მოსიარულე ბაზრები, რომლებიც თბილისის ცენტრალურ ქუჩებსა და მოედნებზეც გვხვდება და ყოველდღიურად ანტისანიტარიის კერად იქცევა? რა, ეს საგანგაშო არაა?

**ბადრი იაშვილი.**

## ტელევიზია

**კვირა, 29 ივნისი**

**08.00** მოამბე **08.15** ზოოპარკი **08.25** მხ. ფილმი "**ვერცხლისფერი ულაყი**" **10.00** "დილის პაემანი" **11.05** "ამბები ჩვენზე" **11.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.00** დოკ. ფილმი "კაცი, რომელმაც თავისი ცირკი შექმნა" **12.55** "პრეს-სტუდია" **13.45** დოკ. ფილმი "ავანტიურისტი მედიკოსები" **14.10** ზღვარი **14.25** არათბილისური ამბები **15.00** საინფორ. პროგრამა ინგლისურ ენაზე **15.20** სპექტაკლი "ჰაკი აძბა" **16.55** მულტსერიალი "ჯაშუშები" **17.20** საკვირაო გამოფენა **17.35** ეძიე ქალი **18.00** ტაიმ-აუტი. **18.20** "სახსოვარი" **18.50** ეკოდაიჯესტი **19.25** ჩვენი მისამართია **20.00** ტაიმ-აუტი **20.55** მუსიკალური ოქტაგონი **21.45** სატ. კინოდარბაზი — "სინას მთა" **22.45** "შორეული ახლობელი" **23.25** მეალომანია **00.00** ტაიმ-აუტი **00.35** მხ. ფილმი "**მე შენ გკარგავ**".

**19.00** მხიარული კარუსელი **19.30** დიზაინი **19.50** მრავალსახეობა **20.30** ფრაგმენტები სურათიდან **21.00** დოკ. ფილმი **21.50** ვარსკვლავები გვამცნობენ **22.00** მხ. ფილმი "**უზენაესი სიმართლე**"

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** დრაკონთა მომთვინიერებლები **10.00** ჯადოქარი **10.45** "ოქროს ვარდის გამოქვაბული" **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ.ფილმი **15.20** მხ. ფილმი **16.50 2003** წლის უიმბილდონის ყოველდღიური მიმოხილვა **17.10** სერიალი "**კოლომბო**" **18.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი "**კოლომბო**" **19.00** მხ. ფილმი **21.00** კურიერი **21.45** ჩვენი ეზო **22.00** "ჯეოსელის კინოკლუბი" - "**ხელები მაღლა**" **877 45-79-25** ჯეიმს სპეიდერი, ლესლი სტეფანსონი,"**მორიდებული ვარ, მაგრამ ვმკურნალობ**" **877 45-79-26**, პიერ რიშარი, "**კლდე**" **877 45-79-27** შონ კონერი, ნიკოლას კეიჯი. **00.10** ჯაზი **01.00 2003** წლის უიმბილდონის ყოველდღიური მიმოხილვა **02.15** მხ. ფ. "**საშიში ქალი**" მთ. რ-ში დებორა უინგერი. **04.15** კლასიკა.

**08.00** ანონსი, მულტფილმი **08.20** აღსავალი **08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50** მუსიკა **08.30** ახალი ამბები **09.00** მხ. ფილმი "**მოქცევის მბრძანებელი**" **10.20** მულტფილმი **12.30** გადაცემა - მურადა (განმ.) **13.00** მუსიკალურ ტალღაზე **15.00** ქიმერიონი **17.00** ბალეტი **19.30** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი "**სკუბი დუ**" **22.00** ტელე-სინევიდეო **23.00** სერიალი "**საპაერო პოლიცია**" **23.50** მხ. ფილმი "**ბინძური პატარა საიდუმლო**" **01.00** ღამის ფილმი

**08.55** ქრონიკა **09.05, 15.15, 02.25** იმედის მელოდიები **10.20** ანიმაციური სერიალი "მითიური მეგობრები" **10.50** მძაფრსიუჟეტიანი კინო "**ჩუბინი**" **12.30** სერიალი "**უკიდურესი ზღვარი**" **13.00, 15.00, 16.45, 19.00, 21.00, 22.00** ქრონიკა **13.15** სერიალი "**უკიდურესი ზღვარი**" **13.40** თამაში "ბოიარის ციხესიმაგრე" **14.30** სპორტ. პროგრამა "ასი" **15.15** ქართ. ფილმი "**ხარება და გოგია**" **17.00** ევროპის ჩემპიონატი — საკვალ. ტურნირი — შვიდკაცა რაგბიში (პირდაპირი ტრანსლაცია) **21.05** ქართ. სერიალი "**მგლების ხორუმი**" **22.45** "მულამები" **23.10** X-კლუზივი **23.40** მხ. ფილმი "**კრიმინალური ნიჭი**".

**09.00** მულტფილმი "მეფე ლომი **2.** სიმბას სიამაყე" **10.30** მხ. ფილმი "**უცხოპლანეტელი**" **12.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.10** საბავშვო სერიალი "**მეათე სამეფო**" **18.05** სერიალი "**ფანტაზიების კუნძული**" **19.00** სერიალი "**მკაცრი დროება**" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.30** მხ. ფილმი "**პუქონელი ქორი**" **22.30** მხ. ფილმი "**შოკოლადი**" **01.00** მზის სერენადა. ბილი ჯოელი.

**12.00** მხ. ფილმი "**არც ცოცხალი, არც მკვდარი**" **13.30** მხ. ფილმი "**ლამაზმანი ჯო**" **15.00** მხ. ფილმი "**უკეთესად არ არსებობს**" **17.00** მხ. ფილმი "**ლამაზმანი**" **19.00** ინდ. მხ. ფილმი **22.00** მხ. ფილმი "**საცდელი დღე**" **00.10** მხ. ფილმი "**მორჩენება**".

**11.00** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **12.00** თეატრალური შეხვედრები **13.35** თბილისური ოჯახები **14.00** ძველი ინდური კინო "**პოემა ქვაში**" **16.30** დოკ. ფილმი "საქართველოზე" **19.00** კითხვების კორიანტელი **19.20** ცეროდენა ვარსკვლავები **20.00** შეხვედრა ვარსვლავთან **20.20** მოგზაურობა ბავშვობაში **20.40** თავისუფალი მიკროფონი **20.50** თქვენი აზრით **21.00** "კვირის ვესტი" **22.00** "იდენ-ტვ" **22.30** საოცარი პირამიდა **23.30** ტელესერიალი "**ყავახანა**" **23.45** მხ. ფილმი

**09.00** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ფილმი **15.00** მუსიკა **16.00** ფილმი "**შანხაის შუადღე**" მთ. რ-ში ჯეკი ჩანი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** უცხ. მუსათეული **22.30** პროფათეული **22.55** მუსიკა **23.15** სოლო **00.00** "ბრავო" "**საათები**" მთ.რ-ში ნიკოლ კიდმანი, მერილ სტრიპი. **01.40** "ღამურა" "**მადონა**" მთ.რ-ში მადონა, ადრიანო ჯანინი. **03.45** პაუზის გარეშე

**09.30** მულტფილმი "მხიარული მელოდიები" **09.50, 19.15, 20.15, 22.15, 00.20** მუსიკა **10.00** სერიალი "**ალექს მაკის საიდუმლო სამყარო**" **10.25** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **11.00** "საუბრები სტუდიაში" **12.00** "ცხელი ცხრიანი" **12.50** მხ. ფილმი "**ზურატინოს თავგადასავალი**" **15.05** "ტელემეტრი" **15.20** დოკ. ფილმი "კანი. **400** დარტყმა" **16.55** მხ. ფილმი "**მეჯლისი**" **19.00** "ბელისიმო" შოთა კიკნაძე **19.30** "მსოფლიო ფეხბურთი" **20.00** "ოსტატები" **20.15** "ჩემი ქვეყანა" **20.40** რუს. სერიალი "**რუსი ამორძალები**" მე-2 ს. **22.00** მარიონეტების ფილმი "ყოჩაღები". "ძარცვა" **22.30** მხ. ფილმი "**ძმაკაცები**" **00.05** ნინო ქათამაძის კონცერტი **01.00** მხ. ფილმი "**მთვარის შუქის გადასახადი**".

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00, 19.00** საინფორმაციო გამოშვება **09.15** მულტფილმი "ტომი და ჯერი" **09.45** "ყველანი ვართ პატარები" **09.55** ისტორიული ფილმი "**დაკები**" **11.30** «Ñëî âî » **12.10** "სამყარო მშვენიერია." ბავშვები და ხელოვნება **12.15** თრილერი "**წყალქვეშა ნავი-მორჩენება**" **14.00** მუსიკა **14.10** კომედია "**წმინდანი**" **16.10** "სამყარო მშვენიერია." ბავშვები და ხელოვნება **16.20** მულტფილმი "ლედი და მაწანწალა" **17.30** სათავგადასავლო ფილმი "**ზვიგენები-2**" **19.20** დოკუმენტური ფილმი **20.10** კომედია "**ბევრნი**" **22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **22.20, 00.20** "Í î âî ñòè â âî ñêðåñåíüå" **22.40** "Âåëè÷åñòâåí í î å í àñëåäèå" **23.00** დოკუმენტური ფილმი **00.40, 03.20** მუსიკა **01.10** კომედია "**მკურნალი ადამსი**" **03.30** დრამა "**ამისტადი**"

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

მეუღლე გალინა, შვილები ნანა და ზურაბ, შვილიშვილი ლიზიკო, რძალი ნინო ხარატიშვილი, ძმები ედუარდ და მიხეილ დაბრუნდაშვილები, მძახალი ზურაბ ხარატიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გივი (კუკური) ანტონის ძე დაბრუნდაშვილი**

პანაშვიდი 29, 30 VI, 4 სთ. დაკრძალვა 1 VII, 3 სთ. ვაჟაფშაველას III კვ. მე-12 კორპუსი, ბინა 49.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის თანამშრომლები გულწრფელად თანაუგრძნობენ საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, საინფორმაციო სააგენტო საქინფორმის გენერალური დირექტორის მოადგილეს მერი გაბრიაძეს და სააგენტოს კორესპონდენტს ნინო გაბრიაძეს დედისა და ბებიის, სათნო და კეთილშობილი ქალბატონის

**ნინო (ბუბულა) ნესტორის ასულ ბარბაქაძე-გაბრიაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.



ბონდო მძინარაშვილი ოჯახით მწუხარებით თანაუგრძნობს მერი და ნინო გაბრიაძეებს შესანიშნავი დედისა და ბებიის

**ნინო (ბუბულა) ნესტორის ასულ ბარბაქაძე-გაბრიაძის**

გარდაცვალების გამო.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არჩილ სანებლიძე.
**სარედაქციო კოლეგია:** ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ გელაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი 20.